

# მეწიწე მეწიწეობა

სტ. საქართველოს საბჭოთა მწერლების თანამშრომლის  
კვლევითი ძეგლი

წელიწადი 1928

12



დაბეჭედა — 1928  
თბილისი

საქართველოს  
კარლემენტის  
სამეცნიერო  
ბიბლიოთეკა

2067

Handwritten signature or mark

კახუხიხმგებელი რედაქტორი ს ი მ რ ნ ხ უ ნ დ ა ძ ე

სარედაქციო კოლეგია

ბ. ბუაჩიძე  
ვ. კოტეტიშვილი  
ტიციან ტაბიძე  
ლევო ჭიაბელი  
ლ. ასათიანი

დ ე ღ ა მ ი წ ა

თუ ჩემს ლექსებში გლახურ განცდებს ხშირად ვეხები  
და სოველ მიწას ვუბრუნდები მე დაჟინებით,—  
არა იმისთვის, რომ ტალახი ვზილო ფეხებით,  
ან თვალს ვაამო ჭრელ მინდორზე გასეირნებით.

მე თუ ქალაქის მტვრიან ქვაბში ვერ ჩავესახლე  
და გავურბივარ უპაერო ქუჩის სიმძიმეს,  
წარსულისაკენ ამ ქვეყანას როდი ვეძახი!—  
ჩემ წინ შორეულ მომავალის ზეცა ციმციმებს.

მე კარგად ვიცი, რომ სოფელში მეტია ძველი.  
ქალაქი ბრწყინავს რკინის თალით ცას მიბჯენილი.  
ვიცი, მანქანას გზას დაუთმობს უძლური ცელი,—  
ვარწმუნებ ყველას, რომ არა ვარ ჩამორჩენილი.

(დღეს ხომ პოეტი ძველებურად თვალს ვერ ადევნებს  
ჭაობის ყვავილთ, უსინათლოდ ამოსულთ ხავსზე,  
როცა ყოველ წამს ისრვის ცეცხლის მქუხარ შადრევნებს  
მიწის სტომაქი, აღუღებულ ლითონით სავსე!)

მაგრამ მე ვამბობ: უნდა გვძულდეს ქვა და ნაცარი,  
თუ გვინდა გულის მღელვარება არ გავაციოთ.  
წარსულისათვის დედამიწა იყო ტაძარი,  
დროა ის შრომის სახელოსნოდ გადავაქციოთ.

იხარებს მიწა, თაობათა ძვლებით ნათესი.  
მძლე საუკუნე მარცვალივით მარხია წუთში.  
ლურჯი ვარსკვლავი, მზის ოჯახში უპირატესი,  
ზეცას გაარღვევს ასხივებულ ყინულის ზუჩით.

მოგვცა ეპოქამ გადამწყვეტი ბრძოლის ნიშანი.  
გვაქვს გული გმირის და ხალისი თვალდია ბავშვის.  
ახალ ბრძოლებში არ შეხვდება გზა გამთიშავი  
ელვარე ტვინის და ძარღვიან კუნთების კავშირს.

ამგვარ იმედით ხშირად ვარ გარემოცული,  
და როცა ვხედავ, რომ სიცოცხლე მხოლოდ წვეთია,—  
მე მიხარია, რომ მიწიდან ვარ ამოსული  
და ბებერ მუხას ჯერ ფესვები არ დამწყვეტია.

მჯერა—აანთებს სამყაროში ჩირაღდანს პირველს  
მიწის კეფაში დაგროვილი ელექტრო-ტვინი,  
და იტყვის სიტყვას გაუგონარს და გასაკვირველს  
ეს საუკუნე, დადაღული ელვით და რკინით.

— : —

## კოვია ქალზე

რომელმაც დაგვათვალისწინა ტიციან ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს და მე  
ზოოტექნიკური სადგური.

შენ არ ჰგევხარ სხვა ქალებს, ახლობელს თუ შორეულს,  
კეკლუცად რომ იცვამენ ფარჩა-აბრეშუმეულს!

შენ—შავგვრემანს—გაჟღერებს შრომა დაუზარელი!  
მიტხარ, ქალო, სიდან ხარ? მთიელი თუ ბარელი?

შენ ლურჯებიც გიხდება ღილებ-უმარგალიტო;  
შენ ახალი ქალი ხარ, ჩვენში სამაგალითო!

მარტო სახეს არ გიქებ, თუმც მიტაცებ შვენებით!  
თვალი სიბრძნით გინათებს, შუბლი—გეგმის შენებით.

სხვები თმას რომ იკრეჭენ:—საკოხტაო ცდებია!  
და ამაო ყოფაში უქმის ვნებით ცდებიან!

შენ კი, ქალო, წაბლისფერს აღარ იზრდი ნაწნავებს,  
რადგან იგი დროს გართმევს და შრომაში გაწამებს.

შენ არ ჰგევხარ სხვა ქალებს როგორც ნამდვილს—არაკი!  
მტკიცე თითებს დაგილობობს თაფლის რძე და კარაქი.

დაგყოლია სიტუროფე გაჩენილხარ რა დღესაც!  
არ გჭირდება ფერადი, უმარილის წაგლესა!

სხვები სახეს უსისხლოს იღებავენ ლაქებით,  
შენ კი—თვითონ სისხლი ხარ და სიცოცხლე ნაქები.

მჯერა, შენისთანებით ყოფნა მტერს უმძიმდება!  
ახალ საქართველოში კერა აღორძინდება.

ფშაურ ძროხებს დაჰხარი, არჩევ მუდამ ჯიშთანს.  
გლებს მომავალს უმზადებ ჯერ არ ნახულს, იშვიათს.

გნახე ქალი! ერთი ხარ! ნეტა მრავალს ვნახავდე!!  
გრძნობა ჩემი ამაღლდა, შენთან სწორი გამხადე!

## თ ა გ ვ ი ს ვ ე რ ი ლ ი

(ანექდოტი)

ჩემს გმირს, ქოსა იოსება მეეტლეს, იქნებ არ ეყოლოს თავისი ბიოგრაფი-ვინმე მაკოლეი ან პლუტარხი.

ღირსი კი არის!

დრო, პიროვნება, და ის დაკვარჯლა მდგომარეობისა, რომელიც თანსდევდა იოსებ ქოსას ცხოვრებას, მკვლევარს მოითხოვს; და მე მხოლოდ კბილის მატლათ გაუჩნდები ისტორიკოსებს—სანამ ამომწურავ მასალებს არ შეკრებენ, იდაონ, თუ ვინ იყო დამნაშავე იოსებას ასე ტრაგიკულათ განვიღილ დღეებისათვის.

საიდან დავიწყო ბიოგრაფია?

იოსებას ბაბუადან?

ხომ ადვილი მისახვედრია, რომ ბაბუამისი უეჭველათ იცხოვრებდა ბატონ-ყმობის დროს, რადგან საავადმყოფოში იოსებას ლოგინს Curriculum vitae აქვს და ზედ აწერია 24 წლისა.

და ბატონ-ყმობის დროს, ცნობილია როგორც დაგვიმტკიცა სახელმწიფო კინო-მრეწველობამ და ზ. ჭიჭინაძემ, ბატონები დილით სჭამდენ ფარეშს, შუა დღეზე უღელში აბამდენ შინაყმას და ღამე კი აუპატიურებდენ მოახლეებს, ზოგჯერ თავის საკუთარ ქალებს და უფრო ხშირათ კი ყმების ცოლებსა და ქალიშვილებს.

მაგრამ, მე როგორც საბიოგრაფიო მასალების შემკრებს, მომეცეს ნება ერთი ვიკითხო:

რა წოდებისაა იოსება?

თუ თავადები და აზნაურები, (მათი რიცხვი საქართველოში ყოველთვის დიდი იყო) ასე საუზმობდენ, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მამრობითი სქესის გლეხი მეტათ იშვიათ სულიერს წარმოადგენდა; რათ უნდა ვიფიქროთ რომ ერთად ერთმა შექმას გადარჩენილმა გლეხმა სწორეთ იოსებას მამას გაკეთებაზე მოიცალა; ასეთ უნიკუმს კნეინები და დიდ-დიდ აზნაურთა ქალები, რომელნიც უსაქმობისა, გარყვნილებისა და გადაგვარების გამო, ვერ იქნებოდენ სხვებისთვის სასურველი, არ დაუთმობდენ უბრალო დედაკაცს.

თანაც ცნობილია, რომ გლეხის ქალებს სულ აუპატიურებდნენ და აუპატიურებდნენ თავადები. მაშ გააუპატიურებდნენ იოსების ბებიასაც,

რა თქმა უნდა,—ამას გვეუბნება სალი ლოლიკა და ისტორიული საბუთები.

პირველი ლამის უფლება დაკანონებული იყო ხომ!

ამგვართ, გამოდის რომ იოსებას ან სრულიად არ ყოლია ბაბუა (გლეხი არ შეიძლებოდა ყოფილიყო), რაც შეუძლებელია, ან და იგი დიდი აზნაურის შთამომავალია, რასაც ჩვენ ვერ დაუშვებთ, რადგან აზნაურიდან და ისიც ბაბუა-აზნაურიდან მოთხრობის დაწყება არხიბურჟუაზიულ-ანარქისტულ გადახრას მოწმობს და ამაზე უკაცრავათ. ჩვენ...

აი სანამდი მიგვიყვანა ამბის შორიგან დაწყებამ!

და ან კი რა საჭიროა?:

დავიწყებ ,აბა, მამიდან.

მაგრამ, როგორც გვარწმუნებენ ჩვენი ბელლეტრისტები, ეხლანდელი ახალგაზრდა თაობის მშობლები არც სჭამდენ, არც სვამდენ, არც მუშაობდენ და არც გაერთობოდენ.

ისინი დადიოდენ საიდუმლო კრებებზე, დაჰქონდათ წითელი ბაირალი და ისროდენ ყუმბარებს, მაშასადამე საიდან გაჩნდა იოსება, რომელსაც შემდეგში ქოსა დაარქვეს და რომელიც, მე თვით მინახავს, მეეტლე იყო, და დადიოდა სამტრედიის—ხონის—იანეთის, იშვიათად, ქუთაისის გზებზე.

სასწაულს მივმართო, რომ იოსები უბიწოთ ჩაესახა დედა მისს? არა, არა!

აქ ნებას მივსცემ ჩემს თავს ჰიპოტეზა გამოვთქვა და შემდეგ ისტორიკოსებმა განიხილონ და განმარტვლონ.

მესამეჯერ რომ მამალმა იყივლა, ოთახშიაც გვარიანათ შენათლდა, გოგილა-მენახშირემ შუბლზე ხელი, გადისვა,

იამა, სუფთა პერანგი რომ დაინახა ტანზე, საბანი ასწია და ისეთსავე ნიფხავს დააკვირდა, შენიშნა რომ ხელ-მკლავიც, გულ-მკერდიც სუფთა ჰქონდა, და ეს ყველაფერი თავის ცოლის ედუკის „მოკვარაჭინებულ საქმეთ“ ჩასთვალა, აბა ვინ გამაპატიოსნებდა, ეშმაკით ვიყავი გამურულიო.

ნათლად მოაგონდა, რომ ეზოში ჩამოიყვანა ნახშირის ნარდათ მყიდველი, დედაკაცს გადასძახა, აბა დაგვიფაცურდიო. ხარები გამოხსნა ურმიდან, მათ საჭმელი მიუყარა და, როცა ხის ძირში მივიდა,

ედუკის უკვე მიეტანა კბილი ყველი, მწვანილი, ტყემლიანი ფარგა, ცეცხლზე გაფიცებული კეცის ჭადი, ბოთლით ჭაჭის არაყი და დოქით ღვინო და სტუმარ მასპინძელი ერთდამავე სიტყვით დიდხანს ართობდენ ერთმანეთს:

— დალიე, შე კაცო, რამდენჯერ დაგიღვეინებია ძალით, ახლა მე უნდა დაგაღვეიო, რავა, დუქნის არაყი ჯობია ამას?!..

— დავთვერი, ძმაო, მეყოფა—ყოველი ჭიქის დაცლის შემდეგ უპასუხებდა სტუმარი.

მერე სტუმარი წავიდა (ააშენა ღმერთმა, სამი ურემი ნახშირი დააბევა!) ჭიშკრამდი გაჰყვა და უკან შებრუნდა ცოლის მაღლიერი, რომ დავალებულ სტუმართან არ შეარცხვინა, და ზედმეტად მხიარული...

მერე კი მერე... აღარათფერი ახსოვს... მართალი რომ თქვას კაცმა... ღვინომ უწია.

და მოგონებითაც ხელმეორეთ ნასიამოვნებმა, მხიარულმა გადახედა თავის გვერდში მწოლ ცოლს, რომელსაც თვალები ოდნავ გაეღო და ელამათ შეჰყურებდა.

თუ ეს ლანდი იყო, კარგი ლანდი იყოს და უბიწოთ ჩასახული იყოს ამ წამს ჩემი ქოსა იოსება მეეტლე.

ცხოვრება ნელა მიდის, მაგრამ ჩვენ მოკლედ უნდა მოვკრაოთ. აბა სად ვსდიოთ მართლაც ერთ ნამცეც ჩანასახს, სანამ ის განვითარდებოდეს, ცხრა თვეს მუცელში გაივლიდეს, ათასგვარ საკვირველ ცვლილებას გადაიტანდეს და დაიბადებოდეს.

მოკლეთ კი ასე იქნება:

ორი წლის იოსებას დედა მოუკვდა.

17 წლისას მამა.

დედინაცვალმა მზითევი უკანვე მოითხოვა.

დაკმაყოფილებამ ვალები გამოიწვია.

ვალებს სარგებელი უნდოდა.

და აი მზრუნველმა იოსებას ურჩია—მეეტლეობა დაეწყო.

მზაკვრული აზრიც ჰქონდა მზრუნველს, შეიძლება

ერთი აზრი კი არა, ორიც:

ასაღებდა თავის საკუთარ დანჯღრეულ ეტლსა და

ჯახრიკა ორ ცხენს და

სამუშაოთ გადასული იოსება არ დასტოვებდა ოჯახს და არ შეაყიდდა მზრუნველს თავის უძრავსა და მოძრავს.

მზრუნველი მართლაც გულთმისანი გამოდგა:

გარდა სახლისა და ეზოსი ყველაფერი მის ხელში გადავიდა,



რადგან იოსებას მეეტლეობა დიდი კაცების მოხელეობათ ჰქონდა თავდაპირველათ წარმოდგენილი—ვერ გაერჩია მაინცდამაინც განსხვავება კოფოზე ჯდომასა და შიგ ჯდომას შუა.

შემდეგ კი რომ დამოწიფულდა, დავაჟკაცდა, შეჩვეული იყო და ცოტა ნალდი ფული, ბევრ სიმინდსა და გოჭ-ქათამს არჩია.

ცოლიც მისი ჰკუის შეხვდა.

ნელ-ნელა ჯახრიკა ცხენები ლანდებს დაემსგავსენ და ისვენებდენ სწორედ იქ, სადაც ჩვეულებრივ ეტლი მიჰქრის—დაღმართში, რადგან აღმართში ისე მიდიოდენ რომ ძნელი შესამჩნევი იყო, ეტლი მოძრაობს თუ არა, ხოლო სწორ გზაზე თამამად მიჰყვებოდენ ხარურემს.

თავის გასამართლებლათ იოსებას ყოველთვის ჰქონდა ბევრი რამ სათქმელი:

— არ გამიკეთა, ბატონო, დეიქცა მისი ოჯახი, კარეტნიკმა ბორბლები, აგერ ორი თვეა ვეხვეწები, შენ არ შეგჭამოს მიწამ!

— ფული არ მიგიცია უსათუოდ, იოსება ჩემო!—შენიშნავდენ მასავით მშვიდი მგზავრები.

— იმე, შე დალოცვილო, ბე ქე მივეცი, და ყმათ ხომ არ დოუდგებოდი!—ვითომ ბუზლუნობდა იოსება. მაგრამ უფრო სისწრაფის მოყვარული მგზავრები შეაყვირებდენ:

— ტყუილს ამბობ, შე ქოსა, შენა... ერთი წლის წინათ რომ მოგყავდი, მაშინაც ასე არ მითხარი?.

— თუ არ გჯერა, ვინ გეხვეწებოდა ჩემ ფაიტონში რომ ჯდებოდი,—გაჯავრდებოდა იოსება.

მგზავრებმა შეარქვეს, მგონი, იოსება მეეტლეს—„ქოსა“.

მაგრამ ყოველიფერს საზღვარი აქვს.

სინებით შეკონჭილ ბორბლის პალოებს თავები სრულიად მოაღება, ბორბალზე შემოკრული სალტე მოცვდა; წინ დასადგამი სკამი, ერთ ფეხზე დაყენებული, თითქოს მიეჩვიაო, სწორეთ იმ დროს დაქანდებოდა, როცა ზედმდგომს ეგონა, აწი აღარაფერი მიჭირსო..., მავთულებს ვინღა სჩივა, ბალიშებიდან წამოვიდა თივა, ნაჭერი და ოცი წლის ნამარაგევი მტვერი და ვადადარია.

ეტლს თუ სრულიად გამოცვლა არა, დიდი ხნით დაყენება და შეკეთება სჭირდებოდა, და ცხენებს სატყავეთ გაყიდვა.

და აი დინჯის ნაბიჯით ავიდა სხვენზე იოსება შენახულ პარკის ჩამოსატანათ, იმედით სავსე, რომ მისი ეტლისა და ცხენების გადამხალისებელი მალამო იქ იყო... და, როცა გახსნა ქისა.... ნახა, რა ნახა... ნიკოლოზის გატკიცინებული, წითელი თუმნიანების მაგიერ შიგ იყო გაცრეცილი გაზეთის ნახევები.....

გაჩერებული ეტლი. მხოლოდ ტყავისთვის სავარგი სამი ჯახ-  
რიკა ცხენი... ოთხი პატარა მშიერი ბაფში და ცოლი, ცოლი, რო-  
მელსაც საკადრისი მზითევიც კი მოჰყვა...

და იოსება მეეტლე... გამოლენჩდა. დადიოდა უხმოთ... სულ  
მარტო... აძლევდენ — ჭამდა, არა და, — აქნევდა თავისთვის ხელს, იტ-  
რიალებდა ჯიბეს, დღეში ასჯერ ადიოდა სხვენზე და, თუ სიტყვა  
წამოცდებოდა, უსათუოდ რუსული:

Никакой ни чорт. Никакой ни чорт.

შეულოცეს... პირში წყალი შეასხეს... შეაშინეს ვიომ... ექიმ-  
საც აჩვენეს.

არაფერი! მხოლოდ უმატა:

Никакой ни чорт. Никакой ни чорт.

დრომ მაინც წალმა მოაბრუნა იოსება.

დამშვიდდა.

ჯახრიკები გაჰყიდა. გაჰყიდა ეტლიც და აპირებდა ტაჩკის  
მოწყობას.

— ერთ ცხენს გაუბამ შიგ და რაცხას ვეწევი, რაც მოხდა,  
მოხდა — სასოწარკვეთილებით ამბობდა იოსება.

ცოლს თითქოს მეორეჯერ ეშოვოს სასურველი საქმრო — უდი-  
მოდა, ეარშიყებოდა, უვლიდა, ამხნევებდა.

ერთ დღეს თითქოს აიწყვიტაო, დაიწყო ღრიალი:

— დავხოც, ქვეყანას დავწვავ, ვის ემასხარავებიან, ვისი სასა-  
ცილო ვარ. გამიშვით — და მარჯვენა ხელით მართლაც ამტვრევდა  
ყველაფერს, ურტყამდა ყველას;

პირიდან დორბლი მოსდიოდა.

მარცხენა ხელში კი ეჭირა პატარა ბარათი.

— ეს რაა, ეს რაა — ყვიროდა ვიჟი, მივარდებოდა ჭიშკართან  
და ისევ ბრუნდებოდა დერეფანში.

ყურადღება მიაქციეს.

ჭიშკრის დირეზე ეკიდა ჩამომხჩვალი თავვი, და როცა გაგიჟე-  
ბული იოსები შეჰკრეს და ხელიდან ბარათი გამოგლიჯეს, შემდეგ  
ამოიკითხეს:

„შენი ფულის მოპარვაში ნურავის დასდებ ბრალს... გავბრიყვ-  
დი, დავტკვირე ისენი — მეგონა გავმდიდრდებოდი, მაგრამ სინილისის  
ქენჯნამ ამიტანა, და აი შენს ჭიშკარზევე ვიხიობ თავს.“

ანგარების მსხვერპლი, სინანულით თავჩამოხჩობილი შენი თა-  
როს თავვი“.

ამის შემდეგ იოსება არ გამობრუნებულა, გონება არ დაბრუ-  
ნებია, არც ექიმებს აქვთ მორჩენის იმედი.

წევს საგიჟეთში.

— : —

## მტარვალის ჯილდო

ეს მოხდა მაშინ,  
ქარიშხალიან ცხრაასხუთში,  
თუ უფრო იქით,  
არ მახსოვს კარგათ,  
მაგრამ ფაქტი  
აქ, თავის ყუთში,  
აღბეჭდილია  
და ვიხმარ თარგათ.  
მაგონდება ქალაქი,  
მდიდარი და ვრცელი,  
და შავი ზღვა  
გემებით სავსე პირამდე;  
გარადოკი; ბარცხანა;  
ნავთის ქარხნების ქსელი  
და ბუხრის თავების  
პირამიდები.  
აქ კაპიტალი,  
ელდენით აჩქერებული,  
აურზაურით  
მიდამოს იკლებდა;  
არც შრომა იყო  
გაჩერებული, —  
მომავალ ბრძოლისათვის  
ძალ-ღონეს იკრებდა:  
იმართებოდა კრებები;  
დემონსტრაციები;  
ცვივოდა ფურცლები;  
ფრიალებდა წითელი დროშა...  
ხელისუფლებას  
წელში აცივებდა,  
მაგრამ არ ჰკარგავდა  
უბრალოთ დროსაც.

და რომ გაესრისა  
მეამბოხეთა რიგები:  
ზოგს ახრჩობდა,  
ზოგს ციმბირში გზავნიდა,  
ზოგისთვის მიჩენილი ჰყავდა  
იუდა „შპიკები“...  
ან კი, კაცმა რომ სთქვას,  
რას აგებდა თავნიდან?  
უჯდა მაგიდას და  
უწრუპუნებდა დაგეშილ ძაღლებს.  
და ამ ძაღლებში პირველობის ზარს  
ლევან გურიელი რეკავდა:  
გადასულ ამბების ახლა  
წარმოდგენა არ შეუძლიათ ახლებს,  
მაგრამ მე მინახავს,  
მის მათრახს ქვეშ მსხვერპლი როგორ ცეკვავდა!  
აი საჯაყი საქმე  
და უღმობელი ბედის დაცინვა:  
გურიის მთავრის ამაყი ძე  
და ნაშიერი ისე წახდა,  
ისე დაჩიავდა  
და დამცირდა,—  
დამსჯელ რაზმის  
ასისთავად გახდა.  
დააჯირითებდა ახლა  
ქუჩებში ბედაურს,  
უკან კაზახები მისდევდა  
და იმას სჩადიოდა,  
რაც სურდა:  
ვაი იმას, ვისი სახეც არ მოეწონებოდა,  
ამ ძაღლთაპირების მეთაურს!  
მაგრამ ყველაზე მეტათ  
„გრძელ თმიანი წოწიალისტები“ სძულდა!  
მახსოვს მრავალი  
ასეთი მაგალითი:  
მწვანე გაზატყულო  
მთის ყურზე ეკიდა;  
დილა იყო წყნარი

და მარგალიტი;  
მზე სხივებს ისროდა  
ფირუზის ეტლიდან;  
ზღვის ტალღებს ეძინათ;  
ქარხანა გუგუნებდა;  
ალაყათის წინ  
უმუშევრები იქექდნენ თავებს;  
რიგი მოწყენით იდგა,  
უგუნებოთ,  
რიგს კი — გაემართა  
კამათი მწვავე;  
მათ შორის ერთი  
ყველაზე უფრო ცხარობდა:  
ალბათ კუჭში  
შიმშილი უჯდა ბურჯათ! —  
მოგეხსენბათ, ეს ვაჟბატონი  
მუდამ გაბედული და ჩქარია  
და არ უყვარს  
ყოფნა მუნჯათ.  
ჰო და, მუშაც ამბობდა:  
„ჩვენ შიმშილით ვიხოცებით,  
როსტილდები და მანთაშევეები  
შამპანიურს ხუხავენ...  
რად არის ასე: ჩვენ ოფლს ვიხოცავთ  
და სხვები კი არხეინათ სხედან  
ბედნიერების მუხაზე?!“  
და გამხდარ სახეზე  
გაუკრეჭავი თმა უშნოთ ეყარა  
და ამღვრეულ თვალებში  
უბრწყინავდა ბრაზის ნამი.  
უცბად გამოჩნდა გურიელი,  
ცხენზე რომ ემყარა,  
და გადაასხა თავზე  
ირონიის შხამი:  
„შენ, ეი, ყაზახო!  
მეტათ დაგგრძელებია თმა და ენა  
და საჭიროა დავამოკლოთ,  
აი ასე!“

და ათამაშდა მათრახი.  
გაიმართა სცენა.  
და მანამდე სცემდა,  
სანამ არ ჩაიკეცა, ტანჯვით სავსე!  
ეს ერთი შემთხვევა.  
სხვაც მახსოვს, უფრო დიდი,  
და არც დამავიწყდება  
არასოდეს:  
პირველ მაისის წინა დღე იყო,  
სისხამი და მშვიდი,  
ღამე დღეს აბარებდა  
თავის ცოდვებს;  
სამაისო ფურცლებით  
მოეფინათ ქალაქი:  
გაჩითული იყო ყორეები,  
კედლები, თუ ბოძები.  
ყველა კითხულობდა: დიდი პატარა,  
მიკიტანი, დალაქი  
და, ასე გასინჯეთ,  
საროსკიპოდან გამოსული ბოზებიც.  
მოჰფრინდა გურიელიც  
მოითხოვა დამნაშავე,  
მაგრამ სად იყო?—  
მის ადგილზე კედლები დარჩა  
და უბრალო მოქალაქენი,  
ვინც არაფერს არ აშავებს,  
მხოლოდ თავის საკუთარ საქმეს  
აქახრაკებს და ითვლება ჩარჩათ.  
მიუხედავად ამისა,  
მათრახები მაინც ამუშავდა  
და ციხეები  
გაივსო ხალხით.  
ასე რომ არ მომხდარიყო,  
არაფერი არ უშავდა,—  
მაგრამ ეს ხომ შემოსავდა  
ხელისუფლებას თალხით?  
მეორე დღეს დემონსტრაცია  
მაინც გაიმართა:

ათასობით გამოვიდენ  
ქალაქში მუშები;  
აგუგუნდა მარსელიოზა;  
წითელი დროშა აიმართა:  
და ხალხით გაიჭედა  
მოედნები და ქუჩები;  
ითქვა სიტყვები  
და ლოზუნგი დაირხა:  
„პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა,  
შეერთდით!“  
მაგრამ არც გურიელს ეძინა;  
მისი ბრძანებით ბევრი სიცოცხლე დაიხა  
და უმანკო სისხლი  
მიწას შეერთო!  
ასე ჟღერდა ჩვენი რაინდი  
უდანაშაულო მასას  
და იყო თავხედი  
და ზვავი...  
მაგრამ, ერთხელ,  
წამოეწია სიკვდილი მასაც  
და „შავტუხა ბიჭმა“  
ისახელა თავი.  
ასეა მუდამ: ხალხის მოღალატეს და გამცემს,  
ტყვია დასცემს!

— : —

## ოქროს წვიმა

როცა წვიმა აპრილისა ტყეებს აზანზარებს,  
გაფოთლილი ცისარტყელა ყვითლათ დაიკოკროს,  
მაგონდება:

თავს უშვერდით პირქაფიან ღარებს  
და გვჯეროდა სქელ ქოჩრებზე დაგვდიოდა ოქრო!

ირმის ძუძუ შხაპუნებდა, მინდვრებს ესეოდა,  
ცისარტყელა ბრიალებდა, ვით ხოხობის ყელი;  
ჩვენ კი ოქროს ხუჭუჭები სიზმრათ გვეზღებოდა,  
მაგრამ სიზმრებს თან გადაჰყვა ყრმობა საყვარელი!

ეხლა აღარ ერეკება იაგუნდებს წვიმა,  
აღარც ყვითლათ იღებება გაზაფხულზე თმები;  
ჩვენი სოფლის ორღობიდან, სადაც თოვს და ცივა,  
აქეთიქით გავიხვეტეთ ღანის მეხრეები!

— სად ხართ, ჩემო ცანგალებო, ცეროდინა ძმებო!?  
წვიმამ პირი მოიქაფა, დულს ღარები სავსე,  
გამოვცვივდეთ თავშიშველა, ისევ მივეგებოთ!

— მოგუგუნე ქარიშხალებს ვუშვერთ ეხლა თავსა,  
თმაა ცეცხლით და ნაცარით გარუჯული ხავსი;  
ის წვეთები ოქროული იყო სისხლის წებო!

დღეს ახალი ცისარტყელა ცაზე დაიჭიმა,  
მკლავი მაგარ, მაგარ, მაგარ, ჩაქუჩი და ურო!  
დააცეცხლე!

რომ სიცოცხლე ყველგან გავახუროთ;  
ჩვენი ოფლის ოშხივართ მოგვყავს ოქროს წვიმა!

1925 წ.  
ს. პატარძელი.



# ყივჩალური სიმღერები

## I

ყივჩაყეთისკენ თეთრი ტრამალი  
გააქათქათა მოზღოკის მთვარემ;  
გულის ნაწვიმი და ნატამალი,  
თუ რამე შემრჩა—ვიმღერო ბარემ:  
„მენავეთათვის და მოგზაურთა!“  
შავი ზღვის ნისლებს ამოვეფარე!


მოსჩანს სამშობლო, ივრის ვაზები,  
როგორც სასანთლე გაჩაღებული;  
შორიდან რაზე მელამაზები?  
გული მაქვს გულთან დაჯახებული!

ნუ გამინათებ, ნუ გამიჩაღებ,  
ირმის ნახტომებს ვემარტოები;  
შავს ყურღანებში სძინავთ ყივჩაყებს,  
თავქვეშ უგიათ თოქალთოები!

სიზმრათ ჰხედავენ რომის პალატებს,  
გარმონს უკრავენ დონის ქალები;  
დარიალს ველარ შემოანათებს  
მათი ჭიხვინა ცხენის ნალები!

როგორ გატორეს ხმალით ტრამალი,  
როგორ ამტვრევდნენ გულისფიცარსა,  
მაგრამ ვერ ნახეს ქვეყნად წამალი  
და გამწარებით ხრავენ მიწასა!.

ქ. მოზღოკი.



საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

2064  
წიგნი

## ხსოვრების გულიდან

ჰჰრის, ჰჰრის!

(გულდენი ლიზას)

Слишала-ль ты: как бедняки  
На этом свете умирают?

შემოდგომის ძლიერი ქარიშხალი სასწრაფოთ დააქროლებდა შავს, სევდის მომგვრელ ღრუბლებს, რომლებთან განდამონადენ კოკისპირულ წვიმას ერთნაირი ბუჭი აეყენებია დედამიწაზედ. სასტიკი ცივი ქარი გულმოსაკლავად გაჰკიოდა არე-მარეში, გაჰკიოდა და აკივლებდა მთელს არე-მარესაც... სტიროდა ბუნება. ტარო შესხმული სიმინდის ყანა უმოწყალოდ იყო გათელილი ტალახში, ასე გეგონებოდათ მთელი შავი ძალა კაცის სამტროდ შექმნილი ერთად შეერთებულა ადამიანის ნამოქმედვეის წინააღმდეგ, რათა ერთის და-

\*) ჭ. ლომთათიძის ამ უამარ აღმოჩენილ დაუბეჭდავ მოთხრობათა ისტორია ასეთია:

როგორც საცენზურო კომიტეტის საქმეებიდან სჩანს, ავტორს „ცხოვრების გულიდან“ დასასუქდათ წარუდგენია 1901 წ. ჟურ. „მოამბეს“ რედაქციაში, სადაც კიდევაც დაუბეჭდავთ ჟურნალის მე 11 ნომერში მოსათავსებლად, მაგრამ საცენზურო კომიტეტის ის აუკრძალავს: „В виду непочтительного обращения к духовенству“ 15/IX. 1901.

როგორც აღმოჩნდა, იმავე 1901 წელს, 21/XII, ჭ. ლომთათიძეს, მას შემდეგ რაც „მოამბეში“ აწყობილი „ცხოვრების გულიდან“ აკრძალეს (15/IX), „ცნობის ფურცელის“ სურათებიან დამატება № 17-ში მოთავსებულია იმავე სათაურის (ცხ. გულიდან) მატარებელი პატარა მოთხრობა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს შინაარსეულად მოყვანილ „ცხოვრების გულიდან“-თან, გარდა სათაურისა.

ამრიგად ახლა ჭ. ლომთათიძის ნაწერებში არის ორი ერთიდაიგივე სათაურიანი მოთხრობა: პირველი, რომელიც 1901 წ. 2 დეკემბრის გაზ. „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაბეჭდა და მოთავსებულია ავტორის მოთხრობათა 1 ტომში და მეორე ზემოთ მოყვანილი, რომელიც ჩვენ მიერ ამა წლის 30 ნოემბერს, კავკასიის საცენზურო კომიტეტის არქივში იქნა აღმოჩენილი.

კვრით მოსპოს ამ ჯიუტი ადამის ტომის მონაგარიო. ხშირია ამნაირი ამინდი გურიაში. და აი სწორედ ამ დროს, ამ ნაირ სურათის მაცქერალი გურული სტოვებს თავის განუშორებელ, თანდაყოლილ სიმხიარულეს, და მოწყენილი რაღაც ორაზროვნად გასცქერის გატიტვლებულ მიდამოს. გურული გურულია, მაგრამ გული მასაც აქვს, მისმა გულმაც უნდა იგრძნოს უიმედობა, თუ გინდ ეს ერთი წუთით იყოს?.. ძლიერი იყო შავი ძალა შემოდგომის ამინდის მიერ გამოწვეული, უძლური იყო იმასთან სუსტი წინააღმდეგობა ადამიანისა, ისე უძლური, როგორც უძლური იყო გოგია თავისი დაუპატიებელ სტუმრის პავლიას წინ, რომელიც ვერც ამ ჯოჯოხეთურ ამინდს დაეკავებია, შემოეყვანა გოგიას სახლში ბოქაული უკანასკნელ ცხოვრების სახსრის წასართმევად.

— მადროვე პავლე, შენი ღვთის გულიზა, პაწე მადროვე და მოგცემ შენს ვალს! ემუდარებოდა გოგია,

— „მადროვე, მადროვე!“ სანამდი უნდა გადროვო ჩემო ძმაო რაც გადროვე ისიც კმარა!

— თუთხმეტი დღე მადროვე და მოგცემ, დაგეწინდრები და მოგცემ.

— აღარ შეიძლება!.. მეც ანგარიშები მაქ. მეც ჩემი მოვალე მყავს. შენ, ჩემო ძმაო, რა იცი რა გაჭირება მადგანა... სამასი მანათი ამ ერთ თვეში დაგხარჯე... ხაზინა როის მაქ!..

— მაი კი შეგიძლია პავლე, ნუ წაიწყმენდ სულს! სამაგიეროს ღმერთი გადაგიხდის... მეც კაცი ვარ!..

— ღმერთი-დიდება მის სახელს—ტყულებ აფერს იძლევა, ხელი თვარ გააქანე... ბატონო პრისტავო აბა აი კარდალე ნოხი და ფარდაკი—ერთ თუმანში ჩავაგდოთ!

— რას ჩივი პავლე, ორი თუმანი „ნოხ და ფარდაკში“ მივეცი „მარინობაზე“... რავა შეგერგება მაი...

როგორც ირკვევა „ამონაკვნესი“ უნდა მოთავსებული ყოფილიყო 1904 წლ. ჟურ. „კვალის“ № 4, მაგრამ მისი საკორექტურო ფურცელი, რომელიც ახლაც ცენზურის არქივშია აკრძალულ იქნა.

„ამონაკვნესი“-სათვის, როგორც სწინ ავტორს შემდეგ თავი მიუხეებია, ისევე როგორც „ცხოვრების გულიდა“-სათვის, ანუ ისინი სულ სხვა სახითა და შინაარსით კვლავ გამოუყენებია მასალად. ყოველშემთხვევაში მის ორტომიან მოთხრობათა კრებულში, რომელიც 1925 წელს გამოიცა ია არაა მოთავსებული.

„ამონაკვნესის“ აკრძალული საკორექტურო ფურცელი ინახება ამჟამად ა/კავკ. საც. კომ. არქივში.

პ. გუგუშვილი.

— ჭამა ქონებაზე კიდია... შენ გიღირდა-მიგიცია, მე კი რად მინდა მაგი სხვაი რომ რამე გქონდეს... მომეცი ჩემი ფული და ვინ მამაძალი მაგი წაგართვას აბა ბატონო პრისტავო, შემდეგ ბელელი ავწეროთ მგონი ათავდეს ოცდა ხუთ მანეთში!

— ღმერთმა შეგარგოს პავლე, მარა...

ძლიერმა ქარმა გოგიას აღარ დაათავებია სიტყვები და სახლის თავზე აახედა, საიდანაც რამდენიმე კონა ისლი მოძვრა და ჰაერში გაიპნა...

\* \*

ჰქრის, ჰქრის!.. ამინდი არ ცხრება, ის ისე სასტიკობს, როგორც გუშინ.

არ სცხრებიან არც გოგიას მოვალეები.

— აბა, გოგია, გადასახადის ფული! შეალო კარები „პოპოშნიკ-მა“, მის უკან ერთი იასაული ამოტუზულიყო და ტალახიან ფეხს საკარულს ახოცდა.

— პიჯვარი დეიწერე, რეის გადასახადია! გუშლამ რომ წვილეთ, აბა, იგი რა ჯანდაბა იყო!..

— იგი კი მარა მამასახლისმა რომ ფული შეჭამა იმის „ედონიკა“ არის გადასახთელი ოთხმანეთნახევარი.

— ვაი, იგი შეჭამა მიწამ და მისი ოჯახი ამუაგდო ღმერთმა!.. თუ შეჭამა, გადიხადოს და ქე იქნება!.. მე სა მაქ ორჯელ გადასახადი ფული!..

— რა უყო ძმაო, ასე გუუჩენია ღმერთს და...

— რავე გუუჩენია!.. მამასახლისმა ფულები შეჭამოს და გოგიამ გადიხადოსო. ასე გუუჩენია? არა, ასე გუუჩენია მაი?

— გოგია, მაგის დროი არ არის ახლა! „პრიკაზია“ მოსული და ერთ კვირაში ფული უნდა წავარდგინოთ ხაზინაში. შეიტანე, თვარა საწინდარს გევიტანთ!

— მოდით, მოდით აბა! გამყიდეთ, შემჭამეთ, თუ მაგის კანონი არის... ქენით, რაც გინდებიენ...

ქარი კი ჰქრის და ჰქრის... კვნესის ბუნება, თითქო თანაუგრძნობსო გოგიას კვნესას. მაგრამ ასეა ეს? არ ვიცი, მხოლოდ გოგიას ყურძენი კი სანახევროდ ყრია ძირს, გოგიას ყანა სანახევროდ გათელილი და ჩაფლულია ტალახში. ვითომ თანაუგრძნობს მას ვინმე?—

\* \*

— შეგვეწიეთ ღმერთი შეგვეწევათ, შეგვეწიეთ, მონასტერს ვაშენებთ! ჩამოიძახეს გოგიას ეზოში მონაზვნებნაც.

— თქვენ მაინც მომშორდით, თქვენი მაინც არაფერი მმართვებს! ყრუდ წამოიძახა გოგიამ და პირი შეაბრუნა იმათ.

— ღმერთის ყველა სულდგმულს მართებს, შვილო, ღმერთის ყველას მართებს!.. უმტკიცებდენ განდევილები, მაგრამ ვერ გასჭრა მათმა ლოლიკამ.

— ღმერთი, მევალე, ხელმწიფე, მტერი, ნათესავი, მთელი ჯანდაბა და კურმუხეთი—ყველას მე რაფერ გაუძლო, ყველას ერთმა კაცმა რაფერ გაუსწორდეს!.. მომშორდით გამეცალეთ აქედან!..

— რავაც კაი ყოფილხარ ისე კარქა დაგხდება ღმერთი ყოველად წმინდა ღვთაშობელი... ქე გეტყობა და აწი კიდევ ნახე.

— გადით, გადით თქვენ კუდიანებო, გადით მეთქი აქედან.

— ვის უბედავ შე მურტალო ყაზახო მაგას, ჩვენ ნაკურთხი მონაზვნები ვართ კუდიანები? ჩვენ ვართ კუდიანები?

— კუდიანები ხართ ჰო. კუდიანები!.. ჰაუჰო აქედან თფუი, თფუი!..

— ხომ კი ასე, ხომ ასე!..

— კიდევ არ მშორდებით, რა გინდებიან ამ ჩემ სახლში! თქვენ... ქარის კივილს ერთი განდევილთაგანის კივილი შეუერთდა...

\* \* \*

— ბიჭო, შენ რავა აგინე ღმერთი აჰ! ღმერთი რავა აგინე მეთქი!.. ფეხების ბაკუნით ეუბნებოდა ფერწასულ გოგიას „პრისტავი“.

— არა ბატონო! ღმერთს რავა აგინებს მონათლული კაცი, ისე რავა დაკარგავს რჯულს და მირონს!

— აბა არც ხატიზა შეგიფურთხებია?

— არა ბატონო, მაგის მქნელს ცოცხლათ გუუსკდება მიწა, ცოცხლათ, წეიყვანს ეშმაკი...

— აბა არც მოლაზვნები გაგილახავს?

— შევცდი ბატონო და მაპატივე... ვერ შევიკავე თავი მაპატივე შენი ჭირიმე ბატონო!.. შევცდი!..

— შესცდი, აი შეცდომის წამალი... და გოგიას ზურგმა ზედი ზედ გამოსცადა ერთგული მათრახი კანონის აღმასრულებლისა.

— მაპატივე, შენი ცოლშვილის სამადლოთ, მაპატივე!..

— Ах ты скотина ты такая! я тебе покажу как ругать бога и монашек!

— შეგცოდე და შემინდე ბატონო!..

— Взять его!

\*  
\* \*

წვიმა და თოვლია ერთმამეთშია არეული. შემოდგომის დარები ზამთრის დასაწყისად შეიკვალა და სიცივეებიც ძალიან უმატა. გოგიას ნაობახტიდან გამოსვლის შემდეგ სადაც მან სამი დღე და ღამე დაყო, ახლება გაუჩნდა და თუმცა ეს ავადმყოფობა როგორც იყო მოიშორა თავიდან, ლოგინიდან მაინც ვერ აღგა. აი დღესაც ის წევს სარეცელზედ და საეჭვოდ ახველებს. მისი ცოლი ხშირად მიდის გაჭვარტლულ ღვისშობლის სურათთან და ლოცულობს ევედრება ღვთის დედას მოურჩინოს ქმარი, აპატიოს მის მიერ მიგზავნილი მონაზვნების შეურაცყოფა. ყველამ შეინახა წლის სარჩო, ყველამ ასე იყო თუ ისე მოამზადა საზამთრო ბინა. მხოლოდ გოგიას არ უხვია არატურისთვის ხელი მისთვის არც სიმინდი, არც შეშა, არც სხვა რამ, გარდა სიმშილისა, წყურვილისა და უიმედობისა, რაშიაც ვერც პავლე შეედრება, ვერც მამასახლისი, ვერც მონაზონი, ვერც ბოქაული, ვერც ვერავინ...

— ღმერთო ნუ დამიქცევ ოჯახს, ნუ მიზამ მტრის გასახარელს ევედრება გოგია ღმერთს და ამ ხშირ ვედრებას ხან და ხან მარტო მაგარი ხველა თუ გააწყვეტინებს.

ამინდი კი სასტიკობს და სასტიკობს, ძლიერი ქარი ებრძვის გოგიას სახლს, ებრძვის მინდვრის შუაგულზე წამოჭიმულ მუხას, ებრძვის გაღმა დაფენილ, გატიტვლებულ ტყეს, ებრძვის ყველაფერს... და სევდა, გაუვალი შავი სევდა იპყრობს გოგიას, მის ცოლს, მთლად მის ოჯახს, ამ საერთო მოწყენის და უიმედობის დროს.

\*  
\* \*

არე-მარე თოვლის თეთრ სუდარს მოუცავს. ნელ-ნელა თოვს: მაგრამ აი დაქროლა დასავლეთის ქარმა. თოვლმა იმატა. ქარი გაძლიერდა და თოვლის კორიანტელი ბლომად შეაყარა გოგიას სახლში მაგრამ გოგია არსად სჩანს, ის კარგა ხანია რაც მიაბარეს შავს მიწას, მისი სოფლის სამარეს.

შენ დაამშვიდე საცოდავი, სამშობლო მიწავ! უ-უჰ! დაიგრიალა ქარმა და კედლებს მიაცემია წკრიალი. უ-უ-ჰ! უფრო მაგრად მიარტყა ძლიერი ტალღები სასტიკმა ქარმა და ბავშვები კერასთან მაცვივდენ სადაც ისე მიმქრალიყო ცეცხლი, რომ ოჯახის კატას საჭიროდ დაენახა შიგ ჩამძვრალიყო.

— ნენა მშია, მში-ა!.. წამოძახა ერთმა ბავშვმა.

— ნენა, მშია-მშია! მიემატა მეორე.

— აი გველი შექამეთ აღარა, თუ მისდღემში არ გშოოდენ...  
ყვედრებით წაილაპარაკა დედამ და ცივი ჭადი მისცა ბავშვებს.

— ნენა მცივა, მცივა-ა! დაიძახა ერთმა.

უ-უჰ! დაიგრიალა ქარმა, რომელსაც ბანი მისცა მოტკლეცილ  
ხის ყრუ გამოძახილმა.

— ნენა მცივა, მცივა!..

დედამ ჩამოიღო ჭერი, დააპო და ერთ წუთში მშვენიერი ცე-  
ცხლი გააჩაღა. ბავშვები შემოეხვივნენ ცეცხლს და მშვენიერი მხია-  
რული ბუქნა ჩამოუარეს. ბუნება კი სასტიკობდა და სასტიკობდა,  
თითქო გული მისდიოდა ბავშვების მხიარულებაზე, ცივი, ძვალამდი  
ჩამტანი ქარი კი საიდუმლოდ ეუბნებოდა: დამიცადეთ, ეს ცეცხლიც  
ჩაქრება, ეს ჭერებიც დაილევა, მე კი ისევ ისეთი ცივი და სასტიკი  
ვიქნები, როგორც დღეს ვარ და გუშინ ვიყავიო.

მოუსწრებს იმათ გაზაფხული, გათბებიან ობლები? არ ვიცი,  
მხოლოდ ჯერ კი ქრის და ქრის, ჯერ კიდევ სცივათ სამშობლო ქვეყ-  
ნის ობლებს!..

## კ მ ლ ნ ა კ ვ ნ მ ს ი

(ლექსი პროზად)

(გუძღვნი ლ. ჰანტურიშვილს)

ისევ მარტო ვარ... ჩვენ გარემოს ყვავილთა გროვას, ცელქი ნი-  
ავი საიდუმლოდ ესაუბრება და ბაგე გაშლილ პირბადრ მთვარეს,  
როგორც დედოფალს, გარს ახვევია მოციმციმე ვარკვლავთა კრება.  
გულში ჩაკვრია არე მარეს მკვდრული სიმშვიდე, დღიურ ვარამით  
დაქანცულსა ქვეყანას სძინავს, არ სძინავს მხოლოდ ამ ოხერ გულს  
თავის ბუდეში, ვით გაღიაში დამწყვდეული ლომი, ის გმინავს. რით  
დავამშვიდო?..—ეს იქვები, შავი იქვები ნალველნარევი სიმღერებით  
მივსებენ გულსა—არა ვიცი რა, მეღირსება კიდევ თუ არა თავი  
შევსწირო, მტლად დავედო ჩემს სიყვარულსა!..—

კვლავ მაგონდება გულისტოლო, ნეტარი წამი, როცა პირვე-  
ლად ააჟღერე ციური ჩანგი და გულდაკოდილს, იმედ მიხდილს,  
ბეჩავ შრომის შვილს, მისი ჰანგებით გადამფერე გულისა ჟანგი!  
მე იგი მახსოვს აბა იმას რა დამავიწყებს ჩემ ოცნებათა მძლე  
ფესვები იქ არის რგული, იმ ხმებზედ იგრძნო ჩემმა გულმა, თუ

რა ხილია თავისუფალი მისწრაფება და სიყვარული; იგრძნო გულმა და იმედმაც აქამდე მხდალმა, ფრთები გაშალა, ცის ციაგში გაიციქრიალა და ჩემ არსებას, მოდუნებულს, არაქათ მოშლილს, წამს შეეძინა დაუძლევი, ღიადი ძალა. და იმა ძალმა წინ გამწია, გზას მიმითითა, ცხოვრების გულში დამანახა საყვარლის სახე, სარკე-რხეული, საყვედურით აჭრელებული, სად ვრცლად სწერია ჩვენი ხვედრი და სივარება. „წამიკითხეო, იხატოდა იმის ფურცლებზე, აქ გაიგებთ, რომ ორივეს ერთი გვაქვს ბედი, ერთად დავსცეთო ბრძოლის ველზე მძლავრი ყიყინა, ერთად ვიყოთო განთიადის წინამორბედი!“

მეც წავიკითხე, მაგრამ აჰა აღარ მცილდება რაც შიგ გავიგე იგი ვამცნო ქვეყნიერებას; სნეული ვზივარ და სატრფოზედ დაშორებული ოცნებით თუ ვსჭკრეტ იმის წარმტაც მშვენიერებას...

იჭვი იჭვს მოსდევს, სევდა სევდას, ფიქრები ფიქრებს, ვერ დავალწიე იმის კლანჭებს სნეული თავი... ეგერ კი ცაში რა მაცდურად გადმოკიდულა, მხიარული და მოციმციმე ნაზი ვარსკვლავი:

მითხარ მიამბე ვარსკვლავო მისი ამბავი, შენ ხომ დასცქერი მშვენიერსა ჩემსა იმედსა! გეცოდინება თუ რასა იქმს, რა გადუჭრია მის ბოროტ ხვედრსა! მიამბე მეოქი გვედრები მისი ამბავი!..

ის კი იცინის და ციმციმებს ცისა ციაგში, მიწისა შვილის როდი ესმის ხვეწნა—მუდარა, მას არ აწუხებს აქაურთა ჭირი, ვარამი, და ჩირად უჩანს შეძახილი ჩვენი მუქარა. ოჰ, ვიცი, ვიცი—ცის ვარსკვლავი და ცისა მთვარე აბა რას არგებს დედამიწის ზურგზე მდგომარეს!—

ისევ მარტო ვარ... მთა მაღალი, მთა მიუწვდომი უთანაგრძნობოთ გადმომცქერის მწუხარს თავზედა და არე-მარეს მიძინებულს, სხვა სიზმარში მყოფს დარდი არა აქვს თუ რას ვჩივი მომავალზედა. და ეს იჭვებიც... საზარელი, შავი იჭვები, ნალველ ნარევი სიმღერებით მივსებენ გულსა... არა ვიცი რა მეღირსება კიდევ თუ არა, გულში ჩავეკრა, ვემსახურო ჩემ სიყვარულსა!—

— : —



ღღეს, როცა წინ ღვანან მასები

I.

მე მქონდა სოფელში ოდა,  
გადახურული ყავრით,  
ეზოში ჭანდარი იდგა  
როგორც სიამაყე...  
მტერი და მოყვარე მოდიოდა,—  
ვათრობდით ღვინით და არაყით.  
მღეროდენ, ლალობდენ  
ოჯახის წევრები.  
ჰყვოდა ბაღნარი,  
ტყეები და ყანა;  
კედელზე ეკიდა ძველი სატევრები  
და ნაქარგ ტარიელს  
ვეფხი აეყვანა.  
მე მახსოვს ძაღლები:  
ყელისა, თოლია,  
ყურშავა სამზირზე ბევრჯერ წამყოლია.  
კურდღლებზე ვნადირობდი გაზაფხულის პირას;  
ფეხმარდი მწევარი  
ჰყეფდა და უტევდა.  
მე დავსეირნობდი  
ორშაბათს და კვირას,  
მაგრამ დასვენებულს  
ტყეში მუხის ძირას,  
მაინც მომაგნებდა და  
მტანჯავდა სევდა.

II

მე მქონდა ქალაქში ნესტიანი ბინა,  
ერთი ფანჯარა ჰქონდა,  
როგორც ცალი თვალი,

უცეცხლო ოთახში მეძინა,  
მომენატრებოდა მზე და გაზაფხული,  
ხშირად ოცნება იყო ხმელი პურის ფული,  
მაგოამ შეეხვდებოდი ქუჩაში ამხანაგებს,  
სახე მხიარული,  
მუდამ მომღიმარი,  
ვიტყოდი:  
„ტოლსტოი სისულელეს ქადაგებს,  
„Непротивление злу“, არის ზღაპარი!...  
მერე სოციალიზმზე იწყებოდა ბჭობა.  
მსოფლიო საკითხებს ვარჩევდით ნოქრებთან,  
ჩვენ გვწამდა  
იდეის ჩვენის გამარჯვება,  
ჩვენ გვწამდა  
მსოფლიოს მძლე აბობოქრება.

### III

დღეს  
როცა წინ დგანან მასები,  
დიდ აღმშენებლობის გეგმა-ნახაზებით,  
მე მიხარია,  
როგორც მოქალაქეს,—  
თუ ხიდი გაკეთდა,  
თუ სახლი ააგეს.  
სოციალიზმისკენ რომ გზას იკაფავენ  
კოლექტივები და მშრომელთა ნადები,  
რომ ახალ ცხოვრებას სჭედენ და მართავენ,  
რომ ადამიანი ახალი იბადება.

— : —

## ახალი საქართველო

(გუძღვნი გიორგი ახვლედიანს)

მზე აჯამეთის ტყეს გადაშორდა;  
ცა მაჭარივით წითლად დაბინდა;  
ჩაღების ზვინი წელში გასწორდა  
და მიეფარა ცას პირამიდა.

ჩანდა ფერსათში ზვინი ჩაღისა  
ხეზე ქობივით პაპუასების.  
ასე ზვინავდა ბაბუა ჩემი,  
მამა და მისი მამა მამისა..

ღვლეჭით შეკრული აღარ მსურს ტივი,  
თუმც აჯამეთის მუხამ იმარჯვა, —  
პაპათა მაჯის მომაქვს პატივი  
და მათი ჯანით ახალი გარჯა.

წელს დააცალა გლეხებს ამიდმა —  
ყანები, მწიფე ვენახი, რთველი  
და ხელში ჯიხვის რქა თუ მომინდა  
ვისი ბრალია ეგ საქართველო?

გადაწურული ღგება მაჭარი  
და მკლავის სიმხო სიმიდის ტარო.  
ჩამორეკილი ნიგვზის კაჭალი  
მინდა ბავშივით უბით ვატარო.

ავავსოთ ქარვის მტევნით კალათი.  
აღარსად ეგდოს გორახის ყუა,  
რომ არ ერჩოლოს ვაზებს ბაღდათის  
მახრა მჭამელი და ჭია-ლუა.

შემოვაყაროთ მწკრივში ნაკელი  
და თუ დღეს ჯობნის რიონს რეინი, —  
მწამს ბურგუნდიის ჩქეფზე ნაკლები  
არ მოვა ღვინო აქ „პორტვეინი“.

დედამიწასაც მალე დატორავს  
ძრავი მზიდავი ათასი ტონის,  
კოლექტიური და უბატონო  
მუშათა რკინის ხელი-ტრაქტორი.

მზე აჯამეთის ტყეს გადაშორდა.  
ვიდექ შუბანზე. მერჩოდა ღონე.  
ფიქრი შუბივით წელში გასწორდა  
და შურდულივით გადავიაროლე.

მაღალ უშბაზე თოვლი უდნობი  
განათებული იყო და ჯილა  
ზედ შუქიანი ვარსკვლავი იჯდა,  
როგორც ჟინჯილილი დიდი უქრობი.

ჩანს ქუთაისი, მთა სანიავო,  
ტყე სალორია დიდველი ჭალა.  
გავხედე რიონს და მე მიამა  
ზღვა ჩირაღდნებად ელდენის ძალა.

ახლა ტინობის გათხრილ აუზში  
მძლე ტურბინების ცემენ ტორები;  
შავ ზღვაზე პორტი და პაკგაუზი,  
უზარმაზარი ტრანსპორტერები..

ტყეში ბანაკი რომ მოჩანს ქვევით,  
რომელ მტრის ჯარის არის „არავა?“  
ნიჩაბით-ბარით და წერაქვებით  
გადაუშლიათ მუშებს კარავი.

ეს არის გმირთა სხვა ილიონი —  
ინჟენერები, ძმა — ჭიჭინაძე...  
არ დგას ოსმალთა ბათალიონი  
აწ ვარციხეში მტრების ჯინაზე.

თოფ-ზარბაზნების წინ აღიმართა  
თავისუფლების ბჭე — გალავანი  
და ურაგანში უხმობს მძინართაც  
მაღალ საყვირის ხმა — ბარაბანი.

სოფ. როკითი.

1928 წ.

— : —

## ქუბოს უიხრები

(აზრი აღებულია)

მატარებელი პატარა სადგურზე გაჩერდა. ვაგონიდან ჩამოვედი; ბაქანი და მორჩილი დარბაზი გავიარე; სადგურის მეორე მხარეს კიბესთან შევრჩერდი. იქვე მდგარი ერთად ერთი მარხილი შეინძრა, ფიფქი თოვლი შეარხია, ზარები ააჩხარუნა და ჩემსკენ წამოვიდა. ცხენის განიერ ნესტოებს, ორ ტოტად ორთქლი შუქივით მისდგომოდა. ცხვრის ტყავში გახვეულ ახალგაზრდა გლეხს, ცხენის სადავეები ხელში დაეჭირა და მარხილის კოფოზე ციყვივით წამომჯდარიყო.

— ვისი ხარ?— შევეკითხე.

— ვეზირიანთი გახლავართ!

— შესახვედრათ გამოგგზანეს?

— დიახ! პატარა ვატონის ამხანაგი მოვაო, ასე მითხრეს!..

— მაშ, წამიყვანე!..

მარხილი დაიძრა და ლიანდაგის გვერდით ფიფქიან თოვლით მოფენილ შარა გზას გაჰყვა. სადგურზე სამჯერ ჩამოკრეს ზარი. მყუდრო მიდამოში ორთქმავლის კივილი გაისმა და ჩვენს მახლობლად ყრუთ გახრინგიდა მწვანე კოლოფები. მერე შავ ხაზათ აინიშნა თეთრ სივრცეში და შავი კვამლი ჰაერში გაჰფანტა.

პატარა მარხილი, თავ ახდილ კუბოს რომ წააგავდა, გოგმანით მისდევდა ცხენის კუდს.

ირგვლივ ტრიალი მინდორი, თეთრ ზეწრათ გადაშლილიყო. შორს მოსჩანდა აწეული მთები შაქრის თავებივით.

უკვე დაშორებული მატარებელი შავ წერტილათ მოსჩანდა ტრიალ სივრცეში. მყუდროებას ცხენის ფრუტუნნი და მის კისერზე ჩამოკიდებული ჟღარუნები არღვევდა. მარხილი რწევით მისრიალებდა ფიფქიან თოვლში.

აქა იქ თეთრი პერანგებით შესუდრული ხის ტოტები, ლიანდაგის პირად გაყოლებული ტელეფრაფის ბოძები, გათეთრებული მავთულებით და ზევიდან რძე გადასხმული ცის გუმბათი. ჩემს წინ ცხვრის ტყავიანი ზურგი და ცხენის უკანა ნაწილი.

— შენი სახელი ძმობილო?— მივმართე ზურგს.

— მიტრო, ბატონო! — თავი მოიხარა ჩემსკენ და მიპასუხა.

— ბევრი კურდღლებია წლეულ, მიტრო?

— ძალიან ბევრი გახლავთ, ბატონო!

— დადიან ხოლმე სანადიროთ?

— როგორ არა! ამას წინადაც ჩვენმა დიდმა ბატონმა ბარე ცხრა კურდღელი მოიტანა მოკლული. ამიდიც დალოცვილია და!

— დიტო რას შვრება, ისიც ნადირობს?

— პატარა ბატონი? როგორ არა!.. მაშ, სხვას რას გააკეთებს სოფელში!

ცხენს მათრახი აუღირა, სადავეები ცალი მხრით მოსწია და მარხილი სოფლის გზას გაუყენა. ლიანდაგი ახლა ზურგს უკან მოგვექცა.

აღმართში მიმავალ ცხენს, კუნთები დაჭიმული ჰქონდა და ნელი ნაბიჯით მიდიოდა. მიტრო კი, წარა-მარა მათრახს უღერებდა ცხენს უჯავრდებოდა და თითქო გამოსალაპარაკებლად არ სცალოდა, ყურადღება მხოლოდ ცხენისკენ ჰქონდა მიქცეული.

ჩემი მიზანი ვეზირიანთში მისვლისა, ნადირობა იყო. სკოლის ამხანაგი— „პატარა ბატონი“, — როგორც მიტრო უწოდებდა, მეპატიჟებოდა ავსულიყავი მასთან და მამამისთან ცნობილ მონადირესთან ერთად— ნადირობაში მონაწილეობა მიმელო.

დიდი ხანი იყო გასული, დიტო არ მენახა. მისი სასწავლებლიდან დათხოვის შემდეგ, მე უკვე რუსეთი მოვიარე, უნივერსიტეტი გავათავე, — ის კი, ისევ ტფილისში ატარებდა უდარდელ თავადურ ცხოვრებას; ეხლა კი სოფელში ცხოვრობდა მამასთან და მეც იქ მეპატიჟებოდა,

აღმართში მარხილი ქანაობით მიდიოდა. ისმოდა ცხენის ხშირი ქლოშინი და მყუდროებას არღვევდა ჟღარუნების გამალებული წკარუნი.

აღმართი ავათავეთ. გორაკის გადაღმა ეკლესიის გუმბათი გამოჩნდა და მის გარშემო, წიწილებივით აბუზული სოფლის ქოხები. ბუხრის თავებიდან ზანტად ჰაერში თეთრი კვამლი იზმორებოდა. ხეებს ტოტები გაშიშვლებული მკლავებივით მალლა აეშვირათ.

სოფლის ნაპირად, მალლობ ადგილზე, ქვიტკირის ორ სართულიანი სახლი გამოიყურებოდა, როგორც განდგომილი ბატონის მრისხანე, სახე და სოფელს დასცქეროდა, როგორც მწყემსი გაფანტულ ცხვრის ფარას.

ეს იყო ჩემი მასპინძლის სახლი. გარშემო შემორტყმული

ჰქონდა მაღალი ქვიტკირის გაღავანი. ეზოში დიდრონი კაკლის ხე-  
ები, მსხვილი მკლავებით, სახლის სახურავს თავს გადადგომოდა.

დაღმართზე დაშვებული მარხილი, გამალებით მისრიალებდა.  
აკვანივით ირწეოდა. მალე სოფლის პირად, გვერდზე გადაწოლილ  
წისქვილთან ბოგირი გადვიარეთ. მერე ორღობეში შევიჭვრით, ორი-  
ოდე სოფლის ქოხს გვერდი აუარეთ და სასახლეს მივადექით.

მარხილი ჟღარუნით ალაყაფის ღია კარით ეზოში შეცურდა.  
პატარა რკალი გაკეთდა და კიბესთან შეჩერდა. მარხილიდან გადმო-  
სვლა ვერ მოვასწარი, რომ კარი გაიღო და „პატარა ბატონი“ წინ  
მომეგება.

— ოო, კოტე, კოტე!.. მადლობა ღმერთს მოგიხერხებია და  
წამოსულხარ! — ჩვენ ერთმანეთს გადავხვით.

— წერილი, ხომ მოგწერე, ამ დღეს ჩამოვალ მეთქი, და მაშა-  
სადამე ჩამოვიდოდი კიდევც!..

— კი მაგრამ, მე მაინც ეჭვი მეპარებოდა!

— სხვა დიტო, როგორა ხარ, როგორ ატარებ დროს! — შევეკი-  
თხე მეგობარს, როცა დარბაზში შევედი.

— აბა, რას იზამ ამ გამოყრუებულ სოფელში! რა უნდა გავა-  
კეთო! მამაჩემს ასე ჰგონია, როგორც მას უტარებია დრო სოფელში  
ცხოვრებით, შვილმაც ისე უნდა გაატაროსო და ქალაქში ყოფნის სა-  
შუალებას არ მაძლევს!

დიდი დარბაზის კედლები ხალიჩებით იყო მოფენილი. ბუხარში  
ცეცხლი ღუზღუზებდა. სხვილტანიანი შეშის ნაპობები ერთმანეთს  
ჩასკიდებოდნენ და ალის გრეხილებში გახვეულიყვენ. ავარდნილი ალის  
ენები, გველებივით აყირავებულყვენ. წითელი ნალვერდალი ბრო-  
წეულის მარცვლებათ გადაშლილიყო ნაცარში.

მეორე მხარეს. — განიერი ტახტი, ხალიჩით და მუთაქებით  
დაფენილი მის ზევით მთელი კედელი სავსე იყო სხვადასხვა გვარის  
თოფებით, დამბაჩებით, ხპლებით და ხანჯლებით. დამშვენებული იყო  
ირმის, შველის და გარეული თხის რქებით.

გაციებული ხელები ცეცხლს მივუშვირე დიტოს კი ნელი ხმით  
ვუთხარი:

— მამა შენს ვერ დაემდურება კაცი!

— როგორ ვერ დაემდურები! ერთად ერთი შვილი ვარ, ამხე-  
ლა ქონება ვინ უნდა შესჭამოს მაშა!

— განა როდისმე ცოლის შერთვას არ აპირებ?

— მერე?

— მერე ის, რომ ცოლი გეყოლება, შვილი...

— ეჰ! სანამ ეგ მოხდებოდეს, ასე ბერივით უნდა ვიცხოვრო? ჰაი გიდი, ტფილსო! „ტილი პუჭურო“ და „პურ-ღვინო!“ არა, შენ თითონ როგორმე უნდა დამეხმარო და მამა ჩემი დააჯერო, — ტფილისში გამიშვას! ერთი ისეთი გაქეიფო ტილი-პუჭურში, რომ სულ ქუდები მალმა ვისროლოთ...

ჩოხის განიერი სახელოები გადაიწია, მაჯებზე ვიწროთ შეკრული შავი აბრეშუმის სახელოები გამოიჩინა, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და დარბაზში გაიარა. მაღალი ტანი, ვიწრო წელით, მოქნილი იფნის სახრესავით ირხეოდა. ლამაზი შავგრემანი სახე ჩოხა-ახალუხს შეენოდა.

კარგად ვიცოდი დიტოს ოჯახის ამბავი. მამა მისი შეძლებული თავადი იყო. სოფლის ცხოვრება უყვარდა. ადგილ-მამულს არ ავირავებდა, არ ჰყიდდა. სოფლის ახლო დიდი მთა ჰქონდა, ტყეს ამუშავებდა; ტყის პირად, მთის ძირში ფიცრის ქარხანა ჰქონდა გამართული. დამუშავებულ მასალას, მახლობელ სადგურით, რკინის გზას აძლევდა.

ადრე დაქვრივდა, მაგრამ მეორე ცოლი არ შეურთავს. სოფელს არ მოსცილდა. ერთად ერთი ვაჟიშვილისთვის ზრუნავდა. უნდოდა შვილი ნასწავლი გამოსლოდა. ამიტომ არაფერს აკლებდა. სასწავლებლის გარეშე, მასწავლებელი ჰყავდა დაქვრივი და შვილს ამზადებინებდა, რათა კლასიდან კლასში გადასულიყო. მაგრამ შვილი სწავლას გაურბოდა. მისი გონების ყური სულ სხვა გზით იყო მიმართული.

უფროს კლასებში გადასვლისთანავე, დიტომ სწავლაზე სავსებით აიცრუა გული და ქეიფს მიჰყო ხელი. მალე სასწავლებლიდანაც დაითხოვეს. მამას ეს ამბავი ძალიან ეწყინა. არ უნდოდა შვილი უსწავლელი დაეტოვებინა. ამიტომ კიდევ მასწავლებლები დაუჭირა, კიდევ ამზადა, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. მერე სამხედრო სასწავლებელში შეიყვანა, მაგრამ ისიც ვერ გაათავა და ისევ გარეთ დარჩა. ერთ ხანად ასე უსაქმოდ ცხოვრობდა ტფილისში. მერე მამამ ისევ სოფელში წაიყვანა და ახლა აქ იმყოფებოდა.

დარბაზში მალე თვით „დიდი ბატონი“ შემობრძანდა. მაღალი — მოკლე ახალუხით და ჩექმებით. წვერ გაპარსული, გძელი უღვაშებით და წინ მოზიდული ჭალარა შერეული წარბებით. ოთახში რომ გაიარა, თითქო ყველა საგნები დაჩრდილა მისმა ახოვანმა ტანმა.

მას თან მოჰყვა მაძებარი და წევარი ძაღლები. ზოგი წკმუტუნით „პატარა ბატონს“ მივარდა და თითებით პოტინი დაუწყო. ზოგი კუდის ქნევით, თავ აწეული „დიდ ბატონს“ შესცქეროდა და მის გარშემო ტრიალებდა.



ერთმანეთს მივესალმეთ. მოვიკითხეთ.

— სხვა? როგორ იმგზავრეთ! ქალაქში რა ამბავია?

— მშვიდობა! ყველაფერი ძველებურად!— ვუპასუხე.

— კარგა ხანია ქალაქში არა ვყოფილვარ! რომ ჩამოვალ ხოლმე სული მეხუთება, ასე მგონია გალიაში დამამწყვდიეს მეთქი!

და გადაიხარხარა, მძლავრი მჭექარე ხმით. ჭარხალივით წითელი ლოყები დაეჭმუჭვნა, თვალები წარბების ქვეშ ჩაძვრენ.

კმაყოფილი და გამარჯვებულის სახე ჰქონდა. იმ ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა, რომელმაც თავისი ფასი იცის. ღირსებას დაიცავს და უპირატესობას გაგრძნობინებს.

— შენ იქ მიგაჩნია თავი გალიაში და მე კიდევ— აქ! ჩაუროთო დიტომ.

— რათა შვიდო! არ გეყო ქალაქში ცხოვრება? ახლა აქ იცხოვრე!

არ მინდოდა ამ თემაზე ლაპარაკი გაგძელებულიყო, ამიტომ „დიდ ბატონს“ მივმართე:

— ბატონო ლუარსაბ! როგორ გგონიათ, ხვალ კარგი ამიდი იქნება ნადირობისათვის?

— ეგ უნდა ჩვენ ტყისმცველ გაბროსა ვკითხოთ, ჩვენი ამიდის კალენდარი ის არის და არც შესცდება ხოლმე!

— ბიჭო, გაბრო!..— მჭექარე ხმით გასძახა კარებში.

მალე კარებში აიმართა ჩოხაში გამოწყობილი ქერა ახალგაზრდა. ორივე მხარზე ვაზნები ჰქონდა ჩამოკიდებული. ქამარზე მოზრზდილი ხანჯალი ქანაობდა. ხელში ბერდანის თოფი ეჭირა. კარებთან შეჩერებული ჯარის კაცივით იყო გაჭიმული და ბრძანების მოლოდინში ბატონს უცქეროდა თვალებში.

— ბიჭო, ხვალ საკურდღლაგო ამიდი იქნება, თუ არა?

— შეეკითხა ბატონი.

— როგორ არა, სენი წირიმე! ამაღამ უსათუოდ ითოვებს! ოსური კილოთი მისცა პასუხი გაბრომ.

— მაშ, საითკენ სჯობია რომ წავიდეთ?

— რა ვიცი სენი წირიმე! თქვენ უკეთ არ მოგეხსენებათ? მე საითაც მიბრძანებდეთ იქით წავიდე!

— მაინც?

— ყინწვისისკენ უნდა სჯობდეს!

— მაშ, შენი სიტყვა იყვეს! ფიცრის სახერხ ქარხანასაც ვინახულებთ. მოემზადე ხვალისათვის!

— ბატონი ბრძანდებით! იმ დღესაც ბატონო, ერთი გლეხი სევისწარი ტყეში! შესასა სჭრიდა!

— მერე რა უყავი?

— ბაჟი არა ჰქონდა გადახდილი. ცული წავართვი და მამა-სახლისთან მივიყვანე!

— ჰოო! ყოჩაღ, ყოჩაღ!

— სხვას ხომ არას მიბრძანებ ბატონო?

— არა, წადი!..

ვახშამი ადრე ვჭამეთ. რადგან საკურდღლოთ მივდიოდით იმ ლამეს ადრე დავწექით.

მეორე დღეს ჯერ კიდევ ბინდი იყო, რომ გზას გავუდექით. სოფელს ეძინა. ძაღლები ჰყეფდნენ. ახლად მოთავებულ გზას ხრაშა-ხრუში გაჰქონდა. მალე სოფელს გავცილდით. მხრებზე თოფებით გადაკიდებული, მივარღვევდით ფიფქი თოვლის ტალღებს. წინ გაბრო მიდიოდა, მერე დიდი ბატონი, შემდეგ მე და ბოლოს პატარა ბატონი. ძაღლები დიდ ბატონს გვერდზე მისდევდნენ.

გზა ტყის ნაპირად მინდორს მისდევდა. ბინდი თანდათან ლეღებში და ტყეში ძვრებოდა.

მალე მზის სხივებმა ნისლით მოცული არე გააპო და თოვლის თეთრი ნამცეცები მილიონ წერტილებათ ააბზინა. თითქოს ალმასის ნამსხვრევები გაფანტულიყო გზის პირად.

ჩუმი ფეხის ხმა და გაკვალულ თოვლის ღარი, რჩებოდა უკან. პაპიროსის წევით მივყვებოდით წინ წასულ გაბროს. პატარა მდინარე გადვიარეთ და ვიწრო ხევს გავყევით.

უცბად გაბრო გვერდზე გადახტა. მოიღუნა, რალაცას დააკვირდა. მოღუნული რალასაც კვალს გაჰყვა. მერე წელში გასწორდა გახარებული სახით ჩვენსკენ მოიხედა და შესძახა:

— ბატონო სენი წილიმე, დავიწირე, დავიწირე!..

— ვინ დაიჭირე ბიჭო, რა დაიჭირე!

— ვინა და ფიცრის მოსაპარად წასულა ვილაცა! აი, ნახე, მარხილის ნაკვალევი!—ხტოდა და თან კვალს დასცქეროდა.

ყველამ გაბროსკენ მივაშურეთ. მართლაც, ახალ თოვლში ორი ზოლი—მარხილის ნაკვალევი—შევნიშნეთ. ზოლს ღარივით ჩაეჭრა თოვლი და ხეობას მისდევდა.

— აბა გავყვეთ ნაკვალევს, თუ სახერხავთან მიგვიყვანს!—სთქვა დიდმა ბატონმა.

წინ გარბოდა გაბრო. ჩვენ უკან მივდევდით. ნაკვალევმა მალე ტყეში შეუხვია. გაბრო მოტრიალდა. ხელის აწევით გვანიშნა შეჩერდითო. მერე ისევ დაიქნია ხელი. ვიწრო გზიდან ტრიალ მი-

ნდორზე გავედით. იქვე შეჩერებული მარხილი შევამჩნიეთ. გაბრო სიხარულისაგან ხტოდა. ხან წინ გარბოდა, გძელ ფიცრულ შენობისაკენ, ხან ისევ უკან მობოდა. ჩაცუცქდებოდა, თითქო ვილაცას ემალებო. ჩვენც ხელით გვანიშნებდა, მარხილს მოვფარებოდით.

მარხილში შებმული ხარები, აბურძგნული ბალნით, სიცივისაგან კანკალებდნენ. გამხდარი და გაძვალ-ტყავებული, ჩავარდნილი ფერდებით, მწვერებს ჰგავდნენ. გვერდებზე შემხმარი ნეხვი, ისე იყო ჩამჯდარი კანში, თითქო მისი მეორე პირი ყოფილიყოს. ბეჭზე მიმხმარი ტყავი გამხმარ ფოთლებათ გამოიყურებოდა. პირუტყული თვალები, კისერზე წადგმული უღელით, ძირს დაედირათ. ბზის ღეროები ნესტოებში გაჩხირებულიყვენ.

თოვლში ჩაცუცქული გაბრო სახერხავ ფიცრულისკენ იცქირებოდა იქიდან მოვლოდა მარხილის პატრონს. ცხადი იყო პატრონი მალე გამოჩნდებოდა. მართლაც, სახერხავიდან გამოძვრა წელში მოხრილი გლეხი, ზურგზე მოდებული ორი გძელი ფიცრით. ფიცრების ბოლო თოვლზე ეთრეოდა, წინა თავები კი ერთმანეთს ქანაობით ებაკუნებოდა, ხან პირს ალებდა, ხან იხურებოდა. ფირცების ქვეშ კუნძივით შემდგარი შავი წერტილი, ჭიანჭველასავით მოლოლავდა ფიფქ თოვლში.

სულგანაბული ვიდექით და ახლა გაბროს ვუცქერდით. როცა გლეხი მარხილს მოუახლოვდა, გაბრო უცბად წამოხტა, გლეხს წინ შეეფეთა, სახეში შეხედა და შესძახა:

— ბიწო, ლექსო, სენა?..

შავი წერტილი შეჩერდა. მოკაკული მკლავები, ფიცრებს რომ ჰქონდა შემოხვეული, ძირს დაეშვა. ფიცრები თოვლში ჩაიფლო. აბურძგნულ თმასა და წარბებ ქვეშიდან სიღრმეში წასული თვალე-ბით მოგვათვალიერა.

ტყის კაცივით იდგა კუნძათ შეჩერებული. დაჭრილი ნადირის თვალები ჰქონდა, მონადირე რომ ყელში დანას გაუყრის. (მაშინ თვალები უსაზღვრო სევდისა და უმწეობის გამომხატველია). დაგლეჯილ ფარაჯის ნაკუწები ჰფარავდა მის მორჩილ ტანს. თავზე კუ-ტყისაგან ფერდაკარგული სახოცი ჰქონდა წაკრული. აბურძგნულ წვერ-ულვაშში, ბზის თუ ჩალის ღეროები გაწვეტებულიყო.

იდგა თავ დახრილი და შეშინებული. წვერში ჩაფლული სახე ნაოჭებით იყო დაღარული. მოკლე კისერი მთლათ მიიჩქმალა ფარა-ჯის საყელურში.

გაბრო გარს უტრიალებდა და ოსურათ იგინებოდა. ხან ბატონს შეხედავდა თვალეებში და იქიდან ბრძანებას მოვლოდა.

დიდი ბატონი მარხილის კოფოზე ჩამოჯდა. პატარა ხანს შე-  
ცქერდა გლებს და მერე დინჯი ხმით შეეკითხა:

— ბიჭო, საბედაანთ ლექსო არა ხარ შენა?

გლებმა მოლუნული თავი უფრო ძირს დაწია, გაიცრიცა და  
ფარაჯის კალთას დაუწყო თითებით სრესა.

მერე, რა ღმერთი გაგიწყრა? განა მაგას მოველოდი შენ-  
გან? რატომ ჩაიდინე ეგ საქმე? მაგრამ... თქვენ რომ კაცი ადამია-  
ნურად მოგექცევით, სწორეთ მაშინ გაგიწყრებათ ღმერთი! ოო, თქვე-  
ნი რჯული კი ამოვარდა, თქვენი! არა, შე ოხერო და მუდრეგო  
რომ იპარავ, ვისა პარავ? არ იცოდი ვისიცი იყო ეს ფიცრები?..

გლები უმოძრაოდ იდგა თავჩალუნული.

— ეი! შენ გეკითხებიან რისთვის ჩაიდინე ეს საქმე!

მოთმინებიდან გამოსული თანდითან ხმას იმაღლებდა დიდი  
ბატონი! მრისხანე ხმა ყვირილში დადადიოდა და სიბრაზისაგან თვა-  
ლებს კარკლავდა.

თითქო ენა სასას მიეკრა და ვერ ანძრევსო, გაჩუმებული იდგა  
გლები. დიდი ბატონი კი სჭექდა, იგინებოდა, ილანძლებოდა.

— თქვენ უნდა კაცმა მათრახით მოგარჯულოთ, თქვე დათვებო,  
ვირებო!..

მის შორი ახლო მდგარი გაბრო შეინძრა. ჯერ ბატონს შეხედა  
თვალებში და მერე, თითქო იქიდან დასტური მიიღო თავის კითხვა-  
ზე—გლებისკენ გადახტა. გვერდიდან მოუარა. მარჯვენა ხელის გა-  
შლილი სილა სახეში სტკიცა. მერე ხელით კისერში მუშტი ჩაარ-  
ტყა. გლები წაილუნა, მაგრამ არ წაიქცა. ახლა გვერდიდან დაუშინა  
მუშტები—ყურში, საფეთქელში აბურძღნული თმა მთლათ დაიშალა.  
სახოცი თოვლში ჩავარდა. თმები თვალებზე ჩამოუცვივდა.

მაგრამ ქოჩორში მოჰკიდა ხელი, მიიზიდა, დაიქნია და მოლუ-  
ნულ თავ ქვეშ დაუშინა მუშტები,—ცხვირში, პირში, წარბებში...  
მოლუნული გლები მთლად მოიკაკვა და ხელები სახეზე მიიფარა.

— კბილებში, კბილებში, მაგ მამაძაღლს!..

ყვიროდა დიდი ბატონი.

გათამამებული გაბრო გლებს არ ინდობდა. ბერდანი თასმით  
ზურგზე მაგრა მიიჭდო და ორი მომუჭული ხელი ბუქნაობდა ლე-  
ქსოს სახეზე.

ჯერ ულვაშში გამოჟონა წითელმა სითხემ. მერე ეს სითხე ნა-  
კადებათ გაიშალა ლოყებზე და შუბლზე. აბნეულ თმებს შეეერთა და  
წითლათ ააპრიალა.

გაბროს მკლავში გახვეული ლექსოს თავი, დაბლა იღუნებოდა

სახეზე ხელს იფარებდა, მაგრამ გაბრო მუშტს ქვევიდან მოუტარებდა და შიგ ცხვირპირში სცემდა.

— ეგრე, ეგრე!.. მაგ ძაღლრშვილს!.. აქეზებდა ბატონი.

კიდევ და კიდევ ბუქნაობდა მუშტი აწეწილ თმაზე, სისხლით მოთხუპნულ სახეზე. ორ მუშტში ჩაჭერილი თავი, ხან გვერდზე გადავარდებოდა, ხან მოწყვეტილი ჩამოეკიდებოდა კისერზე. თოვლზე წითელი წვეთები აღინიშნა. კიდევ ერთი კისერში ჩარტყმით ლექსომ წაიფორხილა და შავ წერტილად თოვლში კუტივით ჩაიფლო.

ახლა გაბროც შეჩერდა. ქამრის და ბერდანის გასწორება იწყო. სისხლიანი ხელები თოვლით შეიწმინდა და ჩოხას კალთებით შეიშრო. თავზე ბოხოხი ქუდი გაისწორა და ბატონს შეხედა.

დაყურსული უცქრერდით შავ წერტილს, თოვლში რომ იდო გაგუნგული. დიდ ხანს იყო ასე უძრავათ პირქვე დამხობილი. მერე შეინძრა. წამოფოტხდა. მუხლებზე წამოიჩოქა. წითელ თოვლში გახვეული წვერულვაში ჩამოიბერტყა. თავსახოცი მოძებნა და სახე გაიწმინდა.

ცხვირიდან სისხლი კიდევ ჟონავდა და ულვაშებში ძვრებოდა. წამოდგა, თვალები ამოიწმინდა, ცხვირი მოიხოცა. ტყის კაცის დაბალი ტანით, გაბარდნული წვირებით, აწეწილი თმით—ბატონისკენ წაბარბაკდა. მის წინ შეჩერდა.

— მომეცი შენი ჭირიმე, ეს ორიოდე ფიცარი!— წაილულულა.

— რაო? დახე ამ მამაძაღლსა, რაებს მიბედავს კიდევა?!

შენ ჭკუაზე ხომ არ შეიშალე?

— რა დაგაკლდებათ ბატონო, მერე?

— ე მანდ ხმა იკმინდე თორემა!.. იქნებ არ გეყო?..

— მომეცით შენი ჭირიმე, ბატონო, კუბოსთვის მინდა!..

— რაო?

— კუბოსთვის მინდა შენი ჭირიმე!

— რომელი კუბოსთვის!

— ოთხმოცი წლის დედა გადამეცვალა, შენი ჭირიმე!

— მერე, საქურდლათ წამოხვედი?

— მა, რა მექნა შენი ჭირიმე! არაფერი მომეპოვება. მიცვალებულს დამარხვა უნდა თუ არა! ბარელამ არ ჩავიდენდი ამ საქმეს მაგრამ აბა, რა ვქნა, შენი ჭირიმე! მიმსახურე შენი კვნესა მე!..

— მართალია ბიჭო, რომ კუბოსთვის გინდა?

— მართალია შენი ჭირიმე, დედა გადამეცვალა! კუბოს ფული არა მქონდა! ბარელამ ვიცი, რომ ამისთანა საქმე არ უნდა ჩამედინოს, მაგრამ დაუმარხავს ხომ ვერ დავტოვებ იმ საცოდავსა!

ცხვირიდან ჩამოდენილი სისხლი ტუჩებში მოადგა და სახო-  
ცით მოიწმინდა.

— მაშ, კარგი! წამო, წამოიღე ფიცრები! ვნახოთ... და თუ  
აქაც მომატყვილე!.. მაშინ!..

და ბატონმა ისე გადმოკაკლა თვალები, რომ ანთებულ თონეს  
დაემსგავსა.

მალე სოფელში შევედით. ერდოდან სახლს მივადექით. ჩვენ  
დანახვაზე, თავშლებით პირწაკრული დედაკაცები ფუსფუსით აქეთ  
იქით მიიმაღენ. თოვლჭყაპში ჩამდგარი, ფეხშიშველა ბავშვები, აბუ-  
ზული წიწილებივით მიიყუჩენ და განცვიფრებული შემოგვატყერდენ.

წინ გაგვიძღვა ლექსო. თავის სადგომში შეგვიყვანა.

ბნელ ოთახში შორიდანვე გავარჩიეთ ბუხარი. დახუთული ჰაე-  
რი, საქონლისა და საკმეველის სუნნი, ერთმანეთში იყო არეული.  
ოთახის ერთ მხარეს, დაბალი და კედლის სიგძით გაყოლებული ტა-  
ხტი მისდევდა. ამ ტახტის ბოლოში, საბანში გახვეულ, გულხელდა-  
კრებილ მოხუცის მიმჭკნარ სახეს, — გადაბრუნებულ ქოთანზე დანთე-  
ბული სანთლის შუქი, რხევით აკრთობდა.

— აი, ბატონო, დედა ჩემი! — სთქვა ლექსომ.

დიდ ბატონს ხმა არ ამოუღია, უკანვე გამოვტრიალდით.

გარეთ რომ გამოვედით, დიდი ბატონი გაბროს მიუბრუნდა და  
უთხრა:

— გაბრო, ფიფრების ღირებულება ჩაიწერე და მერე სამუშა-  
ოს ქირაში გამოუბარე!..

## როაღდ ამუნდსენ

უნდა შევაგდოთ  
ხალხი ნამუსზე.  
— ყველაზე ლამაზ  
კრიალა ვარსკვლავს,  
ამომავალ მზეს,  
შუბლზე რომ აკრავს  
მისცეს სახელი  
— როაღდ ამუნდსენ.  
პარასკევია.  
თოთხმეტი დეკემბერი.  
მთელ ქვეყანაზე  
მწუხარების  
გაისმის ზარი,  
და დედამიწას  
სწვდება გულამდე.  
ზოგი ორ წუთს გლოვს,  
ზოგისთვის კიდე  
სიკვდილის დღემდე  
გასტანს და გასძლებს  
ეს ვაჟკაცობა  
და სიგულადე.  
მე თვითოდ გავხდი  
ეხლა სხვა კაცი  
და ჩემო თავო —  
გთხოვ და გიბრძანებ:  
— ხმა ამოიღე  
სიტყვა დასძარი,  
ამ ვაჟკაცობას  
ნუ უღალატებ.  
ხალხსაც მიმართე,  
გული გაუხსენ,  
მაგრამ რას იტყვი

ამაზე უფრო  
მომხიბლავ ლამაზს  
პოემა არი  
ორი სიტყვა:  
— როაღდ ამუნდსენ.  
შორიდან მდევდა  
და ეს სახელი  
და ეს ამბავი  
და მოგონებაც  
ნუ იქნება  
დასაძრახავი.

ბავში ვიყავი,  
როცა რიონზე  
ველოდი ოქროს  
ლარტყება მარხილს  
თვალს დავხუჭავდი  
და აღიონზე  
წავუყრუებდი  
დედის დაძახილს.  
მეჩვენებოდა  
ოქროს ტრირემა  
ჩვეულებრივი  
იყო ხომალდი,  
უფრო მხიბლავდა  
გავხდე ირემათ,  
თოვლსა და ყინულს  
რომ აპობს მარდი.  
სულ განაბული  
ვიფარებ საბანს  
და ეს ოცნება

აღარ თავდება.  
 და თუ ეს ლექსი  
 კიდევ ლექსს აგავს  
 —ეს მოგონება  
 მას აქვს თავდებათ...  
 დღეს თვითონ გავხდი  
 ოჯახის თავი,  
 მაგრამ ყოველ დღე  
 ვიღვიძებ ბავშვით.  
 —აღარ სჭირია  
 ცხენს მოსართავი  
 —თვითონ გაიგნებს  
 თავის გზას ლაფშა.  
 ასე ვიგონებ  
 ოქროს ლარტყებით  
 და თეთრ ირმებით  
 გამართულ მარხილს.  
 სხვაც ბევრი დარჩა  
 ალბად ობლებათ.  
 და არც იმედის  
 აქვთ ნატამალი,  
 რომ მოინახოს  
 სადმე „ლატამი“,  
 ან ამუნდსენის  
 მიაგნონ სამარხს.  
 უნდა შევავდოთ  
 ხალხი ნამუსზე  
 —ყველაზე ლამაზ,  
 კრიალა ვარსკვლავს,  
 ამომავალ მზეს,  
 შუბლზე რომ აკრავს  
 მისცეს სახელი  
 —როაღდ ამუნდსენ!..

•••

წამოვიზარდე  
 რიონის ფშანი  
 ისევ ოცნების

ნაგუბარია.  
 გააქვთ ბაყაყებს  
 მძიმეთ ტლაშანი  
 ორკესტრი ჩემი  
 საკუთარია.  
 და ტიუტჩევის  
 ყრუ მუნჯ  
 დემონებს  
 აქ საუბარი  
 აქვთ გამართული.  
 ეს ხმა ასპიტი  
 დღესაც მიმონებს,  
 როგორც მშობელი  
 სიტყვა ქართული,  
 ამ დროს ოცნება  
 დასაძრახია?...  
 დასაძრახია  
 შორს გადავარდე?  
 აქ რომ გემები  
 ჩემი მარხია  
 რა ამოიტანს  
 რომელი ბადე?...  
 ბევრი წამება  
 და ცრემლი მახსოვს  
 ბევრიც უძილო  
 მე ღამე თეთრად  
 გამითევია.  
 სხვამ გამოცადოს  
 ეხლა პოეტმა,  
 ეხლა შემცვალოს  
 ვინმე მეორემ...  
 —„На Полюс,  
 На Полюс,  
 Безим  
 Посещим  
 И новые  
 Тайны  
 Откроем“



მელანდებოდენ  
დაღუპულნი  
თეთრი გემები.  
მელანდებოდენ  
მყინვარები—  
იალქანები.  
თითქო პოლუსი  
დედამიწის—  
გადაჭრილ ყელის  
ამ საიდუმლოს  
გამოცნობას  
ჩემგან მოელის.  
ვხედავ გოლიათ  
დაზნექილ ხიდებს,  
ხელით ვეხები  
ძირს ანტლანტიდებს.  
იმან იცოდეს  
სიღრმე ამ ფსკერის,  
ვინც ღამის თევით  
დღესაც უცქერის.  
ვიცოდი მაშინ,  
როგორც დღეს ვიცი  
რომ იყო კაცი  
ამ კაცს იმ თავით  
ცისა და მიწის  
გული გაუხსნეს.  
—ყველა მგზავრობას  
მე თან ვახლდი  
როაღდ ამუნდსენს,  
განა მართო ერთს  
კაპიტან სკოტს,  
სიკვდილის წინათ  
პოლიუსისკენ  
გზა გადაუჭრა,  
და გადაასწრო?  
ამ სიამაყეს  
ამ ოცნებას  
ბავშობიდან თან

რომ მსდევდა  
ველარ დავთმობ  
ალბად ვერასდროს.  
თვითონ სიკვდილში  
ამუნდსენი  
არ იყო ერთი,  
თითქო ჩვენც გვმარხავს  
ყინულის ზღვა  
— უდაბნო თეთრი..  
უნდა შევაგდოთ  
ხალხი ნამუსზე  
ყველზე ლამაზ,  
კრიალა ვარსკლავს  
ამომავალ მზეს,  
შუბლზე რომ აკრავს  
მისცეს სახელი.  
—როაღდ ამუნდსენ..

რა ვუყოთ მერე  
ასე თავი,  
რომ გადააკლა  
ვიღაც ოხერ  
ფაშისტ-ნობილეს.  
მას ვაჟკაცობა,  
ხომ აღარ აკოდა,  
ის ვიკინგებმა  
დაიძმობილეს.  
ქვეყნით  
ქვეყნამდე  
რაც სულდგმულობს,  
ამაზე იტყვის  
არიან კაცნი,  
ვის სიკვდილსაც  
ქვეყანა სტირის.  
გილბოს,  
დიდერისს,  
როცა ალბად

სული ხდებოდათ  
საკუთარ თავზე  
აღარ სტიროდენ,  
სტიროდენ  
ამუნდსენს  
და ამ ტირილს  
ყინულის ზღვა  
აქამდე-უსმენს.  
ტფილისი.  
ოპერის თეატრში  
ცეცხლი ვარვარებს,  
დროშები ბურავენ  
თავდაცვა-ავიაქიმის  
ქიმიან ვარსკვლავებს.  
მოხსენებას  
კითხულობს  
პროფესორი  
სამოილოვიჩი.  
წითელ არმიის  
და ფლოტის  
სახლში  
ვუსმენთ ჩუხნოვსკის.  
და მაგონდება  
არტურ რემბოს  
„მოვრალი ხომალდი“,  
რომელზეც ქართულად  
იაშვილმა სთქვა:  
„ეს ხომალდია  
საშინელად  
გზა დაბურღული  
გადაგდებული  
უფრინველო  
ეთერში ქარით,  
რომლის გაბერილ  
ჩონჩხს ნაპირზე  
ვერ გაათრევენ  
მონიტორები  
და განზეას

მენაოსნები.  
მას თუ ევროპის  
წყალი უნდა,  
სურს მხოლოდ ფშანი.  
ცივი და შავი,  
რომელშიაც სურნელ საღამოს  
პატარა ბავში,  
მოხრილი და  
კაეშნით სავსე  
სათამაშო ნავს  
გადაუშვებს,  
როგორც პეპელას“.

...

ეს კაცი არი,  
თუ კაცივით  
ჩამოთლილი ქვა?  
მთელ ქვეყანაზე  
საბჭოების  
გმირობა რომ სთქვა,  
და ყინულიდან  
ამოთხარა  
ცოცხალი მკვდრები.  
არ უნდა ჩუხნოვსკის  
მალგრემის ძორი  
არ გავს სხვასავით  
ყინულის მუდოს  
არც აფთარია  
მკვდარი დატკვიროს.  
როცა შიმშილის  
ვადა გავიდა  
მოკლა ყინულზე  
მან თეთრი დათვი  
და ავთანდილის  
წვადი დაუდო.

...

ჯერ არ ყოფილა  
ამ თეატრში

სხვა წარმოდგენა  
უფრო ბრწყინვალე,  
უფრო ბრიალა.  
ისმის ყოველ მხრივ  
„მალიგინი“-ს  
და „კრასინი“-ს  
ხრიალით ქშენა.  
რამდენ მოსისხარ  
საბჭოთა მტერს  
გმირთა ლაშქრობა  
გუნებას უშლის  
ჰკითხეთ ჩუხნოვსკის,  
ჰკითხეთ ბაბუშკინს!...  
თითქო ყინულის  
ჩამოწვა ზვაფი  
— ეს აძლევს ლიტვინოვს  
ძალას და უფლებას —  
ასე გულ და გულ  
ითხოვოს ზაფი...  
დღეს ამ გმირობას  
ქვეყანა უსმენს  
მაგრამ არ ესმის  
მარტო ამუნდსენს.

...

მე რომ ვყოფილიყავ  
გახა წიკლაური,  
რომელმაც ბანივით  
გატკებნა მყინვარი  
ქალარა წვერზე  
ცრემლის ღვარი  
დამდინდებოდა.  
ყველა ჩვენგანში  
მაინც ცხოვრობს  
ეს წიკლაური.  
ყველა ჩვენგანი  
ოცნებას ენდობა  
მაგრამ საწყალ  
გახასაც დასჭირდა  
ჩვენი შენდობა.  
მისთვის რომ გეკითხათ

იქნებ მყინვარზე  
სიკვდილიც ერჩია!...  
აქედან ვხედავ  
საწყალ გახას  
ყინვის საკაცეს,  
აქედან ვხედავ  
გუდამაყრის  
მოხევეთა  
საარყე ქვაბებს,  
და ქელებში  
გამოცლილ ყანწებს.  
მყინვარს  
ყინულის  
ხსოვნა  
თან ახლავს,  
არ დაივიწყებს  
მგელ მუხლა გახას.  
მე არ ვატოლებ  
ამუნდსენს გახას.  
ამუნდსენს არ ყავს  
კაცი ბადალი.  
და მინდა მაინც  
შუაზე გავტებო  
ჩემი ცრემლების  
ყინვის შანდალი.  
და როცა თოვლი  
უბეს აუვსებს  
ყოველი მოხევე  
იტირებს ამუნდსენს.  
უნდა შევაგდოთ  
ხალხი ნამუსზე.  
ყველაზე ლამაზ,  
კრიალა ვარსკვლავს  
ამომავალ მზეს,  
შუბლზე რომ აკრავს  
მისცეს სახელი  
როაღდ ამუნდსენ!..

დეკემბერი 1928 წ.

ქ. ტფილისი.

— : —

## ციმბირის ტყვე

ერთი ეპიზოდი ჩერნიშევსკის ბიოგრაფიიდან

— ცა ეღრუბლება კატორღელის თვალს,  
მალე დადგება დრო უარესი.  
ვერ შეაჩერებს ისტორიის სვლას  
ბრძანება მეფე ალექსანდრესი.

საპყრობილეშიც

ასე ამბობდა

რევოლიუციის მომღერალი ტყვე.  
ციხის კედლებში იდგა ბინდი და  
ციხის გადაღმა  
შრიალებდა ტყე.

შორი ურალით გადახვეწილ ქარს  
მიჰქონდა სიტყვა

„გაულე კარი“!

არვინ აღებდა საპატიმროს კარს,  
სდუმდა ციმბირი და პატიმარი.

სდუმდა მიდამო მზე-ბინდობისა,  
ვიდოდენ წლები

დღე ნისლიანი.

იდგა დროება უბედობისა  
დროსთან იბრძოდა ადამიანი.

— თავისუფლება თუ გინდა მალე  
მეფის ღალატზე აიღე ხელი.  
სამტრო ზრახვები გულში მიმაღე,  
სთქვი აღსარება უკანასკნელი.

უთხრა ჟანდარმმა

და სწორედ იმ დროს,

როცა მან ტუსაღს გაუღო კარი,—  
გატყდა ღუმილი საპატიმროსი:

— რა არის

ბრძოლის გზაზე დავეცე  
თუ მტრის მახვილი მკერდში მესობა!!  
წადი და

სიტყვა-სიტყვით გადაეც  
იმპერატორის უმაღლესობას:

— ვასრულებ ხალხის მიზანს და წადილს,  
რომ დადგეს

მეფის ჩამოგდების დღე.  
ჯალათი მეფის თავით არ დადის  
რევოლუციის მომღერალი ტყვე.

— : —

## სოფელი-კომუნა

### I

#### ბარათი თემალმასკომის

გუშინ მივიღე ღია ბარათი  
ჩვენი სოფლიდან თემალმასკომის,  
მწერენ—გავიდა ოთხი შაბათი  
პასუხი არ სჩანს შესახებ სკოლის,—  
ხომ გაიგებდი გახსნეს ცხრაწლელი  
როგორც გამოცდილს გიწვევენ გამგეთ,  
შენ კი აქედან ისე წახვედი  
თითქოს გვემდური და იგვიანებ.  
თემსაბჭოს წევრებს ჰქონდათ თათბირი  
გამოჰყვეს ცალკე კულტკომისია,  
სჩანს აღარ გახსოვს შენ დანაპირი  
დღეს გაზაფხული და მაისია.  
გზები შეკეთდა, ვკითხულობთ გაზეთს  
ვარჩევთ და ვარკვევთ მრავალ საკითხებს,  
არ შესწრებია კაცი დროს ასეთს  
ვაწყობთ ბოგირებს, ბონდებს და ხიდებს.  
გაჰყავთ მიწები სოფლად აზნეეთის,  
გადათხრილია მიწის წიაღი,  
დღეს მოცალეა არ არის ჩვენთვის  
მოსავლელი გვაქვს ყანა და ბაღი.  
ელექტროდენის გადმოჰყავთ ხაზი  
გადაგვინათებს ეზოს და ქოხებს,  
და ტრაქტორების მადლიან სვლაზე  
შემოვამწკრივებთ რკინის მათოხებს.  
ქველი თავადის ნავენახარში  
გადავაშავეთ ბელტი-ბელტოზე,  
ამოუდექით ერთმანეთს მხარში  
და გამოვედით სამშვიდობოზე.

კოოპერატივი გავმართეთ ახლა  
თვალი დაუფსეთ ჩარჩებს და ხუცებს,  
ჩამოურბინეთ სოფელს ხელახლა  
და გავაჩაღეთ ცხოვრება უცებ.  
სასოფლო ბანკიც მუშაობს ისევ,  
გლეხკომის დუქანს ატყვია წინსვლა,  
არის სიცოცხლე და სიხალისე  
და მეგობრული ურთერთთან მისვლა.  
ექმნით კოლექტივებს, ვაწყობთ კომუნებს  
ამაში არის ხსნა მხოლოდ ჩვენი,  
თუ ეს ბარათი შენ დაგაბრუნებს  
აქვე შეიტყვე სხვა დანარჩენი.

## II

### პასუხი ბარათზე

ნივილე თქვენგან, ო, მეგობრებო,  
ბარათი თბილი და საალერსო.  
როცა დავცალე ეგ სტრიქონები,  
თვალი ნათოვარ ცრემლით ამევსო.  
რამდენი დღეა, რამდენი წელი  
ფიჭრი ქალაქზე გადამეზარდა,  
აქვე სიცოცხლის დასასრულს ველი  
ღამე ქუჩაში უნდა მეცადა.  
აღარ მცალია, მთვარე ნამგალა  
ან მზე დავსწურო თვალთა უბეთი,  
ელექტროჩქერმა, როგორ დამლალა  
კვამლის ტბორია და რკინის წვეთი.  
ვით კაპოეტი ნამთიულარი  
ხსოვნა ბავშური, ნასერალია,  
გზა იყო შორი და ნათივარი:  
მინდვრათ გვიწვევდა როცა კალია.  
ღამის პეპელას ჭრაქი ათრობდა  
ვაზის სურნელი მოჰქონდა ბალებს,  
მთვარე ღიმილით სერებს ათოვდა  
და იხუტებდა გულში კალმახებს.  
ეძინა კართან ერთგულ მურიას  
ფერღელა ძროხას სწველიდა დედა,

და მეწვრილმანე ნაცნობ ურიას  
ჯაგარს უცვლიდენ ქინძისთავზედა.  
ეს იყო წინად, ეხლა რადიო  
და ელექტრონი იღვრება ჩქერზე,  
სჩანს ღამეები უნდა ათიო  
და გადაზიდო ხსოვნები სერზე.  
ეხლა სოფელი თვალასხმულია  
ტრაქტორებით და ავტომანქანით,  
და კომუნებზე გადასულია  
კოლექტივები მარაგ-მარქათით,  
მაგრამ მე მაინც ქალაქში ვიცდი  
ქალაქის კვამლში, ქალაქის ღელვით,  
რკინის დუდილზე გულს რომ დავიცლი  
ველარ მოვდივარ და ნულარც მელით.  
მე ისევ მიყვარს ქალაქის უბე,  
აქვე დავრჩები, აქვე ვიქნები  
აქ ცეცხლის ენით მესაუბრება  
ცეცხლის ღვედები, ცეცხლის ქარხნები.  
თუ რომ სოფელი იყო აკვანი  
ჩემი ყრმობის და ჩემი გიჟობის,  
დღეს კომუნაა სამოთხის მგვანე  
სადაც სიცოცხლე მზებრ გარიჟრაჟობს.  
დაგვზრდებიან არწივებრივი  
შრომის შვილები შრომის გმირები,  
შეგეცვლებიან თქვენ მათი მწკრივი  
აგისრულდებათ დანაპირები.  
მე კი დიდ ქალაქს გავყვები ჩქერში  
მტვერში და ალში გავახვევ სხეულს  
მაგრამ გახსოვდეთ, გქონდეთ სახეში  
ბრალს ნულარ დამდებთ ვით გამოქცეულს.

ტფილისი.  
1928—XII.

— : —



გო ს კ ო ვ უ ი

1.

რამდენი სიტყვა უნდა მქონდეს მარაგათ თურმე  
რომ გავიმარჯვო!

მე კი გველივით ლექსს წელს გავუთრევ  
თუ ვერ ავწერე ეს ამბავი, როგორც რიგია,  
საჯაროთ.

უპირველესად ვიწყებ ასე: არის ქალაქი.  
(დიდი თუ მცირე, ამას ალბათ ყველა მიხვდება)  
და მზის სხივების მას ქარავანი  
თავზე ეხვევა.

ადიდებულან, აქუხებულან აქ სივრცეები  
ზღვის ნალმებივით  
და ჩქეფს სიცოცხლე სულ სხვა ძიების  
და აღელვების.

მსოფლიოს ყველა კუთხეებთან გაბმულა ძაფი  
და ეს ძაფები ერთდებიან ერთ მთლიან გულში  
და დიდ სისწრაფით  
ისევ ედება მთელ მსოფლიოს ცეცხლის ალები  
ამ გულის კუმშვით.

გული ბობოქრობს, გული ღელავს, გული ცეცხლს ისვრის,  
როგორც მაშხალებს  
და ეს სიცოცხლე, ეს ქალაქი და ეს მაისი  
მეც მაქარიშხლებს.

2.

დიდი ხანია ვოცნებობდი, დიდი ხანია;  
მე ამ ქალაქზე.  
და თქვენ არ გწყევლით: —  
—ისე ჩემს შვილებს გაუხარიათ,—  
როგორც დღეს აქ-მე.

ვხედავ: ფიქრები ცად იშლებიან  
შევარდენივით.

და უნდა გითხრათ: შევარდენია  
აქ ყველა მუშა ოფლის დამდენი.

გიტაცებს რალაც სიდიადე და ჯადოქრობა  
და თან გავიწყებს, რომ უბრალო ხარ კაცუნია.  
აქ არ იგრძნობა სულით ობლობა,  
აქ ყველაფერი უცნაურია.

რომ ხარ ძლიერი ამასა გრძნობ და გსურს იყვირო:

—დიდო ქალაქო!

ვინძლო მსოფლიო ააყირავო,  
წითლად გალაქო.

შენ შემოგცქერის ყველა ქვეყნის მუშა მშვიერი  
და დაჩაგრული:

აფრიკის ზანგი, მალაელი თუ ჩინელი  
და მონა ჩუმი —თავთავივით თავ-ჩაქინდრული.

შენს ხსენებაზე თრთიან ბებერ ევროპის ძვლები  
და ცოფს ისერიან სიბრაზისგან მორიელივით,  
ყველა ქვეყნების გაიძვერები  
შენ გაგინებენ დედაბრებივით.

(იციან კარგად რომ დღეს თუ ხვალ  
დაიგრიანებ!

და გამარჯვების მწერვალზე ახვალ  
მათ დაილალებ).

### 3.

დიდო ქალაქო! ხარ მსოფლიოს დიდი კოცონი, —  
უნათებ ყველას.

შენი ახრები ისრებივით შორს გატყორცნილნი  
იწვევენ დელვას.

ათი წელია ვოცნებობდი, ათი წელია  
მე შენსა ნახვას:

და ჰა, ხომ ხედავ: სიხარულით დღეს მეც გწვევივარ  
ლექსის ქარიშხლად.

ვხედავ ლენინი ჩავიმარხავს გულში დიდებით  
და მავზოლეაც,  
ისე მოსჩანს: თითქოს ბელადი,  
კვლავ ცოცხალია.

და გაქლენთილა აქ ყოველი სული ლენინით:  
ლენინი ცოცხლობს, ლენინი ქუხს, ლენინი იბრძვის:  
მოელს მსოფლიოზე გადაწვდენილი  
მისი სიტყვები ღღეს ისევ ისმის.

და ჩემი გული, ეს პატარა, საწყალი გული,  
ისე იკუმშვის:  
თითქოს ეს დიდი ქალაქი და ხმების დავლური  
მიზისო სულში.

თითქოს მეც მინდა გადავედულო  
ამ დიად ქალაქს,  
რომ მარტო კი არ, ერთად ვიყოთ  
მუდამ, მთლიანად,

#### 4.

დიდი ხანია ვოცნებობდი, დიდი ხანია,  
მე ამ ქალაქზე.  
და თქვენ არ გწყევლით: ისე ჩემს შვილებს გაუხარიათ,  
როგორც ღღეს აქ მე.

აღვტაცებულვარ „ცეცხლის ხმების“ პროექტი ისე  
რომ ღღეს თვით მიკვირს  
და ასე ვამბობ: თუ კვლავ ვინმე ჩვენ შემოგვიტევეს,  
დაიმტვრევს ცხვირ-პირს.

დაუძლევია ჩვენი ძალა, დაუძლევია,  
იცოდეს ყველამ  
რადგან ვით ჩემი, ისე ყველა მშრომელის გული,  
აუძგერია  
მზის ცისარტყველას.

ამით ვათავებ მე ამ ლექსის წერას და ვამბობ:  
დიდო ქალაქო!  
ვინძლო მსოფლიო არ დააობლო,  
წითლად გალაქო.

---

დიდო ქალაქო, ეს ჩემი სული  
მანდ დამრჩენია, მანდ დამრჩენია  
და ეს გულიც კი შენსკენ მოიწევს  
თითქოს ისიც დღეს არა-ჩემია.

---

## ჯ ე ბ ი რ ი

— რამ გაახელა ეს ვერანა!

— ოი, დალახვროს გამჩენმა!

— სულ ერთიანად გააფუჭებს ყანებს. რამდენი შრომა და ჯაფა დაიღუპა!

— ეჰ, გლეხი კაცის ბედი მუდამ სასწორზეა. ჩვენც ვცხოვრობთ და ძაღლიც.

— ვისი ბრალია ყოველივე ეს? ჩვენი ბრალია. შევკრათ პირი და როდესაც წყალი კალაპორტში ჩადგება, ქუდზე კაცი გამოვიდეთ. საკმარისია თითო ბარი მიწა ამოვიღოთ, რომ ისევ ავიყვანოთ ეგ წყეული ჯებირი.

— მართალია, ძმაო, მართალი!— მოისმა ხმები.

— უარესის ღირსნი ვართ. გაჭირვება რომ მოგვადგება კარს მაშინ ვიძახით: შევკრათ პირი, ქუდზე კაცი, თითო ბარი მიწის ამოღება საკმარისია. გაიარს წყალდიდობა და არავის ახსოვს პირის შეკვრა და საერთო საქმე.

— ესეც მართალია.— კვლავ ადასტურებენ ხმები.

ასე მსჯელობდნენ გლეხები ზაფხულის ერთ მზიან დღეს და უმზერდნენ აზვირთებულ რიონის ტალღებს. რიონის ტალღებს კი ის ის იყო გაერღვიათ ჯებირი და მტრის ურდოებივით შესეოდხენ ატაროებულ ყანებს. თრთოდნენ სიმინდები, თითქო ეშინოდათ წაქცევისა, თითქო გრძნობდნენ ისინი, რომ მათ წაქცევასთან ერთად წაიქცეოდნენ გლეხთა ნალიები: ვერ გაუძლებდნენ შემოდგომის ქარებს ცარიელი ნალიები.

ასე ხდებოდა ყოველ წელს, ერთსა და იმავე ადგილას, თითქმის ერთსა და იმავე დროს. ორი სამი დღით ადრე იცოდნენ გლეხებმა, რომ:

— მოდის წყალი. ამაღამ დაიწყებს მატებას.

— ხვალ უკვე ნაპირამდე ამოვა.

— ზეგ მოადგება ჯებირსა და გახეთქს. იქ გახეთქს საცა მალაქიას ყანა იწყება, და წალეკავს ყანებსა.

ყოველივე ეს იცოდნენ გლეხებმა, მაგრამ არც ერთი ხელს არ გაანძრევდა, რომ აემალლებინათ და გაემაგრებინათ ჯებირი. ხოლო

როცა რიონი გიყივით ეცემოდა ნაპირსა და ბოროტის უინიანობით მიახეთქებდა ტალღებს სწორედ იქ, სადაც მალაქიას ყანა იწყებოდა, გლეხები შეიკრიბებოდნენ ჯებირთან, დადგებოდნენ ზოგი მალაქიას ყანის შორი ახლო, ზოგი ჯებირზე, და დაიწყებდნენ:

— აკი ვსთქი, დღეს გადაირევა რიონი მეთქი.

— უეჭველად, გიგო, ჯებირს გახეთქს ეგ შეჩვენებული.

— სწორედ იქ გახეთქს, საცა მალაქიას ყანა იწყება. აი, ნახვთ, თუ ასე არ მოხდა.

— ყოველთვის რომ განახეთქზე ხეთქს ესაა საოცარი, თითქო პირობა შეუკრა მალაქიას.

— გოგო, მინადორა, ჩამოდი ჯებირიდან. არ ჩავარდე მავ მორევში, თორემ ყველაფერი დაგისველდება, — ხუმბრობს ახალგაზრდა ალე,

— ნეტავი შენ, ალე, ხუმბრობის გუნებაზე რომ ხარ.

— ჰე, ჰე, ახალგაზრდობა იმითაა კარგი, რომ ჭირსაც და ლხინსაც სიცილით გადაიტანს, — ამბობს მოხუცი პიმენი, იძრობს სარტყლიდან წყრთიან ყალიონს და:

— ყარამან თურქულ თამბაქოს გემოს გიქებენ. მოიტა ერთი. ყარამანს ამოაქვს „შავი წელიწადივით გრძელი“ ქისა და აწვდის პიმენს.

— რამდენი წელია მის შემდეგ, რაც ჩვენ სვანები ჩამოვიყვანეთ და ეგ ჯებირი გავთხარეთ? — ეკითხება ყარამანი პიმენს.

— ეს იყო მაშინ, როცა მთავარ ანგელოზის ეკლესია ავაგეთ უპასუხებს მაღალი, ბეჭებგაშლილი, სოფლის უხუცესი, თეთრ წვერა პიმენი.

— ასი სვანი მუშაობდაო, გამიგონია, მართლა, ძია პიმენ? — შეეკითხა ახალგაზრდა ალე.

— არა, ასი არ იყო, მაგრამ იმდენი კი იყო, რამდენიც ჩვენ ახალგაზრდები გვყავს. რა გიჭირთ ახალგაზრდებს შეაკეთოთ ჯებირი. ორი დღე საკმარისი იქნება. ეჰ თქვენ!

და პიმენმა ჩაიქნია ხელი, გადაათუთხა და განაგრძო:

— ჰო, ბევრმა წელმა განვლო მას შემდეგ, კარგი ჯებირი იყო, ყარამან. საყვედური არ გვეთქმის სვანებზე. აი, ახლაც, ჩვენი გაუტანლობის ბრალია, თორემ სულ ერთი ვერსის მანძილზე სჭირდება შეკეთება.

— ჰმ...შ.შხ...უ...უ... — შხუილით გაავსო რაღაცამ ჰაერი.

— ჰო... გახეთქა, მამა, გახეთქა! — შეჰკივლა უცებ პატარა ფუხუმ და ტაში შემოკრა.

— აქეთ, შვილო, ფუხულია, აქეთ. — და მამის ხელებმა ჰაერში აიტაცეს ფუხულია, შენდევ ისევ ჩამოსვეს მიწაზე და უკანა ტანზე ლაზათიანი სილები გააწნეს.

— ჰატ, შე მამაძაღლო, რა შენი საქმეა ჯებირზე გაჩერება. დაიკარქე აქედან!

ფუხულია ტირილით გაიქცა, მაგრამ შორი-ახლო გაჩერდა, ცრემლები მოიწმინდა და თავის ამხანაგს, უთხრა:

— თევზები მოყვება წყალს, უეჭველად. მოდი ფაცერი ჩაუდგათ შუკაში.

— ეხ... ჰე... ჰე... დაიღუპა მოსავალი, დაიღუპა სარჩო! — ოხრავდა ერთი.

— ვაიმე, ცოლო და შვილო — მოსთქვამდა მეორე.

— ღმერთო, რისთვის დაგვსაჯე ასე? რა შეგცოდეთ, რა დაგიშავეთ? იძახდნენ სხვანი და შორს სივრცეში ვილაცას რაღაცაში ბრალსა სდებდნენ.

— შ... შ... შხ... უ... უ... — შხუოდა მდინარე, ტალღა ტალღას აწყდებოდა, ეხეთქებოდა ნაპირს, აწვებოდა ჯებირს, არღვევდა მას და მიეჩანებოდნენ ტალღები ყანებში, იქით, სადაც ყოველ სიმინდის ჯერ კიდევ ურძეო მარცვლებში მოლოდინის შვებითა და იმედით იზრდებოდნენ გლეხის ბედი და სიხარული.

— წააქცივს თუ არა სიმინდს? — ჰკითხულობს ერთი.

— წაქცივით არა მგონია, დააჰკნობს კი, — პასუხს აძლევს მეორე.

— ჩალა მაინც დარჩება, ისიც კარგია, — დინჯათ ბრძნულად ამბობს ალე.

— დაიკარგე აქედან. — შეუტყის მას ყოველი მხრიდან. გარღვეული ადგილი უფრო და უფრო ფართოვდება, გაღმოსული წყალი უფრო და უფრო ღრამვდება, სევდა ჭმუნვა უფრო და უფრო ეუფლება გლეხების გულს.

— ჩვენი ბრალია, ძმებო, — დაიწყო ერთმა. — როგორც კი ჩადგება რიონი კალაპოტში, მოვკიდოთ ხელი ბარს და გავამაგროთ ჯებირი.

— სირცხვილია ბოლოს და ბოლოს. ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა გავაკეთოთ თორემ სხვა ვინ გავვიკვეთებს?

— არწმუნებს საკუთარ თავს მეორე.

— სანამ თოვლი არ ნახა გლეხმა ქალამანი არ, შეიკერაო, ისე გვემართება ჩვენც, — ვილაცას ჰაერში ეუბნება მესამე.

— სანამ წყალი შეუდგება ყანებს და არ დაგვაქცივს, მანამ არ ვიტყვით გავაკეთოთო.

— ხალხნო, სმენა და გაგონება!—და პიმენის ხმამ ზარივით ჩამოჰკრა ჰაერში.

— ს... ს... ს... ჩუმად.—მოისმა აქეთ იქით. სოფელი შეჯგუფდა პიმენის გარშემო. პიმენმა ხელი ასწია და მიმართა სოფელს:

— სოფელი წახდა. ძველი სოფლის პირი არ არის. მაგრამ სულ მაინც ნუ გავარღვევინებთ წყალს ჯებირს. გავამაგროთ გარღვეული ადგილი ნაპირეში. წყალი შუა ადგილით წავა.

და მრისხანედ დასჭექა:

— აბა, ბელტები ნაპირებზე. დიდმა და პატარამ. ქალები განზე!.. და გარღვეული. ადგილის ნაპირები სულ მცირე ხანში ამოაკეთეს გლეხებმა.

წყალი კი აფთარივით შეფოთავდა, დაჭრილი მხეცივით ბორგავდა, ეხეთქებოდა ჯებირს და გარღვეული გზით მიექანებოდა ყანებში.

სიმინდი იდგა, თრთოდა და მწარედ სისინებდნენ ტანჯვით სავსე ფოთლები.

## II

კიდევ რამოდენიმეჯერ ჩადგა რიონი კალაპოტში, კიდევ რამოდენიმეჯერ ამოვარდა კალაპოტიდან და შეუდგა ყანას, კიდევ რამოდენიმეჯერ წააქცია ქარმა ცარიელი ნალიები, მაგრამ ჯებირს მაინც არა ეშველა რა. წლიდან წლამდე დაბლა მიდიოდა, ალაგ-ალაგ ჩაიხნიქებოდა.

ხანდისხან, როდესაც გლეხკაცობა ბებერი ცაცხვის ძირას ჩამოჯდებოდა, ვინმე ჩამოაგდებდა საუბარს:

— წელსაც აგვიკლებს წყალი, თუ არ შევაკეთეთ ჯებირი.

— ჰაი, ჰაი, ოტია, რომ საჭიროა ჯებირის შეკეთება,—იტყოდა მეორე.

— შენს პირს შექარი, რომ გამახსენე.—დასტურს მისცემდა მესამე.

— სანამდე ასე, სანამდე?—და შეკრებულობის სადავეს ყარამანი ჩაიგდებდა ხელთ.—მე, შვილებო, უკვე დავბერდი, საწყალმა პიმენმა რამდენი სცადა და ვერას გახდა ისე ჩავიდა სამარეს. მეც ვერას გავხდი თქვენთან, ძმებო და შვილებო, ალბათ, ჩვენი გული არ არის ყანაში.

— აბა რას ამბობ ყარამან! მაშ სად უნდა იყოს ჩვენი გული?—მიაყარეს ყარამანს.

— მაშ რატომ არ ვაკეთებთ?



— გავაკეთებთ, უეჭველად გავაკეთებთ. მოთავე კაცი გვჭირდება, ყარამან, ითავე და გავათავოთ ეს საქმე. თორემ სირცხვილია. რამდენი წელიწადია ვლაპარაკობთ და არა გავაკეთებია რა.— და ალე მთელი ტანით მიბრუნდა ყარამანისაკენ.— ითავე, შენ პატივს დაგდებს სოფელი.

— ჰო, ჰო, დაიწყე ყარამან!— მიაძახეს აქეთ იქიდან.

— მაშ სმენა და გაგონება.— და თეთრ წვერა ყარამანი ჩადგა წრეში.— ამ ჟამად თითქმის ყველამ მოათავე მარგვლა. ქუდზე კაცი გამოვიდეს ბარ-ნიჩბით. დავიწყოთ იქიდან, სადაც მალაქიას ობლების ყანაა. ზემო სოფელი აქეთა მხარეს დაადგეს, ქვემო სოფელი იქითა მხარეს.

— ყველა რატომ უნდა გამოვიდეს?— აყაყანდნენ ზოგიერთები. ქვემო სოფელი გავიდეს სამუშაოდ, ზემო სოფელს წყალი იმდენ ზიანს არ აყენებს. ქვემო სოფელია ჭაობში.

— წყალი რომ დაფარავს ქვემო სოფელს, ზემოს ხომ გაუჭირდება? ვერც ტყეში წავა, ვერც წისქვილში.

— ვისაც უჭირს იმან იმუშაოს. ჩვენ რა შუაში ვართ?

— სად მცალია, ძმაო. სხვისი კი არა ჩემი საქმე ვერ გამიკეთებია.

და გადაიხლართნენ სხვადასხვა ხმები და აზრები. მაგრამ უმრავლესობამ დაასკვნა:

— ხვალ დილით გავიდენ სამუშაოზე. ხვალ დილით...

იმ დილით კი მხოლოდ რამოდენიმე კაცი გავიდა სამუშაოზე. გაბრაზდნენ, სოფელი რომ მთლიანად არ გამოვიდა და სთქვეს:

— იმათ თავისი საქმე აკეთონ და ჩვენ გვამუშაონ? არა, ძმაო, რა ანგარიშია?

და დაიშალნენ. დარჩნენ ყარამანი, ალე და ფუხულია. ყარამანი ახლა ღრმა მოხუცია, მაგრამ ჯერ კიდევ ჩაკირული და ქარაფოვანი კლდესავით გამძლე. ალეს ჭალარა შერეგია, ოჯახმა ადრე მოლუნა წელში. ფუხულია ჯანლონით სავსე ყმაწვილია. მოძრავი, ჭკვიანი, ახრვანი და სამუად გამოსკვნილი.

დგანან სამნი ჯებირზე და დაჰყურებენ სოფელს. მათ წინ გაშლილია სოფელი, მწვანე ხეებთა ზღვაში კეკლუცობს თეთრად მოსილი ალუბალი, ღობეებს შერეგია ფერა-ფერა, ღობიოს ნაზი თეთრ-წითელი ყვავილები მზეზე მორცხვად კიაფობენ, ვაშლის ხეები თვალებს პატიჟობენ, მსხალს ჯერ კიდევ მწვანე ჯუბა აცვია, ალუჩა უკვე დამწიფებულია და მეტის-მეტი სტუმართმოყვარეობით გულისპირიც-

კი გაუხსნია. ტყემალმა ხომ რამდენი ხანია ქარვის ფერი მიიღო და „აღუღდა ვარიების ცოდვით.“

სოფლის შიგა და შიგ, თითქმის ყოველ ეზოში, უფრო კი სოფლის გარშემო, ბიბინებს ყანა, ახლად გამარგვლილი სიმინდი, ფართე სქელი და შავი აბრეშუმის ფურცლებით ნელა ირხევა სიოს ფრთებზე და თითქოს სურს ცად აიწიოს, ჩქარა გაიფოს რძითა და ქარვით.

— და ყოველივე ეს უნდა დაიღუპოს, დასტკნეს, რატომ? იმიტომ რომ სოფელი უპიროა, არა აქვს ერთი გული.— ამოიოხრა ყარამანმა და ჯოხს დაეყრდნო.

— არ არის შეგნება საერთო საქმის, ყველა თავისთვის სცდილობს, სიტყვას მოგცემენ და დღისით მზისით მოგატყუილებენ.— დასძინა ალემ.— აი, სულ სხვა ხალხია ქალაქის მუშები. ისინი რომ პირს შეკრავენ მორჩა, გაკეთდება საქმე.

— მახსოვს, ერთხელ...

და ალემ ერთხელ კიდევ მოყვა იმას, თუ როგორ მოაწყვეს გაფიცვა ფოთის მუშებმა და როგორ გაიტანეს თავისი.

მაშინ ალემ მუშა იყო, დელეგატად აირჩიეს მუშებმა. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. ალემ მიატოვა ქალაქი, მაგრამ მას თავი მოჰქონდა ამ მოგონებით და შემთხვევას არ გაუშვებდა მოგონებინა წარსული. ახლაც, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ალემ ასისტავად იყო ამორჩეული.

— საოცარია, რატომ არ გამოდის სოფელი სამუშაოდ? ეს ხომ მისი საქმეა? ახლა ხომ არ არის არც ბოქაული და არც მამასახლისი, რომ მათრახებისა ეშინოდათ? გახსოვთ, იმ დიდი წყალდიდობის შემდეგ სოფელი რომ მაინც არ გამოვიდა და მამასახლისმა მათრახით გამორეკა სამუშაოთ? რა გააკეთეს? არაფერი. მათრახით გაკეთებული ვის გამოადგება? თავისუფლება გვინდოდა, ველირსეთ და მაინც ვერა გვეშველა რა. ეხ!

ალემ და ფუხულიამ შეჰკრეს წარბები.

— მე ჩემი წამილია, შვილებო თქვენ იკითხეთ ახლა!— და ყარამანმა სევდით გადახედა მოსაუბრეთ.. შემდეგ დაუმატა:

— თქვენთვისაა სირცხვილი. მთავრობის კაცები ხართ: ერთი ასისტავი, მეორე გვარდიის წევრი.

— არა! ამას არ შევარჩენ სოფელს.— წამოიძახა ფუხულიამ ერთი აზრი მომივიდა, თქვენ მხარი უნდა დამიჭიროთ.

— რა აზრია?

— მთავრობის სახელით ბრძანება დავსწეროთ. შაურიანს გავკვარტლაგ სანთლის ბოლზე და დავაკრავ ქალაქზე ბეჭედივით.

ქალაღდი იქნება ასისტავის სახელზე. შენ, ალე, კრება მოიწვიე, მე წავიკითხავ და დედა მისის შვილია ვინც არ გამოვა.

აზრი ასწონ დასწონეს, მოიწონეს. დაასკვნეს.

კვირა დღეს აწკრიალდნენ ზარები.

ხალხი შეიკრიბა. ასისტავმა გახსნა კრება და მიმართა ხალხს:

— მთავრობის ბრძანებაა მოსული. ფუხულიამ ჩამოიტანა მან-რიდან. ამბობენ, ისეთი დიდი საქმეა, რომ პირდაპირ კრებაზე გახსენით და ისე წაუკითხეთ ხალხსო.

ხალხი შეიკრიბა, შეჯგუფდა. ხელებზე დაიბერტყეს ყალიონები დაახველეს, ვაჟებმა ყაბალახი გაისწორეს, ქალებმა თავშალი. ბავშვებმა შესწყვიტეს ეივილ-ხივილი.

ფუხულიამ ამოიღო უბიდან დიდი კონვერტი, ააძრო ლუქი, გახსნა და გაშალა ვებერთელა ქალაღდი. ქალაღდს გარშემო წითელი არშია ჰქონდა შემოვლებული.

ფუხულიამ დაიწყო კითხვა. ქალაღდი ასე თავდებოდა:

...— „ამიტომ სოფელმა უნდა გამოიყვანოს ქუღზე კაცი და ყოველ მიზნეს გარეშე შეკეთებულ იქნეს ჯებირი“.

— ააშენოს ღმერთმა! აქამდე გამოეგზავნათ ეს ქალაღდი.— წამოიძახა ალემ.

— თუ ეშველა სოფელს, ახლა ეშველება.— დასძინა ყარამანმა.

— მართალია! მართალი!— დასცა ხალხმა ყიყინა.

მართლაც, სოფელი გამოვიდა სამუშაოდ. გაჩაღდა მუშაობა, მაგრამ ჩქარა შესწყდა.

სოფელმა გაიგო, რომ ქალაღდი მთავრობის გამოგზავნილი არ იყო და მიატოვა მუშაობა.

და ერთი თვის შემდეგ ისევ გადმოხეთქა წყალმა, ისევ შხუოდნენ ტალღები, ისევ ძირბოდნენ და ძისდევდენ ერთი მეორეს, თითქოს ეჩქარებოდათ დაევიდნენ ყანები და დაუფლებოდნენ მათ.

ისევ იდგა სოფელი მალაქიას ყანასთან, ისევ გულხელ დაკრეფით უყურებდა გარღვეულ ნაპირებს და ლაპარაკობდა:

— წააქცევს სიმინდს?

— წაქცევით არ ვიცი, ხოლო დააქცნობს კია.

— ყოველთვის რომ განახეთქზე ხეთქს, ესაა საოცარი.

— მერე ვისი ბრალია? ჩვენი, ბრალია, ძმებო!

— როგორც კი ჩადგება წყალში კალაპოტში მოვკიდოთ ხელი ბარსა და ნიჩაბს და დავესიოთ ჯებირს.

— სულ მაინც ნუ დავარღვევინებთ, გავამაგროთ რისი გამაგრე-

ზაც კი შეიძლება, — ამბობს ყარამანი და დგება მალლობ ადგილას. —  
სმენა და გაგონება.

— ს... ს... ს... ჩუმაღ. — გაისმის ხალხში.

— აბა, ბელტები ნაპირზე. დიდმა და პატარამ. ქალები განზე.  
წყალი კი შეფოთავდა, ბორგავდა, ეხეთქებოდა ნაპირს და გა-  
კვალული გზით მიეშურებოდა ყანებში.

სიმანდი იდგა, თრთოდა, და უიმედოთ შრიალებდნენ ტანჯვით  
სავსე სოფლები.

### III

ამ წელს სულ სხვანაირი გაზაფხული დადგა.

ის ის იყო თეთრად შეიმოსა ტყემალი, რომ სოფელში შიშია-  
ნი ხმა გავარდა:

— ბოლშევიკები მოდიან.

ზოგი ამბობდა:

— წინააღმდეგობასა და სიტყვის შებრუნებისაგან ღმერთმა და-  
გიფაროს. თუ ბოლშევიკმა სთქვა: ციდან ვარსკვლავი უნდა ჩამო-  
ვილოთო, უეჭველად ჩამოიღებენ.

ზოგიც კი:

— მდიდრებს დედას უტირებენო; ყველაფერს ღარიბებს დაუ-  
რიგებენო.

ხოლო ყველას აერთიანებდა წუხილი:

— ჩვენი ბოლშევიკები მაინც არ დაეჭირათ. იმათ ხომ იციან  
ჩვენ არავისთვის ცუდი არა გვიქნია რა.

— რაც იქნება, იქნება... მოვიდენ.

და მოვიდნენ.

ზოგი ორთვალებზე ისხდა, ზოგი თეხით მოდიოდა, ზოგიც  
ცხენით იყო. არც ერთი ხე არ ინძრეოდა. უცნაური სიჩუმე დაუ-  
ფლებოდა სოფელს, თითქო ყველაფერი და ყოველივე იმის მოლო-  
დინში იყო, თუ რას იზამდნენ ახლად მოსულნი.

ახლად მოსულთა რაზმი დაბანაკდა მალლობ ადგილზე, საიდანაც  
მთელი სოფელი მოსჩანდა.

მათთან ერთად სენაკიდან სოფლის ყმაწვილებიც ჩამოვიდნენ და  
სთქვეს:

— არავის ერჩიან ბოლშევიკები.

— სენაკში სიწყნარეა და მშვიდობა.

— ტფილისში, ქუთაიში, ყველგან ასეა.

— აბა რა იყო გადარიეს ქვეყანა: ამას გიზამენ, იმას გიზამენო,— უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი ყარამანმა.

— ქუთაისიდან სულ მათთან მოვდივარ.— განმარტა ერთმა ახალგაზდამ.— ცუდი არავისთვის უქნიათ.

— ესენი რუსები არიან— სთქვეს სენაკიდან დაბრუნებულებმა.— არაა საშიში ხალხი. მათ ნაბრძანები აქვთ არ გაბედონ და ხელი არ ახლონ არავის, არცა რა ზიანი მიაყენონ. სასტიკად დასჯიან.

— მართლა?

— ნამდვილად.

სოფელს იმედი მოეცა.

ახლად მოსულთაგან რამოდენიმე კაცი სოფელს შეერია. ათვალეირებდნენ გარედან, სახლებში არ შედიოდნენ.

ფოტინეს ეზოშიც ერთმა ბეჭებ გაშლილმა, მაღალმა, ჟღალ თვალებიანმა და ცხვირდილა რუსმა შემოალაჯა. ჭასთან მივიდა. წყალი სწყუროდა. ვედრო არ დახვდა. გადაემალა ფოტინეს. რუსმა გასწია სახლისაკენ და აივანზე ავიდა.

ფოტინე მარტო იყო სახლში. მოხუცი, მაგრამ ძვალ-მაგარი და ხორც შენახული ქალი იყო. ფოტინეს ორი შვილი ჰყავდა. უფროსი სანდრო, „რუსის ომში მოუკლეს“, უმცროსი კი, ფუხულია, მენშევი, კებმა წაიყვანეს ჯარში ბოლშევიკებთან საომრად. ეს ერთი თვეა ფოტინე სულ მარტოა. ხანდახან მეზობლის ქალი შემოვა ღამის გასათევად.

ფოტინეს შეეშინა რუსის, უნდოდა გარედ გამოსულიყო, მაგრამ ვერ მოასწრო. რუსი კარებში შეეფეთა.

— დავაი, ვედრო -- უთხრა რუსმა.

ფოტინე მიხვდა, მაგრამ როგორ მისცეს ვედრო? მას ლოგინის ქვეშ აქვს დამალული. გაიწიოს ლოგინისკენ, ვაი თუ ეცა რუსი, ხელით უჩვენოს ლოგინისაკენ, ვაი თუ სხვა რამე იფიქროს. დაიბნა ფოტინე, ვერ გადასწყვიტა რა ექნა.

რუსმა კი აათვალეირ-ჩაათვალეირა ფოტინე. შემდეგ ჭერი, ლოგინი, სახლის კედლები. უეცრად რუსმა უკან დაიხია, თითქო გაშეშდაო. შემდეგ მოსწყდა ადგილს და ეცა კედელს. კედელზე ეკიდა სანდროს სურათი.

რუსმა ჩამოგლიჯა სურათი და მიაყვირა

— სანდრო. სანდრო.

შეკრთა ფოტინე. რა ატირების ამ ვიღაცა რუსს მისი დაკარგული შვილის სურათთან? მოჩვენებაა ეს თუ რა არის? და ფოტინე დააცქერდა რუსს.

ჰო, ეს ისაა ვანკა რუსი სანდროს საყვარელი მეგობარი და ამხანაგი სალდათი, სანდროსთან ერთად რომ გადაღებულა სურათზე, სანდრო ხშირათ სწერდა დედას: ძმა ისე არ მოუვლის ძმას, როგორც ვანკა მივლისო.

სანდროს ერთი წერილი კი ასე თავდებოდა:

„ახლა, დედა, მე თუ ცოცხალი ვარ ეს ვანკას უნდა ვუმაღლოდეთ. მძიმედ დაჭრილი გამომიყვანა სამშვიდობოს, მას რომ მინდორში დავეტოვებინე სისხლისაგან დავიცლებოდი და მოგკვდებოდი. სამაგიეროდ მეც გადავდებ თავს მისთვის“.

მაშ, ესაა ის ვანკა რუსი? მაშ ეს იყო სანდრო რომ იხსნა?

მოჰკლეს სანდრო! ბედი ყოფილა.

და ფოტინემ შეჰკივლა:

— ვანკა შეილო!

ფოტინეს კივილზე მეზობლები მოცვივდნენ.

ეგონათ თუ რუსმა შეურაცყოფის მიყენება მოისურვა.

მოვიდნენ ვანკას ამხანაგებიც. ერთმა მათგანმა ტყავის ქურქიანი და დეზებიანი რომ იყო, იშიშვლა რევოლვერი, დაუმიზნა და უბრძანა:

— გარედ.

— არა! ეგ ჩემი შეილია! — მიაკივლა ფოტინემ და აეთარა, — ჩემი სანდროს ამხანაგია.

სოფელში ბევრი იყო ნასალდათარი და ბევრმა იცოდა რუსული. ჩქარა გამოარკვიეს ყველაფერი. დამშვიდდნენ, გაუხარდათ. კვლავ ახმაურდა სოფელი, თითქოს ვანკამ დაუმეგობრა სოფელი ახლად მოსულთ.

მეორე დღეს, დილით ჩამოვიდნენ სოფლის ბოლშევიკები. შესდგა რევკომი.

გაიმართა მიტინგი...

რევკომის წევრებს რევოლვერები ჰქონდათ, მაგრამ სოფელი რევოლვერებს არ გაუკვირვებიათ. სოფელში ბევრს ჰქონდა რევოლვერი. სოფელი გააკვირვა იმან რომ: გუშინდელი ჩვეულებრივი სოფლის ბიჭები როგორ გამოცვლილან. რა ხმა აქვთ, შეუვალი მრისხანე და მედგარი.

მეოთხე დღეს წითელ არმიელების რაზმი აიყარა და წავიდა. რაზმის წასვლის წინ რევკომმა სოფელი შეჰყარა, გამართა მიტინგი. დიდის ამბით გააცილეს რაზმი. იმ მიტინგზე გადაწყდა ჯებირის ბედიც.

რევკომმა გამოაცხადა:

— ამხანაგებო, რამდენი წელიწადია, რაც წყალი აწუხებს სო-

ფელს. აფუჭებს ყანებს, დგება ჭაობი, ჩნდება ციება და ილუპება ხალხი. ძველი მთავრობების დროს არ ეშველა ამ ჯებირს. ვერ გაკეთდა.

დღეს რეგკომმა დაადგინა:

— ჯებირი უნდა გაკეთდეს, საერთო ძალით, საერთო საშუალებით. ზემო სოფელმაც იმუშაოს და ქვემომაც. ქუდზე კაცი გამოიდეს. ქალი და კაცი ჯებირზე.

შეირხა სოფელი. რა სთქვა რეგკომის თავმჯდომარემ?

ისა სთქვა, რასაც მუდამ შენატროდა სოფელი და რაც ვერ მოეხერხებია მრავალ წელთა განმავლობაში.

და სოფელმა დასცა დასტური:

— ყველამ იმუშაოს.

როდესაც სოფელი შეგროვდა ჯებირთან, ყარამანი ეუბნებოდა ალეს:

— რას მოვესწარი, ჯებირი კეთდება.

— თქვენ ვინ შეგაწუხათ, ზემოურნო?— ოხუნჯობდა ვილაცა.

— აკი ზემო სოფელს წყალი ზიანს არ აყენებდა წინედ!

— წინედ რაც იყო ის მორჩა, მოკვდა.

— გახსოვს, როგორ მოატყუეთ სოფელი ყალბი ქალაღლით?

ჰკითხა ვილაცამ ალესა და ყარამანს.

გაიცინეს. იმ ვილაცამ დაუმატა:

— ყალბი რომ იყო მიტომაც გააკეთეს. სოფელს რას გამოაპარებ?

— სიმღერა ამხანაგებო! ისმის რეგკომის თავმჯდომარის ხმა.

მზის სხივებზე ლაპლაპებენ ბარები. ოფლი ღვარად ჩამოსდისთ მომუშავეებს. მზე უკვე ცის კეფას მოექცა და პირდაპირ დაჰყურებს თხრილს. იმ თხრილიდან კი ზევით ამოდის ჯებირი, მაღალი, გრძელი და განიერი. ჰქრის რიონიდან სიო, ჩურჩულებს ამწვანებულ ხეებში, ჟივჯივობენ ბელურები და წიწკანები, თითქო ულოცავენ სოფელს ამ მზიან დღეს, ამ ჯებირს, ულოცავენ იმას, რომ მალაქიას ყანასთან რიონი კვლავ ვერ გაარღვევს ჯებირს, რომ ტალღები მტრის ურდოებივით კვლავ ვერ შეესევინა ყანებს და შემოდგომის ქარები ვერ წააქცევენ სავსე ნალიებს.

— : —

# წ ე რ ი ლ ე ბ ი

სიმონ ხუნდაძე.

ნ. გ. ჩერნიშევსკი

და

## 60-იანი წლების ქართული ინტელიჯენცია.

ნ. გ. ჩერნიშევსკიმ, რომლის დაბადების ასი წლის თავი ამჟამად იდღესასწაულა საბჭოთა საზოგადოებამ, უდიდესი გავლენა იქონია რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეზე. კერძოდ მისი იდეური გავლენით ჩამოყალიბდა რუსეთის 60-70-იანი წლების სოციალისტური და რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობანი. მაგრამ ნ. გ. ჩერნიშევსკის გავლენა მარტო რუსეთის საზოგადოების ფარგლებით არ ამოიწერებოდა. დღეს უკვე ისტორიული ფაქტია ის, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკიმ დიდი გავლენა მოახდინა სხვა ერების აზროვნების განვითარებაზე, და მათ შორის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების წარმატების საქმეზედაც.

ამჟამად, როდესაც მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა იხდის ამ დიდი მოაზროვნის, სოციალისტისა და რევოლუციონერის დაბადების ასი წლის თავს და ისტორიულად აფასებს მის მოღვაწეობას საზოგადოებრივ ასპარეზზე, ზედმეტი არ იქნება დაწვრილებით განვიხილოთ ამ ბუმბერაზი ადამიანის გავლენა 60-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეზე.

ნ. გ. ჩერნიშევსკის გავლენა 60-იან წლების ახალი თაობის ქართველ ინტელიგენციაზე მეტად საგრძნობი და მნიშვნელოვანი იყო. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების აღორძინებაზე 60-იან წლებში ნ. გ. ჩერნიშევსკიმ და მისმა „სოვრემენიკმა“ დიდი გავლენა მოახდინა<sup>1)</sup>:

1) შეიძლება აქ აღინიშნოს, რომ ქართული ლიტერატურის ეს აღორძინება რამდენადმედ იწინასწარმეტყველა ნ. ჩერნიშევსკიმაც. 1855 წ. ტფილისში გამოცემულ აღმანახის „Зурна“-ს შესახებ, რომელშიაც მოთავსებული იყო რამოდენიმე ქართველი მწერლის ნაწარმოებიც, ჩერნიშევსკიმ „სოვრემენიკში“ (№ 7, 1855 წ.) მოათავსა ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელშიც სწერდა: «Все что они пишут»



უშუალოდ ჩერნიშევსკის იდეური და თეორიული ზეგავლენით ჩამო-  
ყალიბდა ქართულს ნიადაგზე რადიკალ-დემოკრატიული და სოცია-  
ლისტური ძიმდინარეობანი და საფუძვლები ჩაეყარა ახალ საზოგა-  
დოებრივ აზროვნებას. ამიტომ სრულ სიმართლეს სწერდა ჩერნი-  
შევსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საუკეთესო მკვლევარი ი.  
სტეკლოვი თავის ერთ ნარკვევში: „კერძოდ, ჩერნიშევსკის გავ-  
ლენის ქვეშ იმყოფებოდა კავკასიელთა ჯგუფი, რომელიც შესდგე-  
ბოდა მაშინდელ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან  
(ი. ისარლიშვილი, ნ. ნიკოლაძე, გ. ე. წერეთელი, ნ. გ. და დ. ვ.  
ლოლოზერიძეები, კ. შ. ლორთქიფანიძე, ეჯუბოვი და სხვ.) მრავალი  
მათგანი შემდეგში, როდესაც ისინი გახდენ ჟურნალისტებად და სა-  
ზოგადო მოღვაწეებად, შეუდგა თავის თანამემამულეთა შორის რუ-  
სული რადიკალიზმის პოპულიარიზაციას. „სოვრემენიკისა“ და ჩერ-  
ნიშევსკის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე 60 იანი წლე-  
ბის სომხეთის ჟურნალისტიკა (სტ. ნაზარიანი, მ. ნალბანდიანი და  
სხვ.). და თუ შემდეგ პერიოდში კავკასიამ ასეთი საპატიო ადგილი  
დაიჭირა რევოლუციის რიგებში, ეს უნდა მიეწეროს ჩერნიშევსკის  
დამსახურებას, რომელმაც პირველმა დასთესა იქ სოციალიზმის  
თესლი“. <sup>1)</sup>

ამხ. ი. სტეკლოვი ასეთ საინტერესო დასკვნამდე მივიდა მხო-  
ლოდ რუსულად არსებულ და რუსეთში მოთავსებულ ისტორიული  
დოკუმენტების შესწავლის მიხედვით. მაგრამ თუ ჩვენ შევისწავლით  
ადგილობრივ ისტორიულ დოკუმენტებსა და ქართულ ლიტერატურას,  
უფრო მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს ვიპოვით ჩერნიშევსკისა და  
მისი „სოვრემენიკის“ გავლენის შესახებ ქართული რადიკალურ-  
დემოკრატიული და სოციალისტური აზროვნების ჩამოყალიბების  
სა ქმეზე.

заслуживает полного участия и одобрения, как зародыш и залог более  
удовлетворительного развития тифлисской литературы в будущем.. Мы  
радуемся, что между коренными тифлисскими жителями являются люди,  
имеющие склонность к литературным занятиям; пройдет еще несколько  
лет—и между ними некоторые будут писать гораздо лучше, иные, быть  
может, и в самом деле прекрасно. С этой точки зрения мы радуемся  
появлению грузинской романистки (50-ი წლების მწერალ ქალის მელანია  
ბადრიძის შესახებ არის ლაპარაკი. ს. ხ.), которая пишет, право, недурным  
слогом» (Н. Чернишевский: собр. соч. т. 10 II, 83. 72).

<sup>1)</sup> Ю. Стеклов: Н. Г. Чернишевский и революционное движение  
60-х годов. ჟურნ. „Вестник Ком. Академии“ № 27. გვ. 173—4, 1928 წ.

რუსეთში ჩერნიშევსკის ეპოქა ხასიათდებოდა, ერთი მხრივ, კაპიტალიზმის განვითარებითა და ძველი ეკონომიურ-საზოგადოებრივ წყობილების რღვევის პროცესებით, ხოლო, მეორეს მხრივ, დემოკრატიული ფენების ამოძრავებითა და პოლიტიკურ ცხოვრების გამოცოცხლებით. ყირიმის ომმა ნათელ ჰყო რუსეთის ძველი წყობილების უვარგისობა და გამანადგურებელი მახვილი ჩასცა მას, ამოძრავა სოციალური ფენები და განახლების იმედები გაუღვიძა მათ. ამ აღორძინების იდეური ხელმძღვანელი იყო ნ. გ. ჩერნიშევსკი, რომლის დიდი გავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა 60-იანი წლების რუსეთის დემოკრატიული და სოციალისტური აზროვნება.

შეიძლება ითქვას, რომ მანიატიურაში საქართველოს სინამდვილეშიაც ასეთსავე სოციალ-ეკონომიური ხასიათის პროცესებს ჰქონდა ადგილი. რუსეთის კაპიტალის შემოჭრამ საქართველოში მე XIX-საუკუნის დასაწყისიდანვე საგრძნობი ცვლილებები გამოიწვია ნატურალური მეურნეობის დაშლის მიმართულებითა და თავად-აზნაურობის ეკონომიურად დაცემის ხაზით. ასეთი გავლენა უკვე საგრძნობი გახდა 40-50-60 წლებში, როდესაც უკვე მომწიფდა საქართველოში ნიადაგი კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის. ამას ნათლად გრძნობდნენ ლიბერალურ თავად-აზნაურობის მიმდინარეობის წარმომადგენელი, როდესაც (1862 წ.) სწერდნენ: „ჩვენი დრო არის ისეთი, რომ ერთს მდგომარეობიდან გადავდივართ მეორეში და თანდათან უტოვებთ ყოფილსა და ძველებურსა ჩვეულებასა“. <sup>1)</sup> რაკვირველია ასეთს გარდამავალ ეპოქას არ შეეძლო თავისი შესატყვისი გავლენა არ გამოეწვია საზოგადოებრივ აზროვნებასა და პოლიტიკურ მიმდინარეობაში. 50-იან წლებიდან იწყება ქართული კულტურული ცხოვრების აღორძინების პერიოდი, ხოლო ყირიმის ომის შემდეგ ნათელი გახდა ქართული პოლიტიკური აზროვნების გამოცოცხლება თავადაზნაურული ლიბერალური და რადიკალურ-დემოკრატიული მიმართულების ხაზით.

ყირიმის ომის შედეგებმა თავის გავლენა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზედაც მოახდინა. ჯერ კიდევ 1865 წ. გერცენის „კოლოკოლში“ ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძე სწერდა:

„ოსმალეთის 1853-56 წ. ომის შემდეგ გლეხთა განთავისუფლების საკითხი საქართველოში აღელვებდა მისი საზოგადოებრივი წყობილების ყველა ელემენტებს და თავისი დასაწყისიდანვე მიიღო მან დამოუკიდებლად თავისი სოციალური ხასიათისა, ხასიათი პო-

<sup>1)</sup> კ. მამაცაშვილის წერილი. «გუთნის დედაში» 1862 წ.

ლიტიკური ბალანსისა. ამ საკითხის წამოყენებას არ შეეძლო არ გამოეღვიძებია ქართველი ხალხის პოლიტიკური ინსტიქტები და რადგან გლახთა საკითხი, მიუხედავად რუსეთის ბატალიონების ენერგიული ჩარევისა, იზრდებოდა საქართველოში არა დღეობით, არამედ საათობით, ამიტომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება განვითარდა რაღაც ათი წლის განმავლობაში წარმოუდგენელი სასწრაფით, თანდათან უკავშირებდა რა თავის ბედს გლახთა საკითხის ამ თუ იმ გადაწყვეტას“. <sup>1)</sup>

ამ ახალი ეპოქის სულის ჩამდგმელი და მისი იდეების განმსახიერებელი შეიქმნა საქართველოში ახალი თაობის ინტელიგენცია, უმთავრესად ჯერ კიდევ თავად-აზნაურული წრეებიდან გამოსული, რომელიც რუსეთის 60-იანი წლების გონებრივი მოძრაობის ქვეშ იზრდებოდა. ამ ახალი თაობის ინტელიგენციამ ენერგიულად გაილაშქრა დახავსებული წყობილების, ბატონ-ყმური ურთიერთობისა და სქოლასტიურ—რელიგიურ აზროვნების წინააღმდეგ და ქართულ ლიტერატურაში რაციონალიზმის, უტილიტარიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპები შემოიტანა. პირველი მერცხალი ამ ახალი აზროვნებისა იყო ქართველი „რაზნოჩინელი“ დ. ჭონქაძე, რომელმაც აუცილებლად განიცადა რუსეთის 60-იანი წლების რადიკალური მიმდინარეობის ცხოველყოფელი გაკლენა და რომელმაც პირველმა მიიტანა მაგარი იერიში ქართულ ლიტერატურაში ბატონყმური უფლის წინააღმდეგ. შემდეგი თაობა, რომელმაც განაგრძო დ. ჭონქაძის გატკეპნილი გზა, იყო „თერგდალეულთა“ თაობა, რომელმაც ფართე ლიტერატურული ხასიათის ბრძოლა გააჩაღა ძველი, თავად-აზნაურული აზროვნების წინააღმდეგ და 1863 წ. თავისი საკუთარი ორგანოც დაარსა „საქართველოს მოამბის“ სახით. <sup>2)</sup> ამ ახალი

<sup>1)</sup> Рио Нели (ნ. ნიკოლაძე): „Освобождение крестьян в Грузии“ შურ. „Колокол“ № 198, 1865 წ.

<sup>2)</sup> 1861 წ. ი. ჭავჭავაძემ, გაილაშქრა რა „ცისკრის“ წინააღმდეგ, შეადგინა თანამოაზრეთა ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ მაშინდელი ახალთაობის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: პ. ნაჭაშიძე, გ. ყაზბეგი, ივ. პოლტარაკვი, მიხ. ყიფიანი, ივ. ბერიძე, დავ. ყიფიანი, გ. ჩიქოვანი, ალ. სავანელი, მიხ. ჩიკვაიძე, ილ. წინამძღვარიშვილი, ვ. თულაშვილი, პ. უმიკაშვილი. შემდეგში მათ შეუერთდა ცნობილი ბეს. დოდობერიძე, რომელიც მხურვალე მონაწილეობას ლეზულობდა 1861 წლის სტუდენტთა არეულობაში. ჯგუფში კითხულობდნენ რეფერატებს და ლიტერატურულ ნაწერებს. ამ ჯგუფის ხელმძღვანელობით გამოვიდა „საქართველოს მოამბე“, რომელსაც მხურვალედ მიესალმა პეტერბურგის სტუდენტობა. მათ შორის კ. ლორთქიფანიძემ და გ. წერეთელმა თავიანთი ნაწერებიც გამოუგზავნეს ჟურნალს. (А. Хаханов: История грузинской словесности т. IV გვ. 121).

ინტელეგენციის დიდი უმეტესობა იზრდებოდა რუსეთის უნივერსიტეტებში, სადაც ისინი ეცნობოდნენ რუსეთის ცხოვრებასა და რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნების ვითარებას და შემდეგ პროგრესულ-დემოკრატიული მისწრაფებანი გადმოქონდათ საქართველოს სინამდვილეში. აი ამ ინტელიგენციამ უშუალოდ განიცადა ნი-იანი წლების მოაზროვნის ნ. გ. ჩერნიშევსკის დიდი გავლენა. იგივე ნ. ნიკოლაძემ ერთ თავის საინტერესო წერილში 1872 წ. შემდეგნაირად აგვიწერა ის ცხოველყოფელი გავლენა, რომელიც მოახდინა ჩვენს ახალთაობაზე ნი-იან წლების რადიკალურ-სოციალისტურმა მიმდინარეობამ და განსაკუთრებით კი ნ. ჩერნიშევსკიმ და მისმა „სოვრემნიკმა“. იგი სწერდა:

„რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე მკითხველო, რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ ახალგაზრდები იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის („სოვრემნიკზეა“ ლაპარაკი ს. ხ.) ახალი წიგნი გამოვიდოდა. რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალავად ვეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას... რამდენი გრძელი, ბოლო მოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამეები გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მისი აზრების რჩევაში მისი სიტყვების სჯაში, მასზე დავაში... ვინ დათვლის იმ ხანგრძლივ ბედნიერების აღტაცებას, ტვინის წვალებას და გრძნობის ამალღების დღეებს, ან ვინ დაივიწყებს მათ სანიადაგოთ გულში ჩაჭედებულ კვალს... სად არიან დღეს ის გმირები, ვისი სიტყვები ჩვენ გონებას გვიხსნიდა, ვისი მაგალითი კაცად გვხდიდა, ვისი შრომა და ტანჯვა გვაკეთილშობილებდა და გვამალღებდა? „Одних уже нет, а те далеке“. ზოგი მოკვდა ზოგი დაიკარგა, ზოგი კი...“ (კატორლაში იტანჯება, უნდა სთქვას ავტორს, გულისხმობს რა ჩერნიშევსკის. ს. ხ.)<sup>1)</sup>.

ნ. ნიკოლაძე აქ მარტო თავისთავზე არ სწერდა: ასეთსავე აღრთოვნებასა და აღტაცებას განიცდიდნენ ნ. ჩერნიშევსკისა და „სოვრემნიკის“ მოღვაწეობით დიდი ნაწილი ქართველი მოწინავე ახალგაზრდობისა. აღსანიშნავია, რომ რუსეთში მყოფი ჩვენი ახალგაზრდობა პირადათაც იცნობდა ნ. გ. ჩერნიშევსკისა და მის ოჯახობას. ამის შესახებ ჩვენ მეტად საინტერესო დოკუმენტები გვაქვს: ერთის მხრივ, ნ. ნიკოლაძის მოგონებები, რომელიც დროგამოშვებით იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებში, მეორეს მხრივ კი, ი. ისარლიშვილის მოგონება, რომელიც 1913 წელს გამოაქვეყნა გ. თუ-

1) ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე): „სხვათა შორის“, „კრებული“ № 4, გვ. 151—2 1873 წ.

შანიშვილმა. ჩვენ აქ არ შევეხებით ნ. ნიკოლაძის მოგონებებს, იგი საკმაოდ ცნობილი და ხელმისაწვდომია<sup>1)</sup>. მოვიყვანთ მხოლოდ ი. ისარლიშვილის<sup>2)</sup> მოგონებას უფრო ვრცლად:

„ქართველ სტუდენტთა ჯგუფი, — მოგვითხრობს ძველი მოღვაწე, — რომელთა შორის იყვენ ისეთი პირები, რომლებმაც შემდეგში მეტად დიდი როლი ითამაშეს კავკასიაში პერიოდული გამოცემის დაარსების საქმეში და საერთოდ კავკასიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეიტანეს დიდი გამოცოცხლება, ძლიერ მიისწრაფოდა „სოცრემენიკის“ რედაქციისაკენ. ზოგიერთ ჩვენთაგანს დამოკიდებულება და გულღია მოპყრობა, რომელსაც ჩვენ ხვდებოდით ჩერნიშევსკის ოჯახში, ძლიერ გვიტაცებდა საღამოებზე, რომელსაც ეკსპრომტად აწყობდნ ამ ოჯახში. ჩვენ ჩვეულებრივად მივდიოდით საღამოობით ჩაიხე, როდესაც სახში დაგვხვდებოდა ოლღა სოკრატის ასული (ჩერნიშევსკის მეუღლე, ს. ხ.) თავისი დით. დროს ვატარებდით უბრალო საუბარში, არც პოლიტიკურ შეთქმულებას, არც ლიტერატურულ საღამოებს ჩვენ არ ვმართავდით, მხოლოდ უბრალოთ ვსაუბრობდით, ვობუჯობდით და ერთმანეთს ვაცნობდით იმ ახალ ამბებს, რომლითაც დაინტერესებული იყო მთელი პეტერბურგი. თვით ჩერნიშევსკი იშვიათად გამოდიოდა ჩვენთან; ის იჯდა თავის კაბინეტში და მუშაობდა. მხოლოდ ერთხელ, როგორც მახსოვს, ახალ წლის წინა ღამით, ჩვენ ოლღა სოკრატის ასულის მეთაურობით შევიჭერთ მის კაბინეტში და გამოვიყვანეთ ის ჩვენს „კოსტუმებით“ მოწყობილ საღამოზე.

მას ოლღა სოკრატის ასულმა გადააცვა ქალის კოსტუმში და დაბეჯითებით იწვევდა საცეკვაოდ. ქმარიცა და ცოლიც ყურადღებით გვეპყრობოდნ ჩვენ. ხანდისხან შემოდის ჩვენთან, რომ წავეყვანეთ საღამე. ერთხელ როგორც მახსოვს ჩერნიშევსკები ჩემთან შემოვიდნ მეოთხე სართულზე. ინიციატივა ყოველთვის ეკუთვნოდა ცოცხალსა და მომქმედს ოლღა სოკრატის ასულს, რომელთანაც ჩვენ დავამყარეთ წმინდა ამხანაგური დამოკიდებულება.

იმ კავკასიელთა რიცხვში, რომელნიც დადიოდნ ჩერნიშევსკის ოჯახში მე მახსოვს ნ. ი. ნიკოლაძე, გ. ე. წერეთელი, ნ. ვ. ლოლობერიძე, დ. გ. ლოლობერიძე, ეჯუბოვი... და სხვები. იქ ჩვენ არაერ-

1) იხ. ნ. ნიკოლაძე: „მოგონებანი საზოციან წლებზე“ „კავკასიონსა“ და „ახალ კავკასიონში“; „სტუდენტობის პირველი დრო“ კრებულში „საახაწლო“ 1880 წ.

2) ეს ისარლიშვილი ნი-იან წლებში ორჯერ იყო დაპატიმრებული: პირველად 1861 წ. სტუდენტთა არეულობის გამო, ხოლო მეორეთ 1864 წ.

თხელ ვხდებოდით „სოვრემენიკის“ ახალგაზრდა თანამშრომლებს: ნ. ა. დობროლიუბოვს, პიოტროვსკის, პანტელევსა და სხვებს. სტუდენტთა მოძრაობასთან დაკავშირებით, კავკასიელებიდან ბ. ლ. ლოლობერიძე არა ერთხელ თათბირობდა ჩერნიშევსკისთან, ანტონოვიჩთან და ელისეევთან.<sup>1)</sup> „სოვრემენიკის“ ჯგუფას დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე ქართველი სტუდენტი კირ. ბეჟ. ლორთქიფანიძე, შემდეგში ქართველი ჟურნალისტი და მწერალი“<sup>2)</sup>

ასე გადმოგვცემ სამოციანი წლების ერთი მოღვაწეთაგანი ქართველ სტუდენტთა ჯგუფის ჩერნიშევსკისთან დამოკიდებულებისა და პირადი ნაცნობობის ამბავს.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 1861 წ. ქართველმა სტუდენტებმა (ნ. ნიკოლაძე გ. წერეთელი, ბ. ლოლობერიძე, ისარლიშვილი. კ. ლორთქიფანიძე, ჩოლოყაშვილი, დ. ლოლობერიძე და სხვ.) მხურვალე მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა დემონსტრაციებში პეტერბურგში. 60 იანი წლების წვრილ ბურჟუაზიულ „რაზნოჩინური“ ინტელიგენციის მოძრაობამ დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა ქართველ ინტელიგენციაზე. ეს პირველი მაგალითი იყო საქართველოს ისტორიაში, როდესაც ქართველი ინტელიგენცია გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე და დემოკრატიულ-რევოლუციონურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. ამ პირველ გამოსვლისათვის მან რამოდენიმე ხნის ციხეც იგემა. მაგრამ ეს ფაქტი კიდევ უფრო ამტკიცებდა ინტელიგენციის კავშირს დემოკრატიულ მოძრაობასთან. ეს სტუდენტთა პირველი მნიშვნელოვანი დემონსტრაცია და მასში ქართველ სტუდენტთა მონაწილეობა ვრცლად აგვიწერა ნ. ნიკოლაძემ თავის მოგონებებში:

1) ბ. ლოლობერიძე, შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სტუდენტობის დროს დაახლოებული იყო „სოვრემენიკის“ ჯგუფთან. მას პანტელევიც იხსენიებს თავის მოგონებებში. იგი სამოციან წლებში ნ. გ. ჩერნიშევსკისთან ერთად მოღვაწეობდა ერთ-ერთ კომიტეტში (იხ. Герцен: XV გვ. 25-6) 1862 წელს, როდესაც მესამე განყოფილებამ გააცხოველა ჩერნიშევსკიზე თვალყურის დევნება და მთელი რიგი პირებისა შეიტანა სიაში, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსამედონი ჩერნიშევსკისთან დამოკიდებულობის გამო, ამ სიაში ბესარიონ ლოლობერიძეც მოხვდა. ჟანდარმთა სამართველს აგენტი აღნიშნავდა: „ნიკოლოზ უტინი, პეტრე ნიკი და ლოლობერიძე, — სტუდენტები — შენიშნული არიან სტუდენტთა არეულობებში. მოაწყვეს დემონსტრაცია კოსტომოვის ლექციაზე, იცნობენ ჩერნიშევსკის და ბრალად ედებათ პავლოვის სასარგებლოდ მოწოდების დაბეჭდა“ (იხ. Герцен: X გვ. 391 და შემდეგ.) უდავოა, რომ ჩვენი ახალ თაობის ინტელიგენცია პრაქტიკულადაც ებმებოდა რევოლუციურ მოძრაობაში.

2) Г. Туманов: „Чернышевский и кавказцы“ წიგნში: „Характеристики и воспоминания“ кн. I-ая, გვ. 230—33, 19313 წ.

„სექტემბრის 24-ს... სასადილოში შემოვიდნენ ორი ლოლო-ბერიძე ნ. შ. და ბ. ლ... მათ გადმოგვცეს, რომ ხვალ მთელი სტუ-დენტობა დემონსტრაციაზე გამოდის და ჩვენც გამოუკლებლივ უნდა მივიღოთ მონაწილეობა... შეუძლებელია ქართველები ჩამორჩნენ, რო-დესაც დემონსტრაციაზე მონაწილეობას ყველა იღებენო... ბევრ კამა-თის შემდეგ ნიკოლოზ ლოლობერიძემ წასვლისას ეს სიტყვები გვესრო-ლა: „ვინც მშიშარა ხართ სახლში დარჩითო“ ეს კი საკმაოდ იყო იმისა-თვის, რომ არა თუ დემონსტრაციას ვავესულიყავით, არამედ თავი კედელზე და ც მიგვეხეთქა“.

ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი მოწინავე ინტელიგენცია 60 წლებში ჩაება საერთო მოძრაობის ფერხულში და მონაწილე გახდა ახალი დემოკრატიული მოძრაობისა. ეს სტუდენტთა და წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენციის მოძრაობა ჩერნიშევსკის მი-მდინარეობის და აზროვნების უშუალო გავლენას განიცდიდა. ქარტველ სტუდენტობაზე ამ გზითაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა 60-იანი წლების ფართო დემოკრატიულ რევოლუციონურ მოძრაობას. მაგრამ ნ. ჩერნიშევსკის აზროვნებას უშუალოდ ეცნობოდა ქარტვე-ლი ინტელიგენცია, განიცდიდა მის გავლენას და ცდილობდა მისი იდეების საქართველოს ნიადაგზე გადმონერგვას\*) მაგრამ ჩერნიშევ-

\*) სრულიად საფუძვლიანად სწერს თავის მოგონებებში გ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ა: „ჩერნიშევსკის ახალგაზრდა თაყვანისმცემელი, სამშობლოში დაბრუნებისთანავე (შეუდგნენ საზოგადოებასა და მწერლობაში მისი იდეების პოპულარიზაციას (იქვე გვ. 233). ბ. ლოლობერიძის შესახებ იგივე თუმანიშვილი აღნიშნავს: „მას მე-ტად დიდი გავლენა ქონდა მოსწავლე ახალგაზრდობაზე და, მიუხედავად თავისი საკმაოდ მაღალ ოფიციალური მდგომარეობისა, არ მალავდა თავის თანაგრძნობას სამოციანების იდეებისადმი“ (იხ. გვ. 234)

მაგრამ ჩერნიშევსკის იდეების პოპილარიზაცია მარტო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე კი არ ხდებოდა, არამედ მოსწავლე ახალგაზრდობაშიაც. უკვე 60-იან წლებიდან ჩერნიშევსკის გავლენა და სახელი შეიჭრა ახალ თაობის წრეებში და ამის უმთავრესი მეთაურები იყვნენ რუსეთიდან დაბრუნებული სტუდენტები. ე ლ ი -ს ა ბ ე დ ყ ა ზ ბ ე გ ი თავის მემუარებში საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს თა-ვის ძმის ნაროდნიკი დიმიტრი ყაზბეგის შესახებ, რომელიც სტუდენტთა მოძრაო-ბაში დიდ მონაწილეობას ღებულობდა. „დიმიტრის შინ დაბრუნებამ (1865) – სწერს ელ. ყაზბეგი, – ნათელი სხივები შემოიტანა ჩვენს მივარდნილს ოჯახში; სოფლის მყუდრო ცხოვრება შეირყა, გაიღვიძა, გამზიარულდა და გამაჯობლებელმა სი-ომ დაბერა... დიმიტრიმ შესცვალა ჩვენი შინაური ცხოვრება. ჩვენ დებს, სხვადასხვა წიგნებს გვაძლევდა წასაკითხად, წაკითხულს გვიხსნიდა; დობროლოთიუბოვის, ბელინ-სკის და კიდევ მრავალი სხვა რუსი გამოჩენილ მწერლების სახელები პირველად იმისაგან გავიცოგნე. იმის ამხანაგები ხშირად თითო-კვირაობით რჩებოდნენ ჩვენ-თან და მაშინ დიმიტრის ჭაპარაკი და სხვადასხვა საგნებზე ბაასი დაუშრეტელ

სკის გავლენა ორი მიმართულებით გამოიხატა ქართველ მოწინავე ინტელიგენციაზე: ქართველი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა შეითვისა ჩერნიშევსკის რადიკალურ-დემოკრატიული აზროვნება, ხოლო მეორე ნაწილმა დემოკრატიულ აზროვნებასთან ერთად მისი ნაროდნიკულ-სოციალისტური მსოფლმხედველობაც. ნ. ნიკოლაძე და შემდეგ პერიოდში გამოსული ნაროდნიკული ინტელიგენცია\*).

„თერგდალეულთა“ — თაობა გამომხატველი იყო ამ მიმდინარეობისა, რომელმაც უშუალოდ შეითვისა ჩერნიშევსკის რადიკალ-დემოკრატიული შეხედულება, ამ თაობამ შემოიტანა ჩვენში რუსეთის 60 ან წლების ახალი იდეები და გაცხარებული ბრძოლა გაჩაღდა ძველი თაობის ინტელიგენციის წინააღმდეგ. აქედან მიიღეს მათ დაცინვით სახელწოდება: „თერგდალეულებისა“, რაც თავის თავად ნიშნავდა რუსეთის აზროვნების შეთვისებაზე მითითებას. ამ „თერგდალეულთა“ თაობამ პირველად თავადაზნაურულ ორგანოში „ცისკარში“ შემდეგ კი საკუთარ ჟურნ. „საქართველში“ (1863 წ.) წამოაყენა მთელი რიგი ღრმად მნიშვნელოვანი საკითხებისა. ორგანოს რედაქტორი ი. ჭავჭავაძე, პოეტი, ბელეტრისტი და პუბლიცისტი. იმ ხანებში რუსეთის 60-იანი წლების დიდ გავლენას განიცდიდა, ხოლო 70-იანი წლების მეორე ნახევარიდან იგი გახდა თავადაზნაურული ლიბერალიზმის მეთაური საქართველოში. ილია ჭავჭავაძის პირველი ნახევრის მოღვაწეობას აუცილებლად ატყვია ჩერნიშევსკის დემოკრატიული აზრების და საერთოდ 60-იანი წლების პროგრესიულ მიმდინარეობის გავლენა. ამ პერიოდის ილ. ჭავჭავაძის — მხატვრული ნაწარმოები, მიმართული ბატონ-ყმობის უღლის წინააღმდეგ დაწერილი არის ჩერნიშევსკის და „სოვრემენიკის“ დიდი გავლენის ქვეშ. ცნობილი პოემის „აჩრდილის“ „შრომის სუფევის“ მოტივები ნათლად ამტკიცებს ამ დიდ გავლენას.

წყაროთ ხდებოდა. დიმიტრი მშვენიერის კილოთი იცოდა ხმამაღალი კითხვა და არა ერთხელ დაუტკბივართ მე 60 წლების ჟურნალ-გაზეთების კითხვით. პირველად მაშინ აღიძრა ჩემში სურვილი წიგნების კითხვის და ჩემი შრომით სიცოცხლის სახსრის მოპოების; იმ დროს მისწრაფებანი შეიქმნენ ჩემი მომავლოებელნი.“ (ელ. ყაზბეგი: „დ. ყაზბეგისა და ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიის ცნობები“, „მნათობი“ № 4 გვ. 191, 1952 წ.).

\*) ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს: „იმ დროს არც ერთს ჩვენგანს აზრადათაც არ ჰქონია თავისი კერძო თავმოყვარეობა ან სარგებლობა. მაშინდელი ჩვენი მუსაიფის ან მსჯელობის საგანი, მაშინდელი ჩვენი შრომის მიზანი ის იყო, თუ რა მოვალეობა გვაწევს კისერზე ხალხისადმი, ან რა სახით უფრო სჯობია მომხადება ამ მოვალეობის ასასრულებლად. (იხ. „სტუდენტობის პირველი დრო“ გვ. 179. 1880 წ.).



რასაკვირველია აქ ჭავჭავაძის სოციალიზმზე კი არ არის ლა-  
პარაკი, არამედ მის დემოკრატიულ აზროვნებაზე, რომელიც უშუა-  
ლოდ მომდინარეობდა რუსეთის 60-იანი წლების პროგრესიულ დე-  
მოკრატიულ მიმდინარეობიდან.

ამ გარემოებას 60-იან წლებშივე მიაქცავეს ყურადღება, როდეს-  
საც მას ჩვენში ბელინსკობა და ჩერნიშევსკობა დასწამეს. „ჩვენა და  
თქვენ ამ შემთხვევაში ბელინსკობა და ჩერნიშევსკობა არ გამოგვა-  
დგება. ჯერ კოჭიც არის უნდა მიგვიგავდეს იმათა და მერე მივ-  
ბაძოთ“ სწერდა 1863 წ. ი. ჭავჭავაძის შესახებ ან. ფურცელაძე. 80-იან  
წლებში ამ გარემოებაზე ნაროდნიკული ინტელიგენციაც—მიუთითე-  
ბდა: ილია ჭავჭავაძე „იმ ქართველ ყმაწვილების რიცხვში მოყვა,  
რომელნიც იზრდებოდნენ და იწვრთნებოდნენ ჰუმანიურ და სოციალის-  
ტიკურ ნაწერებით დობოლიუბოვის და ჩერნიშევსკისა“—სწერდა  
ნაროდნიკული „იმედი“ 1882 წ.

„საქართველოს მოამბემ“ ხელოვნებისა და მეცნიერების საკი-  
თხში შეიტანა რეალიზმისა და უტილიტარიზმის პრინციპი.\*) იმისი  
აზრით ხელოვნება ხალხის გულიდან უნდა კრეფდეს მასალას და ხალხს  
უნდა ეხმარებოდეს ცხოვრების განახლებაში. „ჩვენ მეცნიერებასა და  
ხელოვნებას მოსვთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარ-  
სა და მშიერთათვის გამოსადეგსა და მოსახმარსა,—სწერს ჟურნალი—  
მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებებით  
ცხოვრების ახსნით და გაგებით, მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პა-  
სუხი ყოველ საჭირო კითხვებზედა“.<sup>1)</sup>

„ხელოვნებასაც იმას მოვთხოვთ,—განაგრძობს ჟურნალი,—რომ  
სარკესავით ცხოვრება გადმოსცეს, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი  
დავინახოთ... დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირში იქ მო-  
ნახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვ-  
რების ძირში, ის იპოვის ბევრს მარგალიტსა და უფრო ბევრს ლექს  
და ლაფსა, არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნე-  
ბასა და არც მეცნიერებასა“.

ასეთი რეალისტური და უტილიტარული პრინციპები შემოიტანა  
„საქართველოს მოამბემ“ ქართულს ლიტერატურაში. ხელოვნება მის-

1) საქართველოს მოამბე № 1 გვ. 123, 1863 წ.

\*) ჟურნალში ვხედავთ დობოლიუბოვის და ბელინსკის ზოგიერთ წერილე-  
ბის თარგმანს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბელინსკის ესთეტიური თეორიის  
განმარტება სპ. ჩიტორელიძის წერილებში. იხ. „საქ. მოამბე“ № 7, 8 1863).

თვის ცხოვრების მსახური არის, მისი გაუმჯობესებისათვის მებრძო-  
ლი ძალაა. თეორია: ხელოვნება ხელოვნებისათვის, რომელიც გაბა-  
ტონებული იყო რუსეთის ჩერნიშევსკის წინააღმდეგის ლიტერატურაში,  
გადაჭრით უარყო ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის მესვე-  
ურებმა საქართველოში და ქართული აზროვნების რენესანსის დასა-  
წყისში მათ პირნათლად გადმონერგეს ჩვენში ბ. ბელინსკისა და ნ.  
ჩუბინსკის ესთეტიურ-ლიტერატურული თეორიები. რეალისტური  
და უტილიტარული პრინციპები, რომელიც „საქართველოს მოამბე“  
გამეფა ქართულს ლიტერატურაში, სრულიად ახალი ხილი იყო  
უკანასკნელისათვის. ნაცვლად ძველი თაობის სქოლასტიურ-რელი-  
გიური აზროვნებისა, რომელიც აღმოცენებული იყო ანტონ კათალიკო-  
სის შეხედულებებზე, აღნიშნულმა ორგანომ საფუძვლები ჩაუყარა  
ახალ აზროვნებას, რომელმაც შემდეგში ღრმად გაიდგა ფესვები  
ჩვენს ლიტერატურაში. რაციონალიზმი, — აი რა ედგა საფუძვლად  
60-იანი წლების ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენციის ისტორიულ-  
სოციოლოგიურ მსოფლმხედველობას.

თუ ჩერნიშევსკის სოციოლოგიურ შეხედულებას ახასიათებდა  
მატერიალისტური და იდეალისტური — ელემენტები, 60-იანი წლების  
ქართველმა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ ნ. ჩერნიშევსკის მო-  
ძღვრებიდან უშვალოდ გადმოიღო უკანასკნელი და ამით ჩვენს ლი-  
ტერატურაში განამტკიცა ისტორიული იდეალიზმი. ამ იდეალისტუ-  
რი რაციონალისტური საზომით აშუქებდა 60-ანი წლებისა და შემ-  
დეგი პერიოდის ჩვენი ინტელიგენცია საზოგადოებრივ პრობლემებს.

იბრძოდა რა სქოლასტიურ-რელიგიური აზროვნების წინააღმ-  
დეგ, ჟურნალი მასთანავე გარკვევით ქადაგებდა დემოკრატიზმს, მიუ-  
ხედავად სასტიკი ცენზურული პირობებისა, რე ილაშქრებდა ბატონ-  
ყმობის წინააღმდეგ: მოითხოვდა ხალხში განათლების შეტანას და  
ფართო მასების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ თავის სახელმძღვანელო წე-  
რილში სწერდა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი  
გაუმჯობესება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“ (№ 1)  
განათლების შეტანა ხალხში და ხალხის წინ წამოყენება, მისი ინტე-  
რესების დაცვა მთავარ სამოღვაწეო საქმეთ გადაიქცა თერგდალე-  
ულთა თაობისათვის 60-იანი წლების დასაწყისიდანვე.

„ეს ისტორიით დამტკიცებულია, რომ რა სახელმწიფოშიაც  
მოხდენილა რაიმე ცვლილება, ეს მოხდენილა ყოველთვის განათლე-  
ბულთაგან, რომელნიც ყველგან, რაც უნდა სთქვას სხვამ, აწარმო-  
ებენ თავის ნებაზე ხალხის სამეუფო ნებასა, ე. ი. მიიმხრობენ მდა-

ბიო ხალხსა, როგორც უძლეველსა ძალასა და იმის შემწეობით ას-  
რულებენ საქმესა“ —<sup>1)</sup>). ასე სწერს ვ. თულაშვილი „საქართველოს  
მოამბის“ ფურცელზე და აქ მისი პირით ქართველი 60-იანი წლების  
„განმანათლებელი“ დასაძებს, რომელმაც ჩერნიშევსკის კოლაში  
შეისწავლა განათლების მნიშვნელობა და ხალხისადმი სამსახური.

განსაკუთრებით აღსანიშნავი არის ჟურნალის მიერ თავისუფა-  
ლი შრომის პრინციპების წამოყენება, რომელიც პირდაპირ გადმო-  
ღებული არის ჩერნიშევსკის მოძღვრებიდან. დ. ყიფიანი სწერდა:  
„თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია... მთელ საზოგადოებაში  
ყოველი კერძობით კაცი უნდა იყოს მშრომელი და მშრომელი თა-  
ვისუფლათა და, მაშასადამე, ნაყოფიერთაც: და თუ საზოგადოებაში  
ყოველი მისი წევრი ნაყოფიერთ შრომობს, საზოგადოებაც კეთილ  
მდგომარეობაში შევა“<sup>2)</sup>).

რასაკვირველია თავისუფალი შრომის პრინციპის წამოყენება  
ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალისტური აზროვნების შეთვისებას,  
მაგრამ ეს პრინციპი საუკეთესო იარაღი იყო ახალი თაობის ინტე-  
ლიგენციის ხელში ძველი დახავსებული წყობილების კრიტიკის სა-  
წარმოებლად. შემდეგში ამ პრინციპმა დემოკრატიულად მოაზროვნე  
ინტელიგენციაში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა.

არ შეიძლება აქ არ აღინიშნოს გ. წერეთელი, ცნობილი ბე-  
ლეტრისტი და პუბლიცისტი, რომელიც „თერგდალეულთა“ თაობის  
ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. გ. წერე-  
თელი, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელმაც 1861  
წ. სტუდენტთა არეულობაშიაც მიიღო მონაწილეობა, საკმაოდ იც-  
ნობდა რუსეთის ლიტერატურასა და საზოგადოებრივ—რადიკალურ  
აზროვნებას. მისი აზროვნება უკვე 60-იან წლებიდან განვითარდა  
რადიკალიზმის გზით<sup>3)</sup> ეს რადიკალურ-დემოკრატიული ნაკადი მის  
ნაწერებში შეუწყვეტილვ მიმდინარეობდა 90-იან წლებამდე., რო-  
დესაც მან მოინდომა ს.—დემოკრატიულ მიმდინარეობასთან შეთან-  
ხმება და თანამშრომლობა. 1873 წ. ერთს თავის პუბლიცისტურ წე-  
რილში იგი სწერდა: „ამ სახით ჩვენი თავად-აზნაურობის დასუსტება  
და მუშა ხალხის სულის ჩადგმა, იმისი წინ წამოწევა,—აი ერთი სა-  
ნუგეშო მიზანთაგანი ამ დროებისა. ჩვენი ქვეყნის ბედნიერება შემ-

<sup>1)</sup> ვ. თულაშვილი „სხვადასხვა ამბავი“ „საქართველოს მოამბე“ № 1, 1863 წ.  
გვ. 150.

<sup>2)</sup> დ. ყიფიანი. „სხვადასხვა ამბავი“ „საქართველოს მოამბე“ № 4. გვ.  
109. 1863 წ.

<sup>3)</sup> იხ. მისი წერილები „საქართველოს მოამბეში“ № 5 და სხვ.

დევში ამათს ერთმანეთთან დაკავშირებაზე და დამეგობრებაზეა დამოკიდებული“<sup>1)</sup>).

ამრიგად გ. წერეთელი 60 იანი წლებისა და განსაკუთრებით ჩერნიშევსკის ერთ საინტერესო მოწაფეთ უნდა ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც მან შეითვისა ამ ეპოქის დემოკრატიულ-რადიკალური აზროვნება და მას ემსახურებოდა თავისი ხანგრძლივი ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში.

ამრიგად ყველა ზემოდ ჩამოთვლილი დებულებები 60-იანი წლების ქართველმა ინტელიგენციამ უშუალოთ შეითვისა რუსეთის 60-იანი წლების რადიკალურ აზროვნებიდან და ამით სრულიად უჩვეულო ნაკადი შეიტანა ქართულს აზროვნებასა და ქართულს ლიტერატურაში. ჩერნიშევსკის გავლენა დემოკრატიულათ მოაზროვნე ინტელიგენციაზე აქ უდავოთ უნდა იქნეს ცნობილი: მისი ესთეტიური თეორია, რეალიზმი, კრიტიკა მაშინდელი არსებული წყობილებისა, რაციონალიზმის, უტილიტარიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპები საკმაოდ გამოიყენა ინტელიგენციამ და გაამდიდრა ქართული ლიტერატურის ოჯახი რუსეთის ახალი აზროვნების ნაყოფით. შემდეგში „თერგდალეულთა“ და „საქართველოს მოამბის“ იდეური მიმდინარეობის გამგრძელებელი შეიქნა გაზეთი „დროება“ (1866—85), „კრებული“ (1871—73) და „ნათობი“ (1869—72). მათ უფრო გააღრმავეს „საქართველოს მოამბის“ დაწყებული საქმე და განამტკიცეს დემოკრატიულ რადიკალური და რაციონალისტური მსოფლმხედველობა.

მაგრამ ჩერნიშევსკისა და მისი ჯგუფების უშუალო გავლენით ქართველმა ინტელიგენციამ შეითვისა არა მარტო დემოკრატიულ-რადიკალური აზროვნება, არამედ სოციალისტურ-ნაროდნიკული მსოფლმხედველობაც. როგორც ცნობილია, ჩერნიშევსკის მოძღვრებაში და სოციალურ აზროვნებაში თავმოყრილი იყო, როგორც მეცნიერული სოციალიზმის ელემენტები, აგრეთვე ნაროდნიკული უტოპიზმის დებულებაც. ქართველი სოციალისტური ინტელიგენციისათვის მისაბაძი გახდა სწორედ ეს ნაროდნიკული მსოფლმხედველობა და მისი ასოციაციის თეორიები.

უხდა ითქვას, რომ ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ ქართველი ინტელიგენციის წინაშე წამოიჭრა ღრმად მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოს ეკონომიური განვითარების შესახებ; რომელი გზა სჯობია საქართველოსათვის: გზა ინდივიდუალურ-კაპიტალისტური, თუ ასოციაციურ-კოოპერატიული.

1) გ. წერეთელი: „ამ დროის მოძრაობა“, „კრებული“ № 3 გვ. 231, 1873 წ.

ამ საკითხის გამორკვევის დროს ინტელიგენციამ გამოიყენა ჩერნიშევსკის მოძღვრებიდან შეთვისებული კაპიტალიზმის კრიტიკა და უარყო მისი განვითარების სარგებლიანობა საქართველოსთვის. ინტელიგენციის საგრძნობ ნაწილს ღრმად აფიქრებდა „პროლეტარიატში ჩაცვენის“ შიში და მოითხოვდა ასოციაციების, კოოპერატივებისა და საერთოდ კოლექტიური მეურნეობის დაარსებას როგორც სოფლად, ისე ქალაქად. აქაც ინტელიგენცია აყენებდა შრომის პრინციპს, მხოლოდ მის განხორციელებას მოითხოვდა კოლექტიურ ფორმაში, აღსანიშნავია, რომ ყველა ამ დებულებების დასამტკიცებლად მაშინდელ ორგანოებში არა ერთხელ ვხვდებით „სოვრემნიკის“ გვერდებზე მითითებებს. ამრიგად ინტელიგენციამ ფართოდ შეითვისა ჩერნიშევსკის დებულებები და თავისებურად გამოიყენა იგი საქართველოს სინამდვილისათვის გარკვეულ კოლექტიური ასოციაციური პროგრამის შემუშავების საქმეში.

კერძოდ ჩერნიშევსკის დიდ გავლენას განიცდიდენ 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის ისეთი საუკეთესო წარმომადგენლები ახალი ასოციაციის-სოციალისტური მიმდინარეობისა, როგორც იყვნენ ან. ფურცელაძე, გრ. თარხან-მოურავი, კ. ლორთქიფანიძე, მ. ქიქოძე და სხვები<sup>1)</sup>. ანტონ ფურცელაძე ერთ ერთი საინტერესო წარმომადგენელი არის 60-იანი წლების ჩვენი ახალი თაობისა, რომელმაც რუსეთის სოციალისტური აზროვნების დიდი გავლენა განიცადა. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა მრავალმხრივია, 70-იან წლებში იგი პრაქტიკულ მონაწილეობასაც ღებულობდა ნაროდნიკულ პარტიაში მას ეკუთვნის მთელი რიგი სოციალისტური ხასიათის წერილები 60—70-იან წლების ქართულ მწერლობაში.

თარხან მოურავის ნაწერები, რომელთაც ატყვია ჩერნიშევსკის აზროვნების დიდი გავლენა, (იგი ხშირად მიგვითითებს „სოვრემნიკის“ წერილებზე) საინტერესოა ეკონომიური მომენტის პირველ რიგში წამოყენებით, შრომის ღირებულების შეთვისებით და ასოციაციური თეორიის დაცვით. იგი გადაჭრით მოითხოვს ასოციაციიდან ფულის გამოდენას და შრომის პრინციპის გაბატონებას მასში. საქართველოს ერთად ერთ ხსნას იგი შრომის ასოციაციების დაარსებაში ხედავდა. აშკარაა, რომ ამ ნწერალმა ჩერნიშევსკის პროგრამის თანახმად მოინდომა ჩვენში ასოციაციების შემოღება და მით საქართველოს გადარჩენა კაპიტალიზმის გამანადგურებელ გავლენისაგან.

<sup>1)</sup> იხ. ამის შესახებ ჩვენი წიგნი: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ ტომი პირველი.

მაგრამ ყველაზე უფრო დიდი გავლენა ჩერნიშევსკის აზროვნებისა 60-იან წლებში განიცადა ნ. ნიკოლაძემ<sup>1)</sup>. ნიკოლაძე პირადათ იცნობდა ჩერნიშევსკისა და მის ოჯახობას<sup>2)</sup> შემდეგში იგი მონაწილეობას ღებულობდა ჩერნიშევსკის განთავისუფლების საქმეში, როდესაც „ნაროდნაია ვოლიამ“ ერთერთ პირობათ რუსეთის თვითმპყრობელობას ჩერნიშევსკის კატორღიდან განთავისუფლება მოსთხოვა.<sup>3)</sup>

ნიკოლაძეს რუსეთში იმ პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, როდესაც სტუდენტთა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. 1861 წელში მომხდარ სტუდენტთა არეულობაში მან სხვა ქართველ სტუდენტებთან (გ. წერეთელი, დ. ლოლობერიძე, ბ. ლოლობერიძე კ. ლორთქიფანიძე, ჩოლოყაშვილი, ალხაზიშვილი, ისარლიშვილი და სხვ.) ერთად მონაწილეობა მიიღო, რისთვისაც რამოდენიმე ხანი იჯდა კრონშტატის ციხეში. 1864 – 68 წლებში ნიკოლაძე მოხვდა საზღვარგარეთის ემიგრაციაში: პირველ ხანებში იგი მონაწილეობას ღებულობდა გერცენის „კოლოკოლში“, ხოლო შემდეგში დასცილდა მას და ცხარე პოლემიკასაც აწარმოებდა მის წინააღმდეგ. 1865 წ. „კოლოკოლში“ მან მოათავსა რამოდენიმე წერილი, რომელშიც ნათლად არის გამოთქმული მისი ნაროდნიკულ-სოციალისტური შეხედულება და რომელთაც აზის ჩერნიშევსკის გავლენის ზეგანი. ერთს წერილში იგი სწერს: „ჩვენ რელიგიურად დარწმუნებული ვართ, რომ ერთად ერთი ფორმა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა, რომელსაც შეუძლიან ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს, არის თემობრივი განაწილება მიწისა და ყველა სხვა საკუთრებისა და თემობრივი ორგანიზაცია, როგორც სახალხო შრომისა, ისე სახელმწიფოებრივი მმართველობისა... ღრმად დარწმუნებული ასეთი სახელმწიფოებრივი წყობილების უდიდეს სარგებლიანობაში, ჩვენ უნდა ვსცდილობდეთ რაც შეიძლება უახლოეს დროში შემოვიღოთ იგი საქართველოში<sup>4)</sup>.

შეითვისა რა ნაროდნიკული სოციალიზმის უტოპიური შეხედულება თემურ წყობილებაზე, ნ. ნიკოლაძემ უარყო ევროპის კაპიტალიზმის საჭიროება და სარგებლიანობა საქართველოსთვის. იგი გადაჭრით უარყოფს კაპიტალიზმის განვითარების სარგებლიანობას სა-

1) ამის შესახებ იქვე, აგრეთვე წერილი „ქართულ მწერლობაში“ (№ 4).

2) ნ. ნიკოლაძე: მოგონებები 60-იან წლებზე „კავკასიონი“ № 3 4, 1924 წ. აგრეთვე მისივე წერილი: „სტუდენტობის პირველი დრო (1861 წ.) კრებულში „სახალწლო“ 1880 წ.

3) Н. Николадзе: „Освобождение Чернышевского“ „Былое“ 1906 წ.

4) Рио Нели: „Освобожд. крестьян в Грузии“ „Колокол“ № 199, 1865 წ.

ქართველოსთვის და მოითხოვს თემური წყობილების გზით ქართველი ხალხის ეკონომიურ აღორძინებას.

აღსანიშნავია, რომ იმ მთავარ სადავო საკითხში, რომელიც სწარმოებდა ჩერნიშევსკისა და გერცენის შორის ევროპის განვითარების შესახებ, ნიკოლაძე გადაჭრით იცავდა ჩერნიშევსკის ხაზს. იგი სწერდა:

...„ჩვენ არ ვუიქრობთ, რომ დასავლეთი ევროპა თავის ცხოვრებაში დახავსდა და მას არ შეუძლია უკეთესად მოეწყოს სლავური ან რომელიმე სხვა ელემენტის დაუხმარებლად. ამ შემთხვევაში გვაპატიონ „კოლოკოლის“ დიდათ პატივცემულმა გამომცემლებმა (ე. ი. გერცენმა და ოგარიოვმა), რომ ჩვენ სავსებით არ ვიზიარებთ მათ უსასოებას თანამედროვე ევროპის არევ-დარევის შესახებ. წინააღმდეგ მათი აზრისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ევროპა მაინც გაიტანს თვისას და მაინც მიადწევს (უმაღლეს) იდეალამდე“...<sup>1)</sup>.

1866 წ. ნ. ნიკოლაძემ გამოსცა ჟენევაში საინტერესო წიგნაკი კარაკოზოვის ტერორისტული აქტის გამო: „Правительство и молодое поколение“ Никифор Г... ფსევდონიმით. ამ ბროშურაში ნიკოლაძე უარყოფს ტერორისტულ ტაქტიკას, მაგრამ რადიკალურად განწყობილი არის არსებული წყობილებისა და არსებული მთავრობის წინააღმდეგ იგი აღნიშნავს, რომ მთავრობასა და ახალგაზრდობას შორის სამკვდრო—სასიცოცხლო ომი არის გაჩაღებული და მათ შორის „შეუძლებელია, სრულიად მოუხერხებელია რაიმე სახით დაახლოვება, შეუძლებელია რაიმე შეთანხმება, წარმოუდგენელია რაიმე დათმობა“<sup>2)</sup>. ამ პერიოდში ნიკოლაძე უკვე ებრძოდა გერცენს და მის „კოლოკოლს“ და სცდილობდა ჩერნიშევსკის ხაზის გატარებას საზოგადოებრივ საკითხებში. იმავე ბროშურაში ნიკოლაძე სწერდა:

„ახალი თაობა 1856 წლიდან შეუდგა საზოგადოებაში ახალი აზრების გატარებას საზოგადოებრივ ურთიერთობასა, ხელოვნებასა, მეცნიერებასა და სხვათა შესახებ... ასეთი იყო ჩერნიშევსკის მეგობრების მოღვაწეობა მთელი 1856—1862 წლების განმავლობაში. ჩერნიშევსკი და მისი მეგობრები წარმოადგენდნენ ახალ თაობას,— ისინი მუშაობდნენ მათი (ახალი თაობის) მისწრაფებების განსახორციელებლად და ასრულებდნენ შესაძლებლობისდაგვარად მათს პრო-

<sup>1)</sup> იქვე.

<sup>2)</sup> Никифор Г... (ნ. ნიკოლაძე): „Правительство и молодое поколение“ გვ. 29, 1866 წ. Женева.

გრამას... ეს ჯგუფი იცავდა გლეხთა უფლებას მიწაზე, მხარს უჭერდა თემობრივ მფლობელობას მიწის კერძო საკუთრების წინააღმდეგ, ის სცდილობდა გაეგრძელებია საზოგადოებაში შეგნება საკუთარი ინიციატივის აუცილებლობისა, ის აგრძელებდა ცალკე პირებში აზრს პირადი დამოუკიდებლობისა და ადამიანური ღირსების შეგნების შესახებ, ის აყენებდა ყველაზე მაღლა საერთო კეთილდღეობას და ამ საზომით უარყოფთა ყოველგვარ ძალდატანებასა და ექსპლოატაციას\* (იქვე გვ. 33—34).

1868 წ. ნ. ნიკოლაძე ლ. მეჩნიკოვთან ერთად სცემს პატარა ჟურნალს „Современность“<sup>1)</sup>. რომელშიაც იგი სცდილობს გაატაროს ჩერნიშევსკის ხაზი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ნიკოლაძეს ჩერნიშევსკი არ მიაჩნია რევოლუციონური შეთქმულების და ტერორისტული ტაქტიკის მომხრეთ იგი აღნიშნავს, რომ ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი იყურებოდნენ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების სიღრმეში, მეცნიერულად არკვევდნენ მისი ჩამორჩენის მიზეზებს და სცდილობდნენ დახვედრული წყობილების რადიკალურად გარდაქმნას. მაგრამ მათი ტაქტიკა არ მიდიოდა შეთქმულებასა და ტერორამდე. ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი ფიქრობდნენ, რომ ამ ყამად აუცილებელია უფრო გონივრული დაპრაქტიკული ცდები შესაცვლელად, ასე თუ ისე გარკვეული ფარგლების მიხედვით, იმ ცხოვრებისა, რომელიც ჩვენ მოგვწონს, და აშენება პირადი ცხოვრებისა და ახლობელ პირთა ცხოვრების იმ საფუძვლებზე, რომელიც უფრო სამართლიანია რომ თანდათან შეიქმნეს და გაიზარდოს ძალა საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძვლების უფრო ფართო და რეალურ გარდაქმნისთვის“<sup>2)</sup>. რასა-

1) გორახოვი ამ ჟურნალის შესახებ სწერს, რომ ის იყო „საერთო რევოლუციონური მიმდინარეობის, მაგრამ არა სოციალისტური“ („Русская секция I-го интернационала“ გვ. 11). ეს შეცდომაა: აღნიშნული ჟურნალი საერთოდ-სოციალისტური მიმდინარეობისა იყო, მაგრამ არა რევოლუციონური. ამ ჟურნალის შესახებ ა. გერცენი სწერდა: „მიმართულება სავსებით რადიკალურია და სოციალისტური“ (ტ. 20 გვ. 295) პროფ. ა. ხახანაშვილი აღნიშნავს, რომ ენევაში ყოფნის დროს ნიკოლაძემ დაარსა ქართველთა კავშირი „უღელი“ სახელწოდებით, რომელიც სცემდა თავის ორგანოს „სოვრემენოსტს“ (იხ. მისი: История груз. словесности“. ტ. 4 გვ. 296) აქ ფაქტების არევაა ერთმანეთში: „უღელი“ დაარსდა ციურიხში 1873 წ. (იხ. „დროება“ № 16, 1873 წ.) ხოლო აღნიშნული ჟურნალი გამოდიოდა 1868 წ. ენევაში.

2) ხელმოუწერილი წერილი: „Два поколения“—„Современность“ № 6 გვ. 82, 87, 1868 წ. ამავე წელში ნ. ნიკოლაძის ასეთი პოლიტიკისა და ტაქტიკის



კვირველია, ნ. ნიკოლაძემ, ისე როგორც სხვებმა, შეცდომით გაიგო ჩერნიშევსკის ტაქტიკა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ იგი ჩერნიშევსკის მოწაფედ სთვლის თავის თავს და მისი აზრების გავრცელებას სცდილობს<sup>1)</sup>. ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1868 წ.) ნიკოლაძე მხურვალე მონაწილეობას ლებულობს ქართულ პრესაში და 70 იანი წლების განმავლობაში ატარებდა იმ ხაზს, რომელიც მან გამოსთქვა „Современность“-ის ფურცლებზე ჩერნიშევსკის პროგრამის განმარტების დროს. სრულიად საფუძვლიანად სწერს თავის მოგონებაში გ. თუმანიშვილი, რომ „ნ. ი. ნიკოლაძე არა ერთხელ ატარებდა საზოგადოებაში ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეებს“<sup>2)</sup>. მართლაც საკმარისი არის გადაათვალიეროთ ნ. ნიკოლაძის ნაწერები 70 იან წლებში, რომ დაინახოთ ჩერნიშევსკის გავლენა მასზე. მას, როგორც იგივე თუმანიშვილიც აღნიშნავს, ხშირად მოჰყავს ჩერნიშევსკის ნაწერებიდან ვრცელი ციტატები, მაგრამ ავტორს კი არ ასახელებს ცენზურულ პირობების გამო. მაგ. «კრებულის» პირველ ნომერში (1871 წ.) „მკითხველთა საუბარში“ ნიკოლაძეს მოყვანილი აქვს ჩერნიშევსკის რომანიდან („Что делать?“) ეპიგრაფათ რუსულად და ქართულად ვერა პავლოვნას მეოდხე სიზმარის შემდეგი ცნობილი ადგილი: „მომავალი ბრწყინვალე და მშვენიერია. შეიყვარეთ იგი, გაეშურეთ იმისკენ, იმუშავეთ იმისთვის, დაიახლოვეთ იგი, რამდენის გადმოღებაც შეგიძლიანთ, გადმოიღეთ იქიდან ამ ცხოვრებისთვის. თქვენი ცხოვრება იქნება იმდენათ ნათელი, სავსე სიკეთით, მხიარულებით და სიამოვნებით, რამდენათაც უფრო ბევრის გადმოღებას მოახერხებთ მომავალი ცხოვრებისგან აწინდელში. გაეშურეთ მისკენ, იმუშავეთ იმისთვის, რამდენიც შეგიძლიანთ გადმოიღეთ იქიდან ყოველივე ეხლანდელ ცხოვრებისათვის“<sup>3)</sup>.

ნიკოლაძის სხვა ნაწერებშიაც ჩვენ ხშირად ვხვდებით ციტატებს დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის ნაწერებიდან. მაგრამ ეს ხდებოდა იმ პერიოდში როდესაც ნიკოლაძე ჯერ კადევ განიცდიდა სოციალისტური აზროვნების გავლენას; 80-იანი წლებიდან მისი აზროვნება საკმაოდ შეიცვალა და იგი გახდა საქართველოში პროგრესიული ბურჟუაზიის იდეოლოგი.

წინააღმდეგ ა. სერნო-სოლოვიოვიჩმა გამოუშვა ბროშურა: „Миколка публицист“.

1) უნდა აღინიშნოს, რომ 1868 წ. გამოვიდა ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომი ნ. ნიკოლაძის რედაქციითა და წინასიტყვაობით, რომელშიაც აღნიშნულია ჩერნიშევსკის დიდი ღვაწლი რუსეთის ლიტერატურაში.

2) Туманов: „Характеристики“... გვ. 234.

3) იხ. „კრებული“ № 1 გვ. 158, 1871 წ.

მაგრამ ჩერნიშევსკის გავლენა ქართველ ინტელიგენციაზე არც ზემოთ აღნიშნული მომენტებით ამოიწურება და რც 60-იან წლებით არ შემოიფარგლება. ჩერნიშევსკის გავლენის ქვეშ იდგნენ ქართველი ინტელიგენციის რადიკალურ-რევოლუციონური მიმდინარეობის წარმომადგენელი. 70-80-იანი ქართველ ნაროდნიკული ინტელიგენცია ხარბათ ეწაფებოდა ნ. ჩერნიშევსკის ნაწერებს და ითვისებდნენ მის სოციალისტურ იდეებს. ამის დასამტკიცებელი მასალები ჩვენ ბლომად მოგვეპოება ცალკე მოგონებებისა და საარქივო მასალების მიხედვით.<sup>1)</sup> იგივე გ. თუმანიშვილი გადმოგვცემს: „ჩერნიშევსკის გადასახლების დიდი ხნის შემდეგაც უკანასკნელი ახალი თაობისათვის კავკასიაში საყვარელ პიროვნებას წარმოადგენდა ისე, როგორც რუსეთის სხვა ადგილებში. გასული საუკუნის 70-იანი წლებში გიმნაზიაში, სადაც მე ვიზრდებოდი, როდესაც მოწაფეებმა დაიწყეს ლიტერატურული საღამოების გამართვა, პირველ ყოვლისა მათ წაიკითხეს რომანი „Что делать?“ და პისარიევის წერილი ამ რომანზე. ნოვრასიის უნივერსიტეტის ჩემს სტუდენტობის დროს, კავკასიელ სტუდენტებს ჰქონდათ თავისი ბიბლიოთეკა, საკმაოდ მდიდარი მეცნიერული წიგნებით. ბიბლიოთეკაში იყო მხოლოდ ერთი პორტრეტი დიდი ჩარჩოებით ჩამოკიდებული კედელზე და ეს იყო ჩერნიშევსკის

1) აი რას სწერდა 70-ანი წლების ინტელიგენციის, 60-ანი წლების იდეებით გატაცების შესახებ ამავე წლების რევოლუციონური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი სტ. ჭრელაშვილი: — „ჩვენის გულისა და სულის უდაბნოში წამოიჭიმა ჩიხებული წალკოტი, რომელსაც აღტაცებით შეჰჩაროდა ჩვენი ხორჩი ჭკუა და გრძნობა. რაკი ასეთმა საზოგადოებრივმა აზრებმა მიიზიდა ახალგაზრდის გული, უკან გამობრუნ ბა მოუხერხებელი და იყო, გინდაც რომ ძალა მიგეტანათ, საკუთარის ნებით ხომ უკან ვა აღარ, პირ-იქით, წინ უნდა წასულიყო სურვილი, რამდენიც სწავლის გემო გაუჯდებოდა გვერდებში ახალგაზრდას. ასეც მოჰადა. ჩვენს სასწავლებლებში ყმაწვილები გამოთხიზლდნენ. ამხანაჯობა გაიმართა და ურთიერთის დახმარებით შეუდგნენ ახალგაზრდები თავიანთს განათლებას — კითხულობდნენ, ბაასობდნენ, იმართებოდა აზრების აღებ-მიცემობა და სხვა ამისთანა სიკეთე. დამშეულივით დაეწაფა ჩვენი ახალგაზრდობა 60-იან წელთა მდიდრ ლიტერატურას რუსეთისასაც, ბევრი საკაცთმოყვარო აზრები შეითვისა თვით იმ ასაკში, როდესაც ყმაწვილს თამაშისა და ცელქობისათვის უფრო უნდა ერჩოდეს გული. შეუძლებელი იყო, რომ ამ აზრებს არ ეჩინა თავი ახალგაზრდის ყოველ დღიურს ცხოვრებაში. იჩინა თავი და საქმე ისე წავიდა, რომ 1878 წლამდე, სულ რაღაც ოთხის წლის განმავლობაში, მარტო თბილისის სემენარიას მოაკლდა ოთხმოცდა რვა საუკეთესო შეგირდი (ე. ი. რევოლუციონური აზრებისათვის გამორიცხული იქნენ სასწავლებლიდან ს. ხ.) რომელნიც გულს მოდგენით ემხადებოდნენ ქვეყნის სამსახურისათვის. თითქმის ამისთანავე ამბავი დაატყდათ ჩვენებურ დანაორჩენ სასწავლებლებსაც. ქართველ შაგირდების რიცხვმა საშინლად იკლო სასწავლებლებში. იმ დღიდანმა ვხედავთ, რომ თითქმის ყველა ახალგაზრდა, რომელსაც კი შეეცოდა რაიმე ნიშან-წყალი საკეთისა, ვერ გასცილდება ხოლმე მეხუთესა და მეექვსე კლასს“. სანო (ს. ჭრელაშვილი): „ძველი და ახალი თაობა“ გაზ. „ივერია“ № 189, 1888 წ.).

შორტრეტი... და ეს სრულიად არ იყო რაღაც გამონაკლისი მოვლენა. ის სავსებით ეგუებოდა იმ საერთო თაყვანისცემას, რომელთაც შემოსილი იყო ჩვენში ჩერნიშევსკის სახელი. ასე დიდათ აფასებდნენ რუსეთის დიდ პუბლიცისტს, რუსეთის შორეულ კუთხეებშიაც<sup>1)</sup>.

რასაკვირველია ჩერნიშევსკის წიგნების გავრცელება ლეგალურის გზით ჩვენში შეუძლებელი იყო, მაგრამ არა ლეგალურის გზითაც ამ ნაწერებმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშეს ქართველი ინტელიგენციის ვათვითცნობიერებისა და სოციალისტურად აღზრდის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ 80 იან წლებიდან ნ. ჩერნიშევსკის აზრები და მისი მოძღვრება ქართველმა ინტელიგენციამ მუშა — ხელოსნებშიაც შეიტანა. მ. ჩოდრიშვილის და ზ. ჭიჭინაძის მოგონებები ჩვენ გადმოგვცემენ, რომ 80-იან წლების დასაწყისში ახალგაზრდა სემენარიელი ნაროდნიკები ხშირად უკითხავდნენ მუშა ხელოსნებს ჩერნიშევსკის ნაწერებსა და აცნობდნენ მის მოღვაწეობასა და ცხოვრებასა<sup>2)</sup>. მაგრამ ამ საკითხს ჩვენ აქ ვრცლად ვერ შევეხებით<sup>3)</sup>.

ამ პატარა ნარკვევიდან მკითხველი ნათლად ხედავს თუ როგორი დიდი როლი ითამაშა ნ. გ. ჩერნიშევსკიმ ქართულ რადიკალურ დემოკრატიულ და სოციალისტურ აზროვნების განვითარების საქმეში. ჩერნიშევსკის გავლენა ქართულს აზროვნებასა და ლიტერატურაზე გამოიხატა შემდეგში:

1) იმ პერიოდში, როდესაც მნიშვნელოვანი პროცესები დაიწყო საქართველოს სოციალ-ეკონომიურ წყობილებაში კაპიტალისტური ურთიერთობის მიმართულებით, რაც იწვევდა სოციალური ჯგუფების ამოძრავებასა და ახალ იდეოლოგიურ ძიებებს, ნ. გ. ჩერნიშევსკიმ და მისმა თანამებრძოლებმა უდიდესი როლი ითამაშეს ქართველი ახალთაობის ინტელიგენციის გამოფხიზლებისა და მათთვის ახალ აზროვნების მიწოდების საქმეში.

2. უშუალო ჩერნიშევსკის აზროვნების ზეგავლენით ჩამოყალიბდა ჩვენში ახალი მიმდინარეობა რადიკალ-დემოკრატიული შინაარსით,

1) Г. Туманов: „Характеристики“ გვ. 136-38.

2) ცნობები მოყვანილია ჩვენი წიგნის მეორე ტომში გვ. 88, 112.

3) აღსანიშნავია, რომ ნ. ჩერნიშევსკის გარდაცვალების შესახებ მხოლოდ ერთი პატარა წერილის დაბეჭდვა მოახერხა რადიკალურმა ინტელიგენციამ ქართულად: „წარსულის თვის უკანასკნელ რიცხვებში გარდაიცვალა რუსის გამოჩენილი მწერალი ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი“ — სწერს გაზეთი „თეატრი“ და შემდეგ მოჰყავს მხოლოდ ცნობები მისი დაკრძალვის შესახებ. (იხ. „თეატრი“ № 37-38 გვ. 12, 1889 წ. წერილი: „ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი“). სასტიკმა ცნობებმა საქართველოშიაც შებოროტა მისი პატივისმცემელი.

რომელმაც შეითვისა ჩერნიშევსკისა და მისი ჯგუფისაგან არსებული წყობილების კრიტიკა, შრომის პრინციპი, პიროვნებისა და საზოგადოების თავისუფლება. „თერგდალეულთა“ თაობა იყო ამ პრინციპების შემომტანი საქართველოში. შემდეგში ღრმად გაიდგა ფესვები ამ დემოკრატიულმა მიმდინარეობამ ქართულ ლიტერატურაში.

3. იმავე წყაროდან შემოიჭრა ჩვენში რაციონალისტური და პოზიტიურ-უტილიტარული აზროვნება, რომელმაც გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ჩვენში გამეფებულ სქოლასტიურ-რელიგიურ აზროვნებას. იმავე ჩერნიშევსკის ზეგავლენით განმტკიცდა ჩვენს კრიტიკულსა და მხატვრულ ლიტერატურაში რეალისტურ—უტილიტარული პრინციპი. პირველად ესთეტიკის საკითხსა და კრიტიკულ წერილებში ეს პრინციპი გამოიყენა ილია ჭავჭავაძემ, ხოლო შემდეგში მისი ერთგული დამცველი გახდა, იმავე ლიტერატურის კრიტიკის სფეროში ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და ნაროდნიკი—კრიტიკოსები (სტეფ. ჭრელაშვილი, ნ. ხიზანაშვილი და სხვ.)

4. სოციალისტური აზროვნების პირველი მნიშვნელოვანი ნაკადული ქართულს აზროვნებაში ნ. გ. ჩერნიშევსკის მოძღვრებიდან გამომდინარეობდა. კაპიტალისტური წყობილების კრიტიკა, უმაღლესი სოციალური იდეალები, შრომის პრინციპი, ასოციაცია და თემური წყობილების თაყვანისცემა, ხალხთან დაახლოება და ხალხისათვის ზრუნვა,—აი რა შეითვისა უკვე 60-იან წლების დასაწყისიდან ჩერნიშევსკის იდეური გავლენით ქართველი ინტელიგენციის ნაწილმა. 70—80 წლებში ამავე წრიდან განვითარდა ნაროდნიკული მიმდინარეობა საქართველოში, რომელმაც საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ქართული აზროვნების ვითარებაში. ცხადია, ეს ქართული ნაროდნიკული ინტელიგენცია ნ. ჩერნიშევსკის უშუალო მოწაფედ სთვლიდა თავის თავს.

5. მასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ჩერნიშევსკისა და მისი შკოლის ეს გავლენა თავისებურ ელფერსა და შინაარს ღებულობდა საქართველოს სინამდვილეში: დიდი რევოლუციონერის სოციალ-პოლიტიკური პროგრამა და შეხედულებანი თავისებურს ცვლილებებს განიცდიდა ჯერ კიდევ განუვითარებელსა და მოუმწიფებელს ნადაგზე არსებითად ღებულობდა რა ბურჟუაზიულ ხასიათს. მაგრამ ეს სრულიად არ უარყოფს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკი და მისი ჯგუფი გადაიქცა ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მისაბაძ მაგალითად უკვე 60-იან წლებიდანვე.

— : —

## სალიტერატურო კრიტიკისთვის

თერთმეტი წელია არსებობს საქართველოს მწერალთა კავშირი და ამ თერთმეტი წლის განმავლობაში არ ყოფილა ამ კავშირის ერთი კონფერენცია, ან ყრილობა, რომელზედაც არ დასმულიყოს საკითხი ქართული ენის გაწმენდისა და გასათუთების შესახებ.

ორ უკანასკნელ ყრილობაზე მომხსენებელი იყო ამხ. ფილიპე მახარაძე.

როგორც ძველი ლიტერატორი ფ. მახარაძე განსაკუთრებით უსვამდა ხაზს, რომ დღეს მწერლობაში ქართული ენა მეტად შერყვნილია და დამახინჯებული.

ეს მოხსენება თავის დროს დაიბეჭდა, კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა და ვისაც უნდა ნახოს მაგალითები ეხლაც შეუძლია წაიკითხოს ამ კონფერენციის დაბეჭდილი ოქმების წიგნი.

ქართული ენის სიწმინდის დაცვა. იმგვარ მწვავე საკითხათ გახდა, რომ დაისვა ისეთ ავტორიტეტულ კრებაზე, როგორიც არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

ამხ. მიხ. კახიანი თავის მოხსენებაში ამბობს:

... აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საერთოდ ჩვენს ლიტერატურაში და კერძოთ საქართველოს პროლეტარულ მწერლობაშიაც ჯერ კიდევ მრავალ დევექტს აქვს ადგილი; ლიტერატურა კიდევ მოიკოჭლებს ქართული ენა, სტილი აშკარათ სუსტია:

ჩვენ კომუნისტები ენის სიწმინდეზე უნდა ვზრუნავდეთ. ლენინი სწერდა, რომ დიადი რუსული ენა დაამახინჯეს და შერყვნეს, ვინაიდან მასში შეიტანეს მრავალი ისეთი სიტყვა, რომელიც სრულიად გაუგებარია მუშისა და გლეხისათვის. ასევე ენერგიულად უნდა ვიცავდეთ ჩვენც ქართული ენის სიწმინდეს.

როდესაც „კომუნისტში“, კითხულობ - მოხსენების, სიტყვებისა და რეზოლიუციების თარგმანს ზოგჯერ რაღაც უსიამოვნებას გრძნობს.

ნუ თუ მართლა შეუძლებელია გამოინახოს პარტიის ცენტრალ-ორგანოსათვის ისეთი პირები, რომლებსაც შეეძლოთ რიგიანათ მთარგმნონ რეზოლიუცია ქართულ ენაზე. მაგრამ მარტო თარგმანე-

ბი კი არა, ორიგინალური წერილებიც ზოგჯერ ცუდათ იწერება...  
ნუ თუ ქართულ ლექსიკონში არ მოიპოვება ისეთი სიტყვა, რომელიც მისაღები იყოს ყველა მუშისათვის და ყოველი გლეხისათვის. გაზეთები მათთვის არსებობს, მათთვის იწერება, ამ გაზეთებში ისინი თვითონ სწერენ, უნდა მოვსთხოვოთ ჩვენ მწერლებს, რომელთაც კი უყვართ ჩვენი ენა და ყველა იმას ვისაც სურს ამ ენაზე მუშაობა, რომ მათ სწერონ უფრო ნათლად და მარტივად, და მუშათა და გლეხთა ფართო მასებისათვის გასაგებათ,—ეს სავალდებულო მოთხოვნაა, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს“.

ასე საკითხის დასმა თითქმის საკითხის გადაწყვეტას უდრის, ისიც აშკარაა, რომ მეტად მომწიფებულია და მართლაც მომენტის სავალდებულო მოთხოვნაა და უნდა განხორციელდეს.

ამიტომ საჭიროა ფართო მასებისთვის ეს საკითხი დაისვას მთელი მოცულობით, რომ გაიხსნას მისი ბუნება და ყოველმხრივ შესწავლილ იქნას.

უეჭველია ქართული ენის დამახინჯებისა და შერყევის საკითხი ამ უკანასკნელ დროის ამბავი არ არის, თითქმის ქართული პრესის დაარსებისთანავე დაისვა ეს საკითხი და მთელი თაობა მწერლებისა ამისათვის ომებს იხდიდა;

ენა საერთოდ არ არის რამე ურყევი და შეუცვლელი.

ენა ყოველთვის ემორჩილება საზოგადოების განვითარების კანონს.

ახალ კლასს, ახალ ლიტერატურულ შკოლას თავისი კანონი შეაქვს მწერლობაში და ხშირად ენისთვის ბრძოლა მსოფლმხედველობისათვის ბრძოლაა.

ასე ყოფილა, ყველა ქვეყნის მწერლობაში, ასე იყო ჩვენშიაც, იმდენათ, რამდენათაც ქართულ მწერლობაში დადგენილ იქნა ერთგვარი ლიტერატურულ შკოლათა შეცვლის კანონი.

თავის დროზე ენას უწუნებდენ რუსეთში პუშკინს და საქართველოში ილია ჭავჭავაძეს.

ენის რეფორმაცია მაშინდელ საზოგადოებას ბარბაროსობათ მიაჩნდა, მაგრამ ისტორიის მსჯავრი სამართლიანად სწყვეტდა ამ კამათს, ახალი თაობის სასარგებლოდ.

უეჭველია დღეს, უჩვეულო სირთულით და სიღრმით ისმება ეს საკითხი, რადგან აქ ჩვენ მარტო ლიტერატურულ შკოლასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ერთბაშად მთელ ფრონტზე გამოდის ახალი კლასი და გამარჯვებული პროლეტარიატი იბრძვის ახალ სოციალისტურ კულტურისთვის.

რამდენადაც ეს ბრძოლა ღრმავა, იმდენად დიდია ზრდის ტკივილები, ამიტომ აქ ენის სიწმინდისთვის ბრძოლა დიდ საზოგადოებრივ მოვლენათ ხდება.

ლენინისა და ლენინის პარტიის მიერ ეროვნულ საკითხის გადაჭრა და საბჭოების კონსტიტუცია, მსოფლიოსთვის ჯერ უნახავ სანახაობას ქმნის ეროვნულ კულტურის აღორძინებისთვის.

ჩვენ თვალწინ ხალხი, რომელიც წინათ ეტნოგრაფიულ მასალას წარმოადგენდა, ეხლა იწყებს კულტურულ ზრდას და იმაგრებს ეროვნულ ხერხემალს, საბჭოთა კავშირში ათობით ითვლება ასეთი ერები.

უეჭველია საქართველოს აქვს უძველესი კულტურა: ძველ მწერლობაში რუსთაველი და საბა ორბელიანი — ახალ მწერლობაში ნ. ბარათაშვილი და ვაჟა ფშაველა.

ისეთი მცოდნე ქართული ენისა როგორც არის აკადემიკოსი ნ. მარრი, თავის ახალ ნაშრომში, ცოცხალი ქართული ენის შესწავლისთვის, ასე სწერს:

...„ქართული ენით ყველაფერი გამოითქება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას, რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპის, რომ არა თუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას.

ქართული ენა, მეტადრე ცოცხალი, ქართული ენა უფრო მხატვრულად ხორცს ასხამს ყოველ აზრს და არა დახსნილ-დაქსაქსულად აგვიწერს და არა ზოგად ცნებებზე, მხოლოდ გადაიღებს საჭირო აზრს... შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით ქართული ენა მსოფლიურია“...

სწორეთ ამიტომ, რომ ქართულ ენას ასეთი ისტორია აქვს და ასეთი შინაგანი ძალა, უფრო მეტი სიმწვავეთ ისმება საკითხი მისი გაწმენდისა და გასუფთავების შესახებ.

ყოველი მწერალი, რომელიც თავის თავს პატივს სცემს, იტყვის, რომ სამშობლო ენის ცოდნა მისთვის ცხოვრებაში მიუღწეველი იდეალია და მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამისთვის უნდა იბრძოდეს.

ისეთი დაწმენდილი და გამართული ენა, როგორც ფრანგული ენა არის, ხშირათ ათქმევინებდა თავის საუკეთესო ოსტატებს: ბალზაკს, ფლობერს, და ანატოლ ფრანსს, რომ მათი მწერლობა ამ ენისთვის ბრძოლაა.

ლევ ტოლსტოი სიკვდილის წინ აღიარებს, რომ რუსული ენა ჯერ კიდევ აღმოუჩენელია და თვითონ ხალხში იმალება მისი საიდუმლო.

მით უმეტეს ქართველი მწერალი იძულებულია სთქვას, რომ ქართული ენა ჯერ კიდევ შეუსწავლელია და მისი საიდუმლო მართლაც „ცხრაკლიტულშია“ დამალული.

აქ საკითხი ისმება, მხოლოდ თუ რამდენათ შეიძლება ამ ენასთან მიახლოვება:

ამ წერილის ავტორს არავითარი პრეტენზია არა აქვს სწორი ქართულის ცოდნისა და ყველაზე უფრო თვითონ იცის თავისი მომაკვდინებელი ცოდვა, მაგრამ თუ ამ საკითხს ეხება, მხოლოდ იმით, რომ თვითონაც ნახოს გამოსწორების საშუალება.

ამხ. მიხ. კახიანი თავის მოხსენებაში ეხება მხოლოდ გაზეთ „კომუნისტს“ და მის პრაქტიკას, ეს ერთგვარი ხერხია, კომუნისტებს ემარჯვებათ თვითკრიტიკა და ამიტომაც სწორეთ ეს გაზეთი მოყვა ხელში, მაგრამ ენის დამახინჯებას მართო აქ არა აქვს ადგილი.

მწერალთა კავშირის ყრილობაზე მომხსენებლებმაც და მწერლებმაც ყურადღება მიაქციეს, თუ რა ენით იწერება ეხლანდელი სახელმძღვანელოები.

ამ სახელმძღვანელოებში მწერალთა ცუდ ქართულს ემატება უფრო ცუდი ქართული წიგნების შემდგენელთა და ამნაირად უფრო ირყვნება ქართული ენა და მახინჯდება ახალი თაობა...

ამის გარდა საჭიროა საკითხი გაფართოვდეს, „კომუნისტისთვის“ რომ მოინახოს, და კიდევ ინახება, უთუოდ კარგი მთარგმნელები, ამით ხომ არ წყდება საკითხი.

ენის სიწმინდის საკითხი სხვა მხარესაც ემყარება და სწორედ ეს უნდა გახდეს ყურადღების ღირსი.

ამას წინააღმდეგ რუსეთში ჰქონდა ადგილი ერთ კამათს, რომელმაც სხვათა შორის დაამტკიცა, თუ რა ძნელია ენის ცოდნისა და საერთოდ ლიტერატურის ცოდნის დაჩემება.

მაქსიმ გორკიმ გაარჩია ერთი ახალგაზრდა პოეტის ნ. ასევეის წიგნი „Разграницанная Красавица“ და როგორც იტყვიან მიწასთან გაასწორა ავტორი. ამ წიგნში ნ. ასევეს აწერილი აქვს იტალიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი—კამათის დროს გამოირკვა, რომ თვითონ მაქსიმ გორკის რეცენზიაში შეეპარა შეცდომები, ასე რომ მეორე მხარე, ამ შემთხვევაში ვ. შკლოვსკი ასე დაასკვნის: „შედეგი ასეთია: ოთხი ნამდვილი შეცდომა აქვს ნ. ასევეს მთელ წიგნში, გორკის თავის რეცენზიაში ექვსი შეცდომა მოუვიდაო“. ზოგი შეცდომა თვითონ აღიარა გორკიმ.

ჩვენ არ გვაინტერესებს ამ შემთხვევაში ამ ამბის ბოლომდე



ვარკვევა, უფრო საინტერესოა და ჩვენც ვეთანხმებით ვ. შკოლოვსკის, რომ ენის ცოდნა ძალიან პირობითია, ზოგიერთებისთვის, მათ შორის მაქსიმ გორკისთვისაც ენის სიწმინდის ნორმად ითვლება 90-იან წლების მხატვრული პროზის ენა.

რამდენადაც ჩვენ დაკვირვებული ვართ ქართულ სინამდვილეს, ჩვენშიაც ენის ნორმად დაახლოვებით ეს ითვლება.

ამიტომ სტილისტებად გამოდიან ხოლმე „ივერიაში“ და „ცნობის ფურცელში“ მომუშავე ხალხი.

მაგრამ ამ დროს შემდეგ მხატვრულ და პოლიტიკურ მწერლობაში ბევრი რამ გამოიცვალა. ეხლა ბევრი ისეთი რამ იწერება, რომ ამ ხალხს ამის შესახებ წარმოდგენა არც კი აქვს;

ამ ხნის განმავლობაში ლიტერატურული შკოლები სასიკვდილოდ ებრძოდნენ ერთმანეთს, ბევრი შკოლა გაჰქრა „როგორც სიზმარი ღამისა“. მაგრამ ამ შეტაკების დროს ბევრი რამ გამოირკვა, მაგალითად, რუსული ფუტურიზმი პოეტების სასაფლაოა, (არის იშვიათი გამონაკლისი), მაგრამ ვინ იტყვის, — თუნდა — ვ. ხლებნიკოვს არ ქონდეს ახალი ფორმის შექმნაში როლი, აკი ეძახის ერთი რუსის მწერალი, რომელიც სრულიად ფუტურისტების სკოლას არ ეკუთვნის, ხლებნიკოვს „ენის აინშტაინს“.

ამიტომ შეუძლებელია ასე მარტივად გაიხსნას და გადაწყდეს ენის სიწმინდის და ცოდნის საკითხი. რუსეთში ამ ბოლო დროს კულტურულ რევოლუციასთან დაკავშირებით აქტიურ საკითხათ იქცა პროლეტარულ მწერლობისათვის სწავლის ლოზუნგი.

საქართველოს პროლეტარულ მწერლების ყრილობაზეც ამხ. მიხ. კახიანმა ამ ლოზუნგით დაათავა მოხსენება: ის ურჩევდა ახალგაზრდობას სწავლას, სწავლას და სწავლას.

ჩვენ ვიცით, რომ ამ სწავლაში ბევრი რამ შედის, ეს ეხება პოლიტცოდნასაც და საერთოდ კულტურის დონის აწევას, მაგრამ პროლეტმწერლისათვის, ისე როგორც ყველა მწერლისათვის, პირველყოვლისა საჭიროა თავისი ხელობის ცოდნა და ოსტატობა, ეს კი პირდაპირ ემყარება ქართული ენისა და მწერლობის შესწავლას, და სწორედ აქ იბადება სიძნელე.

რუსეთში ეს სწავლა ემყარება კლასიკურ ლიტერატურის საფუძველს, ეს საკითხი იქ მართლაც დიდებულათ არის გადაწყვეტილი; ჩვენში ჯერ კიდევ არ არიან გამოცემული კლასიკური მწერლები, თუმცა მათი რიცხვი რუსეთთან შედარებით ძალიან მკირეა, სრულებით არ მოიპოვება ამ მწერლების შესასწავლი სახელმძღვანე-

ლოები, რომლებშიაც ახსნილი იყოს ეპოქა, მით უმეტეს არ არის განვითარებული მარქსისტული ლიტერატურის მცოდნეობა.

რუსეთში ყოფნის დროს სახელოვაძის გამგის ამხ ა. ხალათოვის წყალობით საშუალება მქონდა გავცნობოდი კლასიკოს მწერლების გამოცემის ხუთწლიან საგვეგმო კომისიის მუშაობას: იმ კომისიაში შედიან მაქსიმ გორკი, ლუნაჩარსკი, კრუბსკაია, პროფ. საკულინი, პიკსანოვი და სხვები და ჩემ წინ გაიშალა უზარმაზარი გეგმა, — ეს პირდაპირ წაგნების წარღვნა იქნება.

რუსეთში დღე არ გავა, რომ არ გამოვიდეს წიგნი, რომელიც ეხება ლიტერატურის მცოდნეობას, ლექსისა და რიტმის საკითხებს, არსებობენ მთელი ინსტიტუტები ენის შესასწავლად, აკადემიასაც აქვს ასეთი განხრა, სპეციალურად არსებობს მხატვრული სიტყვის ინსტიტუტი და ჟურნალისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტიც.

ყველა ამ გამოცემებისა და ინსტიტუტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, სპეციალურად გამოდის სახელმძღვანელო წიგნები დამწყებ მწერლებისთვის და მუშკოროებისთვის, მ. გორკიმაც დასწერა ასეთი წიგნი.

ჩვენში არც ერთი წიგნი არ გამოსულა ამის შესახებ, ეს კი არა უბრალო სახელმძღვანელო არ არსებობს სიტყვიერების თეორიის შესასწავლად.

მართალია ქართველი მწერალი კითხულობს რუსულ წიგნებს, მაგრამ ქართული სიტყვის ბუნება საგრძნობლად განსხვავდება რუსულ ენის ბუნებიდან, ასე რომ შეუძლებელია ამ წიგნებმა ქართული წიგნების მაგიერობა გასწიონ.

საერთოდ იმის დახასიათებისთვის, თუ როგორ არის დღეს დაყენებული ქართული წიგნის გავრცელება მუშათა კლუბებში და სამკითხველოებში მეტად საინტერესოა ამხ. ლევან დოდო ბერიძის განცხადება კომპარტიის ცეკას პლენუმზე, საიდანაც ირკვევა, რომ ის წიგნები, რომელსაც სცემს სახელგამი ვერ აღწევენ მუშა მკითხველამდე.

ამ კლუბებში და სამკითხველოებში რუსული წიგნი საგრძნობათ სჭარბობს ქართულ წიგნს.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავის არსებობიდან ათი წლის შესრულების გამო გამოუშვა თავისი მოქმედების ანგარიშის წიგნი. საიდანაც ირკვევა, რომ იქაც ქართული ლიტერატურის შესწავლა საჭირო დონეზე არ არის დაყენებული.

ამიტომ გასაგებია, მწერლების ახალი თაობის დაბნევა და გაჭირვებაც.

გასაგებია ერთგვარი უპასუხისმგებლობა, რომელიც დამკვიდრებულია დღეს მწერლობაში, ვერავენ იტყვის, რომ დღეს მწერლობის შესწავლის საკითხი აქტიურად არ იდგეს, ვის არ გინდათ ნახავთ აქ ოსტატისა და მასწავლებლის როლში, იკითხება აუარებელი მოხსენებები, იმართება დისპუტები და როცა საფუძვლიანად დაუკვირდები, იმას თუ როგორ ელაპარაკებიან აუდიტორიას მომხსენებლები გიკვირთ, თვითონ რა ცოდნის მარაგი აქვთ ამ ოსტატებს და სხვას რა უნდა ასწავლონ.

რასაკვირველია, აქ მე არ ელაპარაკობ ახალგაზრდა კომკავშირის თვითგანვითარებისა და თვით კრიტიკის საღამოებზე, გასაგებია, რომ ეს თაობა ასე ცხოვლად დაწაფებია. ცოდნას და ეძებს ახალ გზებს, ამათ არც დიდი პრეტენზიები აქვთ; პრეტენზიით არიან დატვირთული მხოლოდ ის მეტიჩარები, რომელთაც ძნელია მწერლის სახელი ეწოდოს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართული მწერლობა კრიტიკულად არ არის შესწავლილა, აქ ხშირია ისეთი მოვლენა, რომ მწერალი რომელიც გუშინ „ლუბოკის“ მწერლობით იყო აღტაცებული, რადგან ამ მწერლობაზე გაიზარდა დღეს ურცხვათ იფარებს ნოვატორის ნიღაბს და ანატოლ ფრანსობას იჩემებს და თავი ოსტატათ გამოყავს.

მართალია, დღეს დღეობით ქართულ მწერლობაში ჩვენ არ გყვანან დიდი ოსტატები, მაგრამ რაც მათ შეეფერებათ ის ნაწერებიც არ არის გარჩეული და დაფასებული, რომ თვითონ ამ მწერლებსაც სურვილი აღეძრათ მეტი იმუშაონ და ისწავლონ.

ჩვენ რასაკვირველია არ ვფიქრობთ, მოვსძებნეთ ყველა ის მტკიცებულები ადგილები დღეს ქართულ მწერლობას, რომ ამჩნევია.

ჩვენ თვითონ გვგონია რომ ამის აღნუსხვისთვის ერთი წერილი არ კმარა, მაგრამ გვჯერა ეს საკითხები, ჩვენ რომ აღვძარით საერთოდ აწუხებს დღევანდელ ქართველ მწერლებს და თვითეულ მათგანს შეეძლო თავისი დაკვირვება გამოეთქვა, თუ მწერლები შეიკრიბებოდნენ და თავიანთ აზრს საჯაროთ იტყოდნენ ამის შესახებ.

გვგონია, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის მოვალეობა უნდა იყოს ამ საკითხს უმეთაუროს.

უკანასკნელ მწერალთა ყრილობამ მსგავსათ წინანდელ ყრილობებისა მიიღო დადგენილება მოწვეულ იქნეს ქართული ენის შესწავ-

ლისთვის კონფერენცია, რომ იქ დაისვას და გადაწყდეს ქართული მწერლობის მტკივნეული საკითხები, და მწერლობაზე უფრო კიდევ მკითხველ ხალხს და განსაკუთრებით ახალ თაობას ესაჭიროება ამ საკითხებში გარკვევა.

შეიძლება და მე მგონია უფრო საჭიროც არის სანამ ფართე კონფერენცია მოიწვევოდეს, თითონ მწერლების წრეში გადამუშავდეს ეს საკითხი, მწერლებმა ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი დაკვირვებანი და გამოცდილებანი და გამონახონ მკვდარი წერტილიდან დაძვრის საშუალება. ვიმეორებ, ჩვენ გვგონია მწერალი, რაც არ უნდა დახელოვნებული იყოს ძველ ქართულ მწერლობაში არა თუ „ივერიისა“ და „ცნობის ფურცელის“ პერიოდის მწერლობაში, არამედ უძველეს კლასიკურ მწერლობაშიაც, თუ მას არა აქვს ალღო თანამედროვე ცხოვრების ათვისებისა, ახალი რიტმისა და ყოფის გაგებისთვის, ჩვენთვის მკვდარი იქნება მისი ცოდნა და ასეთი კონსერვატორობა შეიძლება უფრო მავნეც იყოს, ვიდრე ახლანდელი თაობის უცოდინარობა, რადგან ახალი ცხოვრებია ფორმა ბოლოს თვალდახუჭულიც ნახავს ნამდვილ კალაპოტს, აქ მხოლოდ ძიების ტკივილების შემსუბუქებაზეა საუბარი.

უეჭველია, მეორე მხრივ, მხოლოდ თანამედროვე მწერლობაზე და ისიც უცხო მწერლობაზე არ შეიძლება დამყარება, ამ შემთხვევაში ნოვატორობა დამარცხებას უდრის, რადგან ამ უცხო ქვეყნებში ეს ნოვატორობა სწორეთ თავიანთი სამშობლო ენის ბუნებრივ განვითარების მაჩვენებელია და შეუძლებელია მისი გადმოღება და ზერე-ლეთ შეთვისება.

ეს თავისთავად ნიშნავს თავის ენასთან ორგანიულ კავშირის გაწყეტას და შეუძლებელია შემდეგ სანანებლად არ დაურჩეს მწერალს.

თანამედროვე ფრანგი დადაისტები და სურ-რეალისტები, ამ გზას ასე აჩვენებენ:

ფილიპოს უბო ემყარება ლოტრეამონს და რემბოს, ლოტრეამონისა და რემბოს ძირები კი უწევენ ფრანსუა რაბლესა და ფრანსუა ვიონამდე.

რუსეთში კიდევ; ველემირ ხლებნიკოვი ემყარება ტიუტჩევს და ტიუტჩევიდან „Слово о полку Игореве“-ს. ჩვენ არ გვგონია, საქართველოში იყვეს რომელიმე სერიოზული ლიტერატურული შკოლა, რომელიც უარს იტყვის ამ მხრივ თავის შკოლის გენერალურ რევიზიაზე; შეცდომის გაგება მის ნახევრად გასწორებას უდრის და შეცდომის აღიარება არავისთვის არ ყოფილა სამარცხვინო, მით უმე-

ტეს რომ არ არი ქართველი მწერალი, რომელსაც სირცხვილი არ ეგრძნოს თავისი ენის წინაშე.

ილია ჭავჭავაძე მე 60 წლებში შეგნებულათ რუსიციზმსაც კი იცავდა ძველი მწერლობის წინააღმდეგ, თავისი ნიჭის ორგანიულმა განვითარებამ დამწიფების დროს ის მიიყვანა იქამდე, რომ აღიარა გრიგოლ ორბელიანის (რომელიც ამ ძველი თაობის სახელით ებრძოდა მას წინეთ) უდიდესი სიღრმის ოსტატობა, როცა დასწერა: „გრიგოლ ორბელიანმა დაგვანახვა პირველი, მაგრამ საუცხოვო და შეუდარებელი მაგალითი ქართული ურითმო ლექსისა, და ამით დაგვიმტკიცა, რომ ქართულ სიტყვასაც თავისი ასამაღლებელი ხმა ჰქონია—აგრე საჭირო ლექსთა წყობისა და ხმოვანებისა და მუსიკისათვისო“.

ილია ჭავჭავაძე, რომ ბრმათ მიჰყოლოდა გრიგოლ ორბელიანის თაობას, უთუოდ ერთი მშრალი პოლიტიკოსი დარჩებოდა, მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტრადიციის გადატეხას, მაგრამ ის არ ყოფილა დოგმატიკოსი და ბუნებრივად შეუერთდა შემდეგში ქართული ენის პირველ ბუნებას და ამიტომაც დარჩა შეუდარებელი სიტყვის ოსტატი.

ილია ჭავჭავაძემ თავის პიროვნებაში შეიზარდა მისი თანამედროვე აზროვნება და ყოფა და ამიტომ აიცილა თავიდან ეპიგონობა, მართალია ის ძალიან ჯიუტი კაცი იყო, მაგრამ მისი ბედნიერი მწერლის ალლო უფრო ჯიუტი აღმოჩნდა და ხიფათს ააცილა.

ქართულ მწერლობაში აგრეთვე დამკვიდრდა ერთგვარი ეროვნული სენი რომელიც ალბათ ძველი ფეოდალური ცხოვრების, უკულმართობის ნაშთია. გარეშე და შინაურ მტრების იერსებმა საქართველო პროვინციებად დაჰყო და მართლა უმაგალითოა ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა ამდენი სხვანაირობა: ლიხის მთა, საქართველოს ამერ-იმერ ჰყოფს, მაგრამ ამის გარდაც არის უფრო მეტი დაყოფა პროვინციებად და ხშირად მართლაც გასაოცარ სხვანაირობასაც ჰქონდა ადგილი.

ყველას გვახსოვს როგორ ამაყად უსაყვედურა აკაკი წერეთელმა ვაჟა-ფშაველას, „ენას გიწუნებ ფშაველო“, აგრეთვე ყველას გვახსოვს ვაჟას პასუხი.

ვაჟა ფშაველას ვერ გაეგო რატომ სდებდა აკაკი შარს:

„რატომ არ ჰგუობს არ ვიცი.

ამ ჰანგს ბუნება ბარისა-ო...

უფრო ხშირად ასეთ დავას ადგილი ქონდა სხვა მწერლებშიც, ყველაზე უფრო სამახსოვროა ამ შემთხვევაში აწ უკვე განსვენებულთა: სილოვან ხუნდაძისა და გიგო ყიფშიძის პოლემიკა.

როცა ამას წინათ გადავიკითხე ეს წერილები და ვწმუნდი, რომ ეს საკითხი ეხლაც აქტიურია და ძალიან მწვავედაც სდგას და საჭიროა ხელმეორედ გადასინჯვა.

სამწუხაროდ აქამდე კარგ ტონად ითვლებოდა ჩვენ მწერლობაში ტფილისის ყიზილბაშური დიალექტის ხმარება, მაშინ როდესაც ეს ენა, ძველ ქართულ მწერლობაში, სწორედ ყიზილბაშურ ავზნეთ არის მიჩნეული.

ამ საკითხების გარდა უმთავრესი მნიშვნელობა ეძლევა პრაქტიკულ საქმეს.

სულ უკანასკნელ დრომდე თითქმის არსად იშოვებოდა საბასულხან-ორბელიანის ლექსიკონი, ეხლაც გამოუცემელია ბევრი საჭირო ლექსიკონები, ურომლისოდაც მწერალი იარაღ აყრილია, თითქმის არაფერი იცის ქართველმა მწერალმა ქართული ლექსის ბუნების შესახებ. გამოუცემელია ძველი წიგნები, რომელიც შეიცავენ ქართული ლექსის ბუნების სწავლას. თანამედროვე ლექსის შესწავლისთვის ჩვენ არ მოგვეპოვება ელემენტარული სახელმძღვანელო, მაგრამ ეს საკითხები უკვე დეტალებია, რომელზედაც იქნება ლაპარაკი იმ კრებაზე, რომელსაც ფედერაციის საბჭო მოიწვევს.

დასკვნისთვის, ვიმეორებ, მე ვსწერ ამ წერილს ყოველგვარ პოლემიკას მორიდებული, — ვწერ რადგან ზოგიერთი საკითხები ძალიან მომწიფებულია, ვიმეორებ არ მაქვს არავითარი პრეტენზია ამ შემთხვევაში ჩემი თავი გამოვყო და მით უმეტეს საკუთარი უცოდველობა აღვიარო, მე წინდაწინ ვეთანხმები იმ მწერლებს რომელნიც თანქარს აიღებენ და ამ წერილშიაც აღმოაჩინენ შეცდომებს, ზოგიერთი პირები ეხლაც მიდგანან თვალწინ, მაგრამ ვიტყვი, ამ მწერლებს იაკობ ხუცესი და გრიგოლ ხანძთელი რომ მხრებში შეუდგნენ, მაინც დააკლდებათ ის სიმწვავე, რომელიც ეხლა სტანჯავს თანამედროვე მწერალს, ამ ძიების წყურვილს ვერ მოჰკლავს კლასიკური ქართულის უბადლო ცოდნა, ეს არის ეპოქის ბეჭედი და ახალი შემოქმედების ტკივილი.

რაც შეეხება იმ მწერლებს, რომელთაც ექნებათ მემარცხენეობის პრეტენზიები, იმათთვის ვიტყვი, რომ სწორეთ მემარცხენეობისა და გამძაფრებულ ანალიზის შემდეგ არის დაწერილი ეს ამბავი.

„მემარცხენეობის საყმაწვილო“ სენიც ხრწნის ადამიანს, და თუ ამ გახრწნას სუნი არ უდის, ეს იმიტომ რომ გახრწნა მშობიარობამდე დაწყებულია.

თავისთავად კი საკითხი ქართული ენის შესწავლისა და გაწმენდისა ყოველ მწერალს წინ უდგას, თავისთავის გარდა მწერალი

მოვალეა იფიქროს ახალ მკითხველზე, რომელიც ზღაპრულად იზრდება, მოვალეა აგრეთვე იმ ახალგაზრდა მწერლების წინაშე, რომელსაც ქმნის დღევანდელი ეპოქა: მუშკორებისა, გლუხკორებისა, ახალკორებისა და სხვა სახით.

ეს არის ის რეალური საქმე რომელიც უნდა მოაგვაროს მწერალთა ფედერაციის საბჭომ, ამიტომ ამ საკითხით უნდა შეივსოს მომავალ პლენუმის დღის წესრიგი, და სადისკუსიოთ დასვას ქართულ პრესაში...

— : —

## თანამედროვე ლიტერატურა და კლასიკოსები

### ილია ჭავჭავაძე და „ცისკარი“

ახალგაზრდა აკაკი წერეთელს ერთმა მწიგნობარმა დეკანოზმა თურმე მისწერა: — „მამაშვილობას, ამისთანა ლექსებს მდაბიო ენით ნუ სწერო“. ამასვე სთხოვდენ 20 წლის აკაკის თურმე სხვა მისი თანამედროვენიც. მაგრამ აკაკი ამბობს ერთ ადგილას, რომ მიუხედავად ამ თხოვნისა „მე გადავწყვიტე თავი დაუდვა მწერლობას და სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვწერო“ („ჩემი ნაწერები“ აკაკისა წ. I, 68). აკაკის და ილია ჭავჭავაძის პოეტიკა საგრძნობი და ხელსახები გახდა მართლაც „დარბაისლური“ პოეზიის ფონზე. გარკვეული კანონის ძალით, რომელსაც „ლიტერატურულ განრიდებას“ უხმობენ, თერგდალეულმა შექმნეს ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებითი ფორმებისაგან განსხვავებული ფორმები, მასალა, ხერხები და თავისებური დანახვა ნივთების. მაშინ, როდესაც ილია და აკაკი სიტყვის ოსტატობას სწავლობდენ, გაბატონებული ნორმები ქართული ლიტერატურისა წარმოდგენილი იყო ერთადერთ ჟურნალ „ცისკარით“. ამ ჟურნალში დაიწყეს თანამშრომლობა თერგდალეულმა სტუდენტებმაც, მაგრამ იმისთვის, რომ შიგნიდან გაეტეხათ ეს ციხე. ილიას „ჩიტი“, „ტყემ მოისხა ფოთოლი“, აკაკის „საიდუმლო ბარათო“ და სხვა მომდევნო ლექსები არ იყვნენ დაწერილნი იმ კანონების მიხედვით, რომლითაც მანამდის აკეთებდენ ლექსებს საქართველოში. ახალგაზრდა ავტორები ამ გარემოებას კარგად გრძნობდენ. მათ შეგნებულად უარყვეს ტრადიციული ოსტატობა და წამოაყენეს საკუთარი მეთოდები მხატვრული ფაქტების კეთებისა.

„საიდუმლო ბარათი“, რომელიც ჟანრის თვალსაზრისით დაბალი და ვულგარული პოეზიის ნიმუშს წარმოადგენდა, საჩოთირო გასაგონი უნდა ყოფილიყო დარბაისლური სტილის ლიტერატურის შემდეგ. მაგრამ საჭირო იყო ახალი ფორმების შექმნა, ნაცვლად ძველი სალიტერატურო ფორმებისა, რომელთაც დაჰკარგეს თავისი მხატვრული ღირსება. ახალი ფორმების ჩამოყალიბება კი აუცილებლობას შეადგენდა იმ „დიფერენციალურ ანუ სხვაობათა შეგრძნობის“ გამოსაწვევად, რომელიც გულისხმობს ჩვეულებრივიდან, ნორ-



მალურიდან, რომელიმე მომქმედ კანონიდან გადახრას და რაც საფუძვლად უდევს და ერთერთ უმთავრეს საწინდარს წარმოადგენს ლიტერატურული ევოლიუციისას. (ქრისტიანსენი — „ხელოვნების ფილოსოფია“).

ილია და აკაკი გრძნობდნენ, რომ აუცილებელი იყო ქართული ლიტერატურისათვის ახალი პერსპექტივების ჩვენება, საჭირო იყო ახალი პროზის შექმნა და განმტკიცება, საჭირო იყო ქართული პოეზიის გადარჩენა. და ისინი შევლოდნენ და უშველეს ქართულ პოეზიას მით, რომ „მაღალი“ ლიტერატურის პატივში აიყვანეს მანამდის ვულგარულად ჩათვლილი და მიუღებელი პოეზია, რომელიც ცხოვრობდა ხალხში, სოფელში და ქალაქში, — ზეპირსიტყვაობისა, სიმღერების, ეპიგრამების, კერძო (ხშირად გალექსილი) წერილებისა და გაშაირების სახით. ხალხური გამოთქმის, პროზაიზმებისა და პროვინციალიზმების შემოტანით, სალაპარაკო, ცოცხალი ენის ლექსიკისა და სინტაქსის ლეგალიზაციით მათ მოახდინეს ლიტერატურული ენის გაუბრალოება, შექმნეს ახალი ლიტერატურული სტილი. მაგრამ ეს გაუბრალოება გარეშე საერთო კულტურულ-რეფორმატორული გამიზვნისა, წარმოადგენდა უწინარეს ყოვლის გარკვეულ მხატვრულ ხერხს. საჭირო იყო პოეზიის მასალის გაუცხოება, საჭირო იყო ახალი, განსხვავებული მხატვრული ნორმების შექმნა, რომელიც შეაჩერებდა ყურადღებას ტრადიციული ხელოვნების ფონზე. მხატვრული ათვისება ყოველთვის დამყარებულია ამ სხვაობის ნიადაგზე. „ხელოვნების ნაწარმოების ათვისება ხდება ხელოვნების სხვა ნაწარმოებთან ფონზე, ან მათთან ასოციაციის საშუალებით. ხელოვნური ნაწარმოების ფორმა განისაზღვრება სხვა, მანამდე არსებულ ფორმებისადმი დამოკიდებულებით. საზოგადოთ ხელოვნების ყოველი ნაწარმოები იქმნება, როგორც პარალელი და დაპირდაპირება რომელიმე ნიმუშისადმი“ (ვ. შკლოვსკი — პროზის თეორია). ილია ჭავჭავაძისა და მის მიმდევართა ანალოგიურია პუშკინის მაგალითი რუსულ პოეზიაში. პუშკინის თანამედროვეთათვის ჩვეულებრივ პოეტურ ენას წარმოადგენდა დერჟავინის აწეული სტილი. პუშკინის ენა კი იმ დროისთვის მეტად ტრივიალურ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ერთი თანამედროვე ლიტერატორი სწერდა, რომ როდესაც პუშკინის ლექსებს ვკითხულობ, ყბები მტკივაო, იმდენად უჩვეულო იყო თავისი დროისათვის პუშკინის ლექსების ენა. საერთოდ აღშფოთებული იყვენ, რომ პუშკინი უამრავად ხმარობდა „ქოჩურ გამოთქმებს“. მაგრამ პუშკინისათვის მდაბიური ენის შემოტანა პოეზიაში წარმოადგენდა განსაზღვრულ პოეტურ ხერხს ყურადღების მისაპყრობათ. საინტე-

რესოა გავიხსენოთ, რომ დაახლოვებით ანალოგიური შევასება მისცა გრიგოლ ორბელიანმა ილიას შკოლის პროექტებს, როდესაც თავის „პასუხში“ მათ ბრალი დასდო ენის წახდენაში: „თქვე უსწავლელნი, ცრუ რუსთაველნი რად წაგვიპილწეთ ენა მდიდარი? ენა მაღალი, მის სიღრმე ძალი წახდა უწმინდურს თქვენ ხელში ჯიჯგნით!!“

რას უწუნებდა ახალგაზრდა ილია თანამედროვე პროექტებს? უმთავრესი იერიში ილიამ იმთავითვე მიიტანა გაბატონებულ ეპიგონურ განწყობილებებზე. ერთ თავის ნაწყვეტში („ცისკრის“ გარჩევა 1857—1862 წლამდინა“) ილია სწერდა: „რაკი ყურადღებით განვიხილეთ მთელი ლექსები 1857—1862 წ., ჩვენ შევნიშნეთ, უფრო მომეტებულნი მოლექსენი უკაცრავად არიან პოეზიაზედ. არამც თუ პოეზია, ენა დამახინჯებული აქვთ, შეუბრალებლათ წამხდარი... ეხლანდელი მწერლები, რომელნიც ბაძვენ მაგ ევროპიულ გამოთქმასა, მაგრამ თავისი აზრების მიმართულებით, იდეებით, ძველებსა ჰგვანან“... ილიას ამავე ნაწყვეტში აღნიშნული აქვს თავის დროის თემატიური და ფორმალური შაბლონები. ვინაიდან ეს ნაწყვეტი წარმოადგენდა მასალას განზრახული წერილისთვის, ილიას კონსპექტიურადა აქვს დახასიათებული წინა ეპოქებისა და აგრეთვე თანადროული პოეზიის ვითარება: მისი აზრით „იდეას ძველის პოეზიისა და ფორმას გამოთქმისას შეადგენდა: ა) ჩივილი, წუთისოფლის მღურვა; კაცის ამოება, აქაურ ცხოვრების ამოება და ნუგეშით თვალ-შეჩერება ცისა, სადაც მოვლიან საუკუნო განსვენებას და მართლმსაჯულებას; ბ) სიყვარული, — უფრო პლატონიური, მუხთლობა სიყვარულისა და დაუდგრომლობა; თუ აქ არ შევხვდით ერთმანეთს — ცაში და-ძმანი ვიქნებითო; გ) ქალი ან ანგელოზია და უფრო ხშირად დემონი, წამწყმედი კაცისა; დ) ბუნება წმინდა სანთელია იმათ ხელში, რასაც უნდა, იმას გამოსახვენ; ბუნება თუ არის მშვენიერი, — იმათ გრძნობის მიხედვით; ის, როგორც ობიექტი, არ არსებობს იმათთვის; 5) ფორმა გამოთქმისა: ფიგურობა და ალეგორია სპარსულის ლიტერატურის გავლენისა გამო“ (ტ. IV, 383, „ქართ. წიგ.“ გამოც.).

მეორე ნაწყვეტში ახალგაზრდა ილია გარკვევით ამჟღავნებს „ცისკრის“ პროექტების სავსებით ეპიგონურ ბუნებას. „ჩვენ შევნიშნეთ, სწერს ილია, — რომ „ცისკრის“ ახალ მოლექსეებს, ზოგიერთ გარდა, დიდი კავშირი აქვთ ძველებზედ, კავშირი ისტორიულ განვითარებისა კი არა, მხგავსებისა. (კურსივი ჩვენია ლ. ა.) ეხლანდელი მოლექსენი თითქოს იმას იმეორებენ, რაც უწინდელებს უთქვამთ, ისეთ ნაირად ჰგვანან ამათი აზრები იმათ აზრებსა, ამათი მიმართულება — იმათ მიმართულებასა“... (ტ. IV, 384).

ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ „ცისკრის“ ფურცლებზე ილიამ მასტიკა და მკაცრი განაჩენი გამოუტანა თავის დროის ბანალურ ხელოვნებას. ამისთვის ილიას საბუთი მისცა ერთმა თანამედროვე ლიტერატორმა, რომელმაც გადმოსთარგმნა რუსულიდან კაზლოვის პოემა „შეშლილი“. ილიას ამ გაბედულმა რეცენზიამ საოცარი განგაში გამოიწვია ძველი ლიტერატურის ბანაკში. ბარბარე ჯორჯაძე, რევაზ ერისთავი, ვინმე ბარათაშვილი, სარდიონ მესხიშვილი და სავსებით მთელი „ერთფეროვანი პეიზაჟი“ ამხედრდა ახალგაზრდა ილიას წინააღმდეგ. დაიბეჭდა მთელი რიგი საპოლემიკო წერილები-სა, რომელზედაც ილიამ გასცა თავისი დროისთვის შესანიშნავი „პასუხი“ (1861 წ.), სადაც პირველად ჩამოყალიბდა საფუძვლები იმ ისტორიული კონფლიქტისა, რომელიც ჩაისახა არსებულ ლიტერატურულ ტრადიციისა და ახალი მხატვრული შექმენების შორის.

თავის „პასუხში“ ილია მისთვის დამახასიათებელი სარკაზმით დასცინის „ანბანის თეორეტიკით“ აღჭურვილ ეპიგონ-პოეტებს. „რისთვის გამობრძანდებიან ხოლმე ამგვარნი პირნი სცენაზე? — კითხულობს ილია, — რა დაპკარგვიათ და რას ეძებენ? უბედურება ჩვენი ეს არის, რომ შევბეჭდავთ თუ არა ანბანის თეორეტიკის კანონით უაზრო ლექსებს, გვგონია, რომ ხელოვნებას დიდი რამ შევძინეთო; იმიტომ გვგონია, რომ ჩვენს ლექსში „ა“ თავის ალაგას ხმარებულია, „ბ“ თავის ალაგასა. თუ „ცისკარი“ უვარგისია, კიდევ თქვენგან, ყვავებო ფარშავანგის ფრთებითა, ბუღბუღებო ყორნის ჩხავილითა! ეხლა ცარიელი ანბანის თეორეტიკით და ჩხავილით ტყუილად ნუ ცდილობენ იყოს ის ბედნიერი დრო, როცა ეს ლექსი თურმე მოსწონდათ მაგ თეორეტიკებზედ თვალე-გაწყალეებულ პირთა:

არჩილ კახიებრ, ბალასანკინა მოებრ

ყარანფილ ვარდებრ, იაკოსტ ყაყაჩოებრ

რტო კიპაროსებრ, ია შამპა-სოსანებრ და სხვ.

აქნება ახლაც მოეწონოს ვისმე ეს ლექსი და სწორედ მოეწონებათ კიდევ, თუ ანბანის თეორეტიკა კნ. ბ. ჯორჯაძის გარდა, სხვასაც ვისმე ხელოვნების სწავლადა სწამს... ეხლა რომ კაცმა სწეროს, ცოდნის და განათლების გარდა, ნიჭიც უნდა ჰქონდეს“... (ტ. IV, 33) ცოტა ქვემოთ ილია იძლევა „ცისკრის“-ა და მისი თანამშრომელების უფრო თამამ და პირუთვნელ დახასიათებას. „ლიტერატურის წარმომადგენელი ჩვენში მარტო „ცისკარია“ ამ უამად, სწერს ილია, — ნუ თუ მართლა, რაც ცისკარში იწერება, საქართველოს ხალხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუ თუ მართლა „ცისკარში“ ჩვენი განვითარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გა-

მოიქმნული? ნუ თუ მართლა ეგრე დაეცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჰგონობს? მეც მაგას ვჩივი და ვსტირი, რომ არა, ათასჯერ არა; მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბლაჯნის, აღარა ბლაჯნოს; რადგანაც იგინი თავის ბლაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას. მე იმისათვის ვლაპარაკობ ეგრე სასტიკად, პირ-მოუფერებლად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც თავის ოთახიდგან ფეხს ნუ გამოადგამენ გარეთ, ლიტერატურაში; ამას ვთხოვთ ხალხის სახელითა, ხალხისვე სახელის დაცვისთვის“.

„ცისკარში“ თანამშრომლობა ამის შემდეგ შეუძლებელი შეიქნა გასაგები მიზეზის გამო. ილია 1863 წელს აარსებს საკუთარ ჟურნალს „საქართველოს მოამბეს“. პირველ ნომერშივე, ჟურნალის სარედაქციო წერილის სახით, ილიამ გამოაქვეყნა ახალი ლიტერატურული შკოლის მხატვრული და იდეოლოგიური პროგრამა, პრინციპები ახალი, რეალისტური მიმდინარეობისა, რომელიც ილიამ განამტკიცა ქართულ ლიტერატურაში. ამ ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა ილიას „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი“, „გუთნის დედა“, ნაწყვეტები „აჩრდილიდან“, „კაკო ყაჩაღიდან“. პირველი თარგმანები გრიბოედოვის — „ვაი ჭკუისაგან“, ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი“, წერილები ბელინსკის, დობროლიუბოვის და სხვ. „საქართველოს მოამბის“ დამოუკიდებელი არსებობა უკვე საბოლოო გათიშვას ნიშნავდა თანადროული გაბატონებული ლიტერატურის ფორმალური და თემატიური ტრადიციებისაგან. ჟურნალი „ცისკარი“ ახალი ლიტერატურული თაობისათვის სინონიმი იყო ჩამორჩენილობისა და რუტინის. „...სჩანს თითონ ჟურნალსა (ცისკარს) არა ჰქონია იმოდენად ღონე და მიხვედრა, — სწერდა ილია („ცისკარი 1857—1862 წლამდინა“), — რომ მიეგნო, რა უჭირს საზოგადოებას, რომ იმას უშველოს; ან მიუგნია და ვეღარ შესძლებია შველა... ეგ იმისთანა ჟურნალია, რომელიც დაგვიანებულა და უკან დარჩომია ცხოვრებასა: ცხოვრება წინ წასულა და ის კი უკან მოჩანჩალებს, როგორც ფეხმოტეხილი ცხვარი თავის ფარასა. თავის ჩანჩალში ის კოჭლი ჟურნალი, არამც თუ არჩევს და ხსნის, რაც თვალწინ უტრიალებს საზოგადოებასა, არამედ თავმოწონებით ჰკრეფს, რაც თვითონ საზოგადოებას თავისი განვითარების გზაზე გადუყრია, როგორც უვარგისი და გამოუსადეგი. აი, სწორედ ამგვარ ჟურნალებს ეკუთვნის ჩვენი ფერმიხდილი, კლექი, მამულის — ერთა „ცისკარიცა“. (ტ. IV, 380).

საქართველოს მოამბემ გარკვეულად წამოაყენა ლიტერატურის.

თემატიურად გათანადროულებს პრინციპი. რომ მკაფიოდ წარმოვიდგინოთ მთელი პროგრესიული და ეპოქის თვალსაზრისით უაღრესად გამართლებული შინაარსი ახალი მხატვრული მიმართულებისა, საკმარისია მოვიტანოთ ზოგიერთი ადგილები ამ ჟურნალის ხსენებულ სარედაქციო წერილიდან. „ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავისი სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა... აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩაძახილის ამოძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისთვის გზის გახსნა. ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჟურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელ ცხოვრების წრეში მოჯადოებულსავეით გაჩერებული—არა, ყოველ გონიერ ჟურნალის თვალში ხშირად არის მიმართული მომავლისაკენა. „აწმყო მშობელი ნომალისა“, ამბობს ერთი ფილოსოფოსი. აი, აწინდელ ცხოვრებას რა მნიშვნელობა ექნება ჩვენის ჟურნალისათვის... დაე, ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავისი ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალეზი და ბუღბუღლისავეით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“, „გათალარათებულ ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა“, მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემს საყვარელს უთხარიო, ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენგამო „ოხვრის კვამლი“ თვალეზსა სწვავს და ცრემლს ადენსო; დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალეზის სრესასა, ეგება ცრემლი მომივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა, არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა“... (ტ. IV, 78, 79, 80).

ლიტერატურულ მამებთან ბრძოლაში ილიამ, აკაკიმ და მათის სახით ახალმა პოეტიკამ ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. ილია, როგორც ოსტატი, თითონ მეტად აფასებდა სხვის ოსტატობასაც. „საქართველოს მოამბეში“ ამის დასამტკიცებლათ ილიამ დაბეჭდა ნიკო ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის და გრ. ორბელიანის რამდენიმე ლექსი. ჩვენ ვიცით, როგორ მალლა აყენებდა ილია ნიკო ბარათაშვილს ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან. თავისი აზრი ბარათაშვილზე, როგორც დიდ პოეტზე, არც შემდეგ შეუცვლია ილიას. ვრიგოლ ორბელიანს მან უწოდა „თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალღონისა და სიმდიდრისა“ (სიტყვა

წარმოთქმ. გრ. ორბ. დასაფ. 1883 წ.) მაგრამ ახალგაზრდა ილია დაუნდობელი მტერი იყო ეპიგონობის, მიმბაძველობის, შაბლონის. მესამოცე წლებში იგი გრძნობდა, რომ ქართული პოეზია აღარ შეიძლებოდა წასულიყო ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის და ორბელიანების ხაზით. მიმბაძველების და ეპიგონების წყალობით კი ქართული ლიტერატურა ერთ ადგილს სტკეპნიდა, იგი ჩიხში იყო მომწყვდეული. საჭირო იყო ახალი კალაპოტი პოეტური ენერჯის გადასაშვებით. ამისთვის აუცილებლობას შეადგენდა ლიტერატურაში ახალი მასალის შეტანა, იმის, რასაც „ლიტერატურის გარეშე მასალას“ უწოდებენ. ხელოვნებას თავი უნდა დაენებებია „ღრუბლების ცურვისათვის“ და ნაცვლად ამისა გარკვეული საზოგადოებრივი დანიშნულება შეესრულებია. საჭირო იყო ყოველ მხატვრულ ფაქტს თავისი სოციალური ფუნქცია ჰქონებოდა. ახალ მასალას სჭირდებოდა ახალ მხატვრულ ფორმებში ჩამოყალიბება. ილიამ და აკაკის შესძლეს ლიტერატურისათვის მიეცათ ახალ სოციალურ პირობებთან შეფარებული გამიზნულება. ზოგიერთი ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსი ფიქრობს, რომ „გარემოების საყვირის“ (აკაკის ფორმულა) ხაზით წარმოებული მხატვრული მუშაობა წარმოადგენს ყველაზე სუსტსა და „წარმავალს“ როგორც აკაკის, ისე ილიას პოეტურ მემკვიდრეობაში. მაგრამ აკაკის „აპელაციის მცოდნე“, „ადვოკატებს“, ილიას „ხმა სამარადიან“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „პასუხის პასუხი“ და სხვა სატირული და თანადროული ყოფა-ცხოვრების ლექსები ორივე პოეტისა ქართული ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი ფაქტები არიან, ვიდრე ზოგიერთი მათი «მარადიული პრობლემებით» დატვირთული ნაწარმოებნი.

აღსანიშნავია ერთი საინტერესო ლიტერატურული მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ყოველთვის ახალი სალიტერატურო მიმდინარეობის ჩასახვის დროს, ან რომელიმე დიდი ოსტატის მუშაობის დასაწყის პერიოდში. ილიამ, ქართულ ლიტერატურაში მოსვლისთანავე, აღნიშნა და ამით აღკრძალა ლიტერატურაში ხმარებისათვის ბევრი ტრადიციულად ქცეული თემა, როგორც გაბანალებული და გაცვეთილი მასალა ხელოვნებისათვის. „ყოველ ეპოქას აქვს თავისი ინდექსი, თავისი სია სიძველის გამო აკრძალული თემებისა. ასეთი ინდექსი დაადგინა მაგალითად ტოლსტოიმ, რომელმაც აღკვეთა წერა რომანტიულ კავკასიაზე, მთვარის შუქზე და სხ.“ (ვ. შკლოვსკი — „ლიტერატურა „სიუჟეტის“ გარეშე“). ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლევ ტოლსტოის შედგენილი ჰქონდა თავისი სია შაბლონებისა, რომლებიც პოეტურად ითვლებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ „წინანდელი

ოსტატების თხზულებებში სხვებზე უფრო ხშირად იხმარებოდნენ“. ეს ტრადიციული „პოეტური“ მასალა იყო: ქალწულები, მხედრები, ნწყემსები, განდევნილები, ანგელოზები, ყოველგვარი სახის ეშმაკები, მთვარის შუქი, ჭექა-ქუხილი, მთები, ზღვა, უფსკრულები, ყვავილები, გრძელი თმები, ლომები, კრავები, მტრედები, ბუღბუღი. ლიტერატურული მუშაობის პირველ პერიოდშივე ილიამ მიზანში ამოიღო რომანტიული შაბლონები ქართული პოეზიისა: „ბუნება წმინდა სანთელია იმათ ხელში, რასაც უნდა, იმას გამოსახვენ; ბუნება თუ არის მშვენიერი,—იმათ გრძნობის მიხედვით“... ამიტომ იყო, რომ ილია დასცინოდა ბანალურ პოეტებს და ჩამოსთვლიდა პოეტური თემების კლიშეებს. ერთ შენიშვნაში იგი ეხება ვინმე უსახელო პოეტის ლექსს: „სიყრმით უბედური“ (№-ისა, ცისკარი, 1857, III)—როცა მოგვცდები, მუზო, მოდი საფლავზე მგლოვიარეო... ზოგიერთი პოეტი კიდევ (შენიშნავს ილია), როგორც კერესელიძე, საფლავზედ საყვარელს ეპატიყება და გულის გამაპობელი კვნესით იტყვის ხოლმე: „მაშინვე ჰგრძნობენ ეს ჩემი ძვლები, სიხარულითა და მადლობითა“ ანუ: „ყარიბი მნახოს, ზედან დამოხროს, გგონებ ვებრალვი, მნახავს ესე როს“... (ტ. IV, 438). რომანტიულ განწყობილებათა ანალოგიურ ლიკვიდაციას, (როგორც ამას აღნიშნავს ბორის ეიხენბაუმი), რუსულ ლიტერატურაში ეწვოდა თავის დროზე ახალგაზრდა ტოლსტოი. თავის ადრინდელ დღიურებში იგი დასცინოდა რომანტიულ პეიზაჟებს: ამბობენ, რომ ლამაზი ბუნების მშერის დროს მოდიან ფიქრები ღვთის სიდიადეზე და ადამიანის არარაობის შესახებ; შეყვარებულები წყალში ხედავენ თავისი სატრფოს სახეს, ზოგის სიტყვით მთები თითქოს ამბობდნენ ამას და ამას, ხოლო მერცხლები ამას და ხეები გვიწვევდნენ სადღაც იქით. როგორ შეიძლება ადამიანს მოუვიდეს ასეთი ფიქრი? ძალიან უნდა ეცადო, რომ ასეთი სისულელე აიკვიატო“. ტოლსტოი არანაკლები ცერემონიით ებრძოდა რომანტიულ კლიშეებს. მარლინსკისა და ლერმონტოვის გმირებს იგი აცლიდა პოეტურ სამოსელს, ტრადიციულ „პოეტურ“ კავკასიას რუსულ პოეზიაში იგი უპირისპირებდა ნორმალურ, რეალისტურ მიდგომას ბუნებისა და ადამიანისადმი.

ილია, როგორც დეკანოზიზატორი თავისი დროის მხატვრული ლიტერატურული ნორმებისა, და როგორც ნოვატორი, ქმნიდა პროზისა და პოეზიის ახალ ფორმებს. აქტუალური სოციალური თემატიკა მისი ლექსების, მკვეთრ დისონანსათ იჭრებოდა თანადროულ პოეზიაში. ისეთი მხატვრული ფაქტების ფონზე, როგორიც იყო ნ. ბარათაშვილის „ფიქრი მტკვრის პირად“, მერანი, შემოღამება მთა-

წმინდაზე და გრ. ორბელიანის მაღალი შტილის“ პოეზია მთლიანად, — უცნაური და მეტად საჩოთირო უნდა ყოფილიყო თანამედროთათვის ილიას „გუთნის დედა“, „ხმა სამარიდამ“, „მგზავრის წერილები“ და სხვ. მაგრამ ილიას სურვილი იყო წინა თაობის ლიტერატურასთან ჰქონოდა მხოლოდ „კავშირი ისტორიულ განვითარებისა და არა მსგავსებისა“.

ქართული ლიტერატურის შინაგანი, იმანენტური განვითარება და ისტორიული აუცილებლობა მოითხოვდა ეროვნული და სოციალური მოტივების შეტანას პოეზიაში და პროზაში. ილიამ მოახერხა ისტორიის კარნახის გაგონება. მან შესძლო ყოფილიყო აქტუალური, უბრალო და გასაგები ახალი მკითხველისათვის. ბერანჟეს თქმით „ერის ცხოვრებაში დგება მომენტები, როდესაც საუკეთესო მუსიკას წარმოადგენს ბარაბანი, რომელიც განგაშს სცემს“. ბერანჟეს ბარაბანი ქართულ პოეზიაში ხშირად უღრიდა ილიას და აკაკის „გარემოების საყვირს“.

1928 წ.

— : —



## მისილ ჯავახიშვილი

მის. ჯავახიშვილი თანამედროვე ქართული ლიტერატურის ცენტრშია მოქცეული. მის მხატვრულ ფაქტებს კითხულობენ არა მარტო ეჭხალტიური ქალიშვილები, არამედ საბჭოთა მოსამსახურეებიც, მუშებიც. ხშირად მისი რომანების გმირების გასამართლებასაც აწყობენ, აგრეთვე მართავენ დისპუტებს და სწერენ კრიტიკულ წერილებს მისი შემოქმედების შესახებ. ერთი სიტყვით, დღეს მის. ჯავახიშვილი პოპულიარული მწერალია. საინტერესოა გამოვარკვიოთ თუ რამ გამოიწვია მის. ჯავახიშვილის ასეთი პოპულიარობა.

ამ მოვლენის უმთავრესი მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ მის. ჯავახიშვილი თავის მხატვრულ ფაქტებში ყოფაცხოვრების აქტუალურ პრობლემებს ეხება, — მას განსაკუთრებით ეხერხება წამოაყენოს საჭირბოროტო, ყოველდღიური საკითხები. სულ სხვა საკითხი არის თუ როგორ სწყვეტს ამ პრობლემებს ავტორი. გარდა ამისა, მის. ჯავახიშვილს აქვს კარგი სტილი, რომელიც ქართველ კლასიკოსებიდან მომდინარეობს, აქვს უნარი მოგვცეს ტიპი და სხვ. ყოველივე ეს ხელს უწყობს მის პოპულიარიზაციას ფართე მასებში...

ოცდა ხუთი წლის წინად გამოვიდა მის. ჯავახიშვილი სამწერლო ასპარეზზე. „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა პირველი მისი მოთხრობა „ჩანჩურა“. მას მოჰყვა შემდეგ „უბატრონო“, „თავდავიწყება“, „მეჩექვე გაბო“, „კურკას ქორწილი“ და სხვ. მათში მის. ჯავახიშვილი უმთავრესად ცხოვრებისაგან დატანჯულ და დაჩრულ პირებს გვიხატავს. ამ პირებს შორის თქვენ შევხვდებით „ჩანჩურას“, სოფლელ „უბატრონოს“, „კურკას“ და მის ქორწილს. ამ პერიოდში თემატიურად მის. ჯავახიშვილი რამდენიმედ მ. გორკის გავლენასაც განიცდის.

ამის შემდეგ 15 წელი სდუმს მის. ჯავახიშვილი. მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის კვლავ უბრუნდება სამწერლო მუშაობას. სწორედ ამ მეორე პერიოდში, უკანასკნელ წლებში მოგვცა მან ყველაფერი ის, რაც საყურადღებო და მთავარია მის შემოქმედებაში.

პირველი ნაწარმოები, რომელიც მის. ჯავახიშვილმა გამოაქვე-

ყნა ამ პერიოდში იყო „კვაჭი კვაკანტირაძე“. ეს რომანი ავანტიურისტულ სიუჟეტზეა აგებული. მასში ბევრი „ბულვარშიჩინაა“. კვაჭის სახით ავტორმა წარმოგვიდგინა გაიძვერა და გაქნილ ადამიანის სახე. კვაჭი ყველას ატყუებს, მძარცველობასაც ეწევა, ფულის გულისათვის ადამიანებსაც იტაცებს და სხვ. ამ რომანმა თავისი შინაარსის გამო დიდი ინტერესი გამოიწვია მკითხველ საზოგადოებაში, მაგრამ როგორც მხატვრული ღირებულების ნაწარმოები ის სუსტია.

რომანი, რომელმაც საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და დიდი სახელი მოუხვეჭა მიხ. ჯავახიშვილს ეს იყო „ჯაყოს ხიზნები“. ეს ნაწარმოები დღესაც მის მხატვრულ ფაქტებში ყველაზე უფრო დასრულებული და მთავარია.

რა არის მოცემული „ჯაყოს ხიზნებში“? ცხოვრების რომელ მხარეს ეხება ეს რომანი?

მასში მოთხრობილია თეიმურაზ ხევისთავის ცხოვრება, რომელიც ერთ დროს ყველაფერი იყო: მემამულე, საზოგადო მოღვაწეც და სხვა. მაგრამ რევოლუციის მეოხებით უკვე დაეცა, დაჰკარგა ყოველივე. რა კი მას ცხოვრების ჩვეულებრივი პირობები აღარ ჰქონდა, ის უკვე მცონარე და პასიური შეიქნა. მას არ შეუძლია შეეგუოს არსებულ პროლეტარულ წესწყობილებას. ის შუა გზაზე რჩება გამოკიდებული. ბოლოს იძულებულია თავის ყოფილ მოურავთან — ჯაყოსთან შეათაროს თავი. ეს უკანასკნელი გაიძვერა, გაუმაძღარი და მომქმედი ადამიანია. მან თეიმურაზის საგვარეულო ადგილი მამული, სახლი და საოჯახო ქონება სრულიად ხელში ჩაიგდო და მიისაკუთრა. ჯაყო ამითაც არ კმაყოფილდება. უკანასკნელად თეიმურაზს ცოლს — მარგოსაც ართმევს. თეიმურაზი ყველგან და საბოლოოდ დამარცხებულია. ის თავის დახრჩობას განიზრახავს, მაგრამ გადაარჩენენ. შემდეგ ნოქრობას იწყებს.

„ჯაყოს ხიზნებში“ მიხ. ჯავახიშვილი იძლევა ტრაგედიას, რომელიც იბადება პიროვნების ისტორიის შეუბრალებელ ტალღებთან შეჯახებაში.

თეიმურაზი წარმავალი წოდების უკანასკნელი წარმომადგენელია. ის ერთ დროს „რევოლუციონური“ იდეებით იყო გატაცებული, ოცნებობდა მომავალზე, მაგრამ რევოლუციონურმა მოძრაობამ დაამხო და გაანადგურა. პროლეტარული რევოლუციის განვითარება და გაღრმავება მიუღებელი აღმოჩნდა თეიმურაზისათვის.

თეიმურაზის სახით მიხ. ჯავახიშვილმა მოგვცა უარაქათო და უნიათო ქართველი ინტელიგენტის სახე. თეიმურაზი სურათია ძველი ინტელიგენტის მორალური, ინტელექტუალური და ქონებრივი დაცემის.

თეიმურაზი სახეა ინტელიგენტის, რომელმაც რევოლუციის წყალობით დაპყარგა ცხოვრების მიზანი, დაივიწყა „უმაღლეს ღირებულებისადმი“ პატივისცემა, რომელსაც თითქოს წინად ემსახურებოდა. თეიმურაზში ბევრი რამ ტიპურია ქართველი ინტელიგენტისათვის.

თეიმურაზი განათლებული ადამიანია. თავისუფლად მსჯელობს უცხო სახელმწიფოების პოლიტიკაზე, ფინანსებზე და ეკონომიკაზე. ერთ დროს თეიმურაზ ხევისთავი „რწმენით უყვიდურესი რადიკალი და ხალხოსანი იყო... კალამი მსუბუქი და ხალისიანი ქონდა, ხოლო საგნის ცოდნა ღრმა და ფესვიანი... თეიმურაზს მთელი თბილისი იცნობდა: ზრდილი, პატიოსანი, დინჯი, ქვეიანი და ენამჭრელი საზოგადო მოღვაწე“... ასე ახასიათებს ავტორი თეიმურაზს, თუმცა იქვე იძლევა მისი ქარაფშუტაობისა და დაბნეულობის ფაქტებს.

თეიმურაზი ყველაფერს ეტანება, მაგრამ ვერაფერს აკეთებს. სიტყვით ქვეყნის აშენებას გვპირდება, მაგრამ მის მიერ გაკეთებული იოტის ოდენა საქმეც არსად მოსჩანს.

რევოლუციის შემდეგ თეიმურაზი სულ იცვლება. ის უკვე აღარ არის „ნორმალური“ ადამიანი. როგორც ამბობს ავტორი: „იმ დღიდან თეიმურაზს მისი სიცოცხლე კისერზე ჩამოეკიდა, როგორც ლეკვის ამყრალებული ლეში“. ამიერიდან თეიმურაზის სახით გვევლინება გამოთაყვანებული, დაჩივებული, დავარდნილი და ბეცი ადამიანი. ყოველივე ამის გამო ის რომანის შემდგომ განვითარებაში სულ ტრადიციულ-კომიკურ მდგომარეობაში მოსჩანს: ესტუმრება ჯაყოს, რომელიც მას ცოლს ართმევს, თვითონ ესწრება თავისი ცოლის ჯაყოსთან შეუღლებას. დაუდგება ნოქრადაც თავის ყოფილ მოურავს და ა. შ.

თეიმურაზის ამ მდგომარეობაში ჩაყენებას მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო იმ სოციალურმა კატასტროფამ, რომელიც პროლეტარული რევოლუციის სახელით არის ცნობილი. თეიმურაზი ახალმა ცხოვრებამ კუთხეში მიაგდო.

„თეიმურაზმა თავის დროზე სამსახურიც სცადა, მაგრამ მალე იგრძნო და გაიგო, რომ ის სხვის სკამზე იყო ჩამომჯდარი. ახალმა ქვეყანამ და თეიმურაზმა ერთმანეთისა ვერაფერი გაიგეს, ერთმანეთს გული და სული ვერ შეუგუეს და ვერ მიახვედრეს. ორივენი თითქოს სხვადასხვა ენას ლაპარაკობდნენ, თითქოს სხვადასხვა ქვეყნის და ეამის სულითა და ხასიათით იყვნენ გაყდენთილნი, ამიტომ ერთის „ღვთის წყალობა“ მეორეს „ღვთის რისხვად“ ელანდებოდა და ერთის მადლი მეორეს მატლად მიაჩნდა“... თეიმურაზს ახალი წესრიგის შეგუება არ ძალუქდა და არ შეეძლო.

აქ თეიმურაზი იყო ახალ ცხოვრებისაგან მოტეხილი, წაქცეული, წყალწაღებული და უკვე მიმალული... მას აქვს წასრული, მიმავალთა შორის პატივისცემა, საჭურისის ცოდნა და... ზანზიბარი“

ივანე თეიმურაზს სხვათა შორის შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

— თქვენი მოდგმა დიდიხანია მოკვდა, თეიმურ, გვიან გასაფლავებენ.

— იმიტომაც ავყროლდით, ივანე, რომ გვიან გვმარხავენ, — იყო თეიმურაზის პასუხი.

მარგოც ხშირათ შემდეგი სიტყვებით მიმართავდა ხოლმე თეიმურაზს:

— ... შენ კი ყველაფერი იცი. მაგრამ სანაგვეზე გადასაგდები ჩვარი ხარ. რა კაცი ხარ. ქათამიც ვერ დაგიკლავს.“

ჩვენს კრიტიკაში დიდი კამათი იყო იმის შესახებ არის თუ არა თეიმურაზი ქართველი ინტელიგენტის ტიპი? ჩვენი ცხოვრების სინამდვილე?

ერთნი ამბობდნენ: მიხ. ჯავახიშვილმა თეიმურაზ ხევისთავის სახით ლაქლაქა და ნაცარქექია ინტელიგენტის მშვენიერი ტიპი მოგვკა. ამ რომანში თეიმურაზის სახით ქართველი უარაქათო ინტელიგენციაა გაშიშვლებული, რომელიც ასე დედაშობილად წამდგარა თავის და ქვეყნის სამჯავროს წინაშე.

მეორენი უპასუხებდნენ: თეიმურაზისთანა მოაზროვნე კაცი არ გაჩენილა ჩვენს სინამდვილეში და არც შეიძლება განჩნდეს. ის არის მხოლოდ ჯავახიშვილის ფანტაზიაში და იქვე სამუდამოდ დარჩება; თეიმურაზი როგორც ტიპი ყალბი და მრუდია. თეიმურაზი ყოვლად შეუძლებელია ვინმემ ჩასთვალოს ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლად.

ჩვენი აზრით სიმართლე პირველთა ხმარებაზეა. თეიმურაზი მართლაც ტიპურია ჩვენი ინტელიგენციის ზოგიერთი ფენებისათვის. ჩვენში ბევრი მოიპოვება ლაქლაქა, ყბედი და მარტო სიტყვებით ყველაფრის გამკეთებელი ინტელიგენტები. ისინი თეორიებით ყველაფერს სცდილობენ, საქმის დროს კი გლახაკები და უსუსურები არიან. ასეთი ინტელიგენტის ტიპს წარმოადგენს სწორედ თეიმურაზი. თეორიები, სიტყვები მასაც კარგი, რევოლუციონური ჰქონდა მაგრამ საქმის დროს უსუსური, უნიადაგო, ნებისყოფას მოკლებული და ვნერგია მოდუნებული აღმოჩნდა, სინამდვილეში ის გამოდგა დატვირთული „ფულურო სიტყვებით და ჭიანჭამი ცოდნით“.

ჯაკო ჯავაშვილი ყველაზე უფრო დასრულებული და აქტიური ტიპია რომანში. ის მონოლიტურ პიროვნებას წარმოადგენს. მისი „გარეგანი“ დახასიათება თვით ავტორს შემდეგნაირად აქვს მოცემული:

„ჯაყო ჯავაშვილი ქალაქში შემოვარდნილ დათვს ჰგავდა. დედაბოძავით სქელი და გაჩარხული ფეხები ძლი ს იმაკრებდენ უშნოდ და ისე განივრად დადგმულ თეძოებსა და მხარბეკს, რომ ვიწრო ტროტუარი მართო ჯაყოს ძლივს იტევდა. „რამოდენიმე ნატრილობევით დასერილი თავი და პირისახე ისეთი შავის ხშირისა და აბურძგნილის ჯაგრით ჰქოოდა შემოსილი, თითქოს ჯაყოს ბეჭებზე კუბრში ამოვლებული უზარმაზარი ზღარბი აცოცებულაო. „შავი ჯაგრის ბუჩქხარი თვალგამდის სწვდებოდა და იმ ჯაგნარიდან მხოლოდ და წინ-წამოყრილ ცხენის კბილებსა და ატყლეტილ ცხვირს ამოეყო თავი. „ერთი მტკავლის სიგრძე უღვაშები გადნობრუნებულ ჯამებივით გამოყრილ ლოყებზე ახალ ცოცხივით ეყარენ, ხოლო იმ ჯამებს დინჯად და მედიდურად ლამბაქების ყურები დაცქეროდენ. შუბლი დაბალი და ჩაზნექილი ჰქონდა, ცხვირი-მოკლე და ატყეტილი, თვალები-მსხვილი კაკლის ოდენა და მოუსვენარი, თვალებს ზედ დასწოლოდა დაბურვილი, ხშირი და გრძელი წარბის ღარი, რომელიც მაღალსა და წინ-წამოვარდნილ კვინიხზე გადატეხილიყო“.

ასეთია ჯაყოს „გარეგანი“ პორტრეტი, როგორათაც ის მოგვცა მწერალმა რომანის დასაწყისშივე. ეს საუცხოვო პორტრეტი ჯაყო ჯავაშვილისა, სათანადოთ უკვე წინასწარ გვამგზადებს ამ პიროვნების მოქმედების გასათვალისწინებლად.

ჯაყოს „შინაგანი“ თვისებებისა და ხასიათის შესახებ კი ვტყობილობთ უკვე რომანის შემდგომ განვითარებაში.

ჯაყო მეტად მოხერხებული, გონიერი და გაქნილი ადამიანია. მას საკმაოდ კარგად აქვს გათვალისწინებული თუ სად როგორ უნდა იმოქმედოს. თეიმურაზის მოურავათ განდობა მისთვის არის საშუალება „გაიმასქნების“, თეიმურაზის სიმდიდრის ხელში ჩაგდების. ის ამ თანამდებობით კარგად სარგებლობს: ატყუებს თეიმურაზს მიწების, ღალის და სხვა შემოსავლის საქმეში, მოხერხებულად ითვისებს მის საგვარეულო განძს და ა. შ.

მოხდა თებერვლის რევოლიუცია და საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების დამყარება. ჯაყოს მიწებს და სიმდიდრეს საფრთხე მოელის. ის აქაც ახერხებს საქმის თავის სასარგებლოდ წაყვანას: იჩენს ძმებს და ბიძებს, ჰპატიუებს მთელ სოფელს. მენშევიკურ ხელისუფლებასაც ზურგს უმაგრებს:

— გაგიმარჯოს ეორდანიას მთავრობასა. — გაჰკიოდა წარამარა ჯაყო. — საწყალი ხალხი მიწა მოგეცი.

ასეთი კომბინაციების და გაიდვერობის საშუალებით სოფელში ხელისუფლება და პირველობა ჯაყოს ჩაუვარდა ხელში.

გავიდა რამოდენიმე წელიწადი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ჯაყო არც აქ იბნევა:

— ღმერთმა გაკუროთხოს ბალშევიკების მთავრობა. რომელმაც

საწყალ ჯაყოს სახლიც მოგცა, ბაღიც, ვენახიც და კარგი კანონი-  
ცა. ძირს ჟორდანია. აღარ გინდა ჯაყოსა ბურჯუაზის მთავრობა,  
აღარა.“

ჯაყოს ასეთი მეტომორფოზა სრულიად გასაგებია. სარგებლია-  
ნობის გულისათვის ის ქართული ანდაზის დევიზს მიჰყვება: „რა სო-  
ფელში შეხვიდე, იმ სოფლის ქუდი დაიხურე“. ეგოისტური მიზნები  
ამოძრავებს ყოველგან და ყოველთვის ჯაყოს.

ჯაყო მეურნეობაშიაც ენერგიულ ადამიანათ მოსჩანს, ვაჭრო-  
ბაშიაც სათანადო ნიჭს იჩენს.

ჯაყოს მაღა აეშლება. მას სურს თეიმურაზს ბელიდან გამოს-  
ტაცოს უკანასკნელი „საკუთრება“ ცოლი—მარგო. მან ესეც შესძლო.  
მარგო მისი ცოლი ხდება.

ჯაყო სოფლის ბობოლაა. მასა და საშვალო და ღარიბ გლე-  
ხობას შორის გარკვეული სოციალ-ეკონომიური სხვადასხვაობა არ-  
სებობს. ეს მდგომარეობა მას არ უნდა სხვებსაც შეამჩნევიდეს, რად-  
გან მისთვის ხელსაყრელი არაა; ის ხშირად რევოლიუციის სახელი-  
თაც ლაპარაკობს. ამ მხრივ მეტად საინტერესო და დამახასიათებ-  
ელია თეიმურაზის და ჯაყოს საუბარი:

— „ნაფუძვრები ჯაყოს რევალციამ მოგცა.

— ეს ნაფუძვრები ეკუთვნოდა ჩემს მეზობლებს, გლეხებს. რომელნიც  
ათას წელიწადს ამუშავებდნენ ამ მიწებს. რაც იქ ოფლი ჩაუღვრიათ იმ უჩი-  
ნარ და უხმო მუშაკებს. ერთი ტბა დადგება.

— ჯაყომაც იმუშავე იმ ნაფუძვრებში.

— ერთხელაც არ გაგივლია გუთანი იმ მიწებში. თუმცა ამასაც თავი  
დავანებოთ. ესეც არაფერი. შენ დაისაკუთრე ჩემი ბაღი. ვენახი და სახლ-  
კარი.

— ეგეც რევალციამ მოგცა ჯაყოსა.

— ჯაყო, დაანებე თავი რევოლიუციას. თქვენ ერთმანეთს არც კი  
იცნობთ. რევოლიუცია შენთვის მღვრიე წყალია, ხელსაყრელი ნილაბია, მე-  
წველი ფურია. შენ კი, რევოლიუციის მუნი ხარ, მისი ბაღლინჯო და ტილი“.

თეიმურაზის ეს სიტყვები ჯაყოს საუცხოვოთ ახასიათებს. იყო  
შემთხვევები, როდესაც პროლეტარული რევოლიუციის აზვრთებულ  
ტალღებში ბევრი საეჭვო და არამზადა ცდილობდა თევზის დაჭერას.  
ასეთ ხალხთა რიცხვს ეკუთვნის ჯაყოც. ის ცდილობს რევოლიუცია  
თავის შავი ზრახვებისთვის გამოიყენოს.

ჯაყოს კლასიური ბუნება ნათლად მჟღავნდება სოციალისტურ  
აღმშენებლობის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორის კოოპერაციისადმი და-  
მოკიდებულებაში. ის გარკვეულად ებრძვის პროლეტარულ კოოპე-  
რაციას.

— „... კაპრატივი არ გინდა ჯაყოსა. „კჩორტუ“ კაპრატივი, არ გინდა კაპრატივი ნაშინდარსა. ვიცის ჯაყოსა. რათ გინდა აქ კაპრატივი. ვიცის. ხალხი ტყავი უნდა გააძრო, განა. ვიცის ჯაყოსა, ვიცის“.

საბოლოოდ მაინც ჯაყო მარცხდება სოფელთან, კოლექტივთან ბრძოლაში: ჯაყოს ჩამოართვის თეიმურაზის ბალ-ვენახი და ნასახლ-კარი. დარბაზის ზემოსართული სკოლად გადააკეთეს, ხოლო ქვემო-სართულში კოოპერატივი გახსნეს.

ასეთია ჯაყოს ტიპი. როგორც ის დაგვიჩატა მიხ. ჯავახიშვილმა. მარგო რომანში მოცემულია, როგორც გაშიშვლებული ფიზიო-ლოგია. ჯაყო მას პირველად ძალით აუპატიურებს. ერთი მოჩვენე-ბითი შებრძოლებით ასრულებს ის მთელ თავის წინააღმდეგობას ჯაყოს მიმართ. შემდეგ უკვე საბოლოოდ დანებდა მას.

„მარგოც დედაკაცი იყო... იმასაც უნდოდა მოვლა და პატრო-ნობა, მზრუნველობა და სიყვარული. რაც მარგოს თეიმურაზმა დაა-კლო, ეხლა ჯაყომ შეუვსო.—აი უბრალო და მარტივი ამბავი“.— ამ სიტყვებით სურს ავტორს გაამართლოს მარგოს მთელი მოქმედება, მისი ჯაყოსადმი დამორჩილება, ქმრის ღალატი, ჯაყოსთან შეუღლე-ბა და სხვ.

უნდა ითქვას, რომ საერთოდ მარგოს სახე რომანში მეტად მკრთალად არის განათებული. ამიტომ ბევრი რამ მის მოქმედებაში ბურუსითაა მოცული, სადაო და დაუჯერებელია.

რომანში გარდა თეიმურაზისა, ჯაყოსი და მარგოსი სხვა მოქ-მედი პირებიცაა გამოყვანილი. მათ შორის არის თანდილა, ილა, თომა, თედო და ნინიკა. ისინი საშუალო და უღარიბესი გლეხები არიან. ისინი უპირისპირდებიან ბოზოლა ჯაყოს. მათ მიხ. ჯავახი-შვილი მეტად მკრთალად, რამდენიმე სიტყვით იძლევა. ასე, რომ ძნელია მათ შესახებ ვრცელი საუბარი, მაშინ, როდესაც ეს მეტად საჭირო იყო.

„თეთრ საყელოში“ მიხ. ჯავახიშვილმა დაგვიჩაჩა ის ბრძოლა, რომელიც სწარმოებს თეთრ საყელოსა და პირველყოფილ ჯაჭვის პერანგის შორის, ქალაქურ ცივილიზაციასა და სოფლურ მყუდროე-ბას შორის. ქალაქის, ცივილიზაციის სიმბოლოდ რომანში მოცემუ-ლია „თეთრი საყელო“, ხოლო პრიმიტივის, სოფლის სიმბოლოდ კი „ჯაჭვის პერანგი“.

სპილენძის ახალი ბუდობების საძებნელად ინჟენერი ელიზბარი (ვაჟიკა) მიემგზავრება ცივილიზაციური ქვეყნიდან პრიმატიულ ხევ-სურეთში. აქ „დღესაც აბჯარ-დაშნა-ჩაფხუტით შეჭედული ხევსუ-

რები, ჯერჯერობით ჯაჭვის ხანაში... დაბორიალობენ“, „აქ ყველანი და ყოველი ზღაპრისა და ლეგენდის ხავსით შეხავსულან“. ხევსურეთის ერთ-ერთ სოფელში ინჟენერი ხვდება თავის ბავშვობის მეგობარს—ჯურხას, რომელთანაც ის ძმათ გაფიცული იყო. მას იტაცებს ხევსურეთის ცხოვრების პირველ-ყოფილობა, უშუალო კავშირი ბუნებასთან, პატრიარქალური წესები და სხვ. ის რჩება მათთან, ხდება მათი თემის წევრი. აქვე ირთავს ცოლს—ხათუთას. ასეთ პირველ-ყოფილ მდგომარეობაში ვაჟიკას ერთი ციდა წვერი ეზრდება, წუმ-წუმის მაგიერ აბედს და ტალკვეს ხმარობს, საპნის მაგიერობას მას სიპი ქვა უწევს, მისი საცვლები დასჭრეს და ნაჭრები ზოგი თახჩებს ჩამოაფარეს, ზოგი კი დალაქ—დოსტაქარმა წაიღო კრილობების შესახვევად, ის იწყებს აბჯარ-საჭურველის წმენდას, ფარიკაობას და ა. შ. ასეთ პრიმატიულ ცხოვრებას ატარებდა ვაჟიკა (ინჟენერი) რამდენიმე ხანს. მაგრამ დაბოლოს მასში მაინც იფეთქა ქალაქის ნახვის სურვილმა. საბოლოოდ ის მაინც ვერ შეურიგდა ხევსურეთის ცხოვრების სისასტიკეს და კვლავ ქალაქს დაუბრუნდა.

როგორც შინაარსის მოყოლიდან დავინახეთ ეს თემა არ არის ახალი: ცივილიზაციის და პრიმიტივის ბრძოლას ეხებოდენ რომანტიკოსები, ექსპრესიონისტები და სხვ. მათგან მიხ. ჯავახიშვილის მიერ ამ თემის განვითარება განსხვავდება მხოლოდ დაბოლოებით: გმირი კვლავ ქალაქს და „თეთრ საყელოს“ უბრუნდება.

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ინჟენერის ხევსურეთში გამგზავრების მიზეზი სპილენძის ახალი ბუდობების ძიება იყო. მაგრამ ნაწარმოების განვითარებაში სულ სხვა აღმოჩნდება; სინამდვილეში მისი გამგზავრების მიზეზი ყოფილა ის, რომ მას ცოლმა (ალბათ პირველმა) მოაბეზრა თავი „პოლიტკოდნით“, მოაბეზრა მას თავი ქალაქმაც მთელი თავისი შინაარსით და სხვ. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი მოსაზრება მეტად საეჭვო და ანტირევოლუციონურია. საბჭოთა ქალაქი დღეს სრულებითაც არ არის „ვაშპირი“.

მიხ. ჯავახიშვილი ცდება ხევსურეთის გადაჭარბებულ იდეალიზაციაშიც. იმ სახის ხევსურეთი, როგორსაც ის იძლევა, „თეთრ საყელოში“ დღეს უკვე აღარ არსებობს. „თეთრ საყელოში“ ბევრი რამ არის დამახინჯებულად და შეცდომით გადმოცემული ხევსურეთის შესახებ. სწორედ ამას შენიშნავდა ერთ-ერთი ხევსურიც (ა. ოჩიაური) ჟურნ. „მნათობი“-ს ფურცლებზე: „ავტორი (ე. ი. მიხ. ჯავახიშვილი. შ. რ.) მართლაც როგსთქვათ, ხევსურეთს ბევრნაირად ამახინჯებს, ენა ხომ სრულებით არ არის წიგნში ხევსურულის მსგავსი. მე არ ვიცი, ეს რა ენაზე არის ნაწარმოები“ და შემდეგ მოჰყავს



ფაქტები ე. წ. წაწლობის, ურვათის და სხვ. გადამახინჯების შესახებ, რასაკვირველია, მწერალს აქვს თავისუფლება თემის ამორჩევაში და მის განვითარებაში, აქვს უფლება ზოგჯერ ფანტაზიასაც მიმართოს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მას ამავე დროს ჰქონდეს უფლება, როდესაც ყოფითი თემის იღებს, რომელიმე კუთხის ცხოვრების დახასიათებას ეხება, გადამახინჯებულ-შებრუნებული — სახით წარმოგვიდგინოს ის. „თეთრ საყელოში“ კი ასეთ მოვლენას ფართედ აქვს აღგილი.

რომანში მთავარი გმირი — ინჟინერი ვაჟიკა, იგივე ელიზბარი, მეტად მკრთალად და ბურუსიანად არის მოცემული. ამ ნაწარმოებში ვერ ნახავთ გმირის ფართე და ღრმა დახასიათებას, რომელიც ჩვეულებრივად ნიშნეულია მიხ. ჯავახიშვილის სხვა მხატვრული ფაქტებისათვის. ვაჟიკას მაგიერ თვით ავტორი ლაპარაკობს მეტის-მეტად „კაზიონურად“ და ამიტომ გმირის ხასიათი, განცდების სიღრმე, მისი მოქმედების მოტივიროვკა, უკვე სადღაც დაკარგულია ასე — რომ ვაჟიკა არ შეგვიძლია ავითვისოთ, როგორც ტიპი.

რომანის არც დახარჩენი გმირები (ჯურხა, ხათუთა, ცუცქია და სხვ.) არიან უკეთეს მდგომარეობაში. ისინიც როგორც სქემები ისე მოსჩანან.

შეიძლება ამის მიზეზი ის იყოს, რომ „თეთრ საყელოში“ ავტორს სურდა არა ტიპების მოცემა, არამედ ბრძოლა ორ კულტურას შორის და თვითეული მათგანისათვის ნიშნეული ფაქტების და მოვლენების გამომხეურება.

„ლამბალო და ყაშა“ მხატვრულ ფორმებში გამოკვეთილ მემუარს წარმოადგენს. ამ მოთხრობაში იმპერიალიზტური ომის დროის სპარსეთია მოცემული. მასში შემადრწუნებელი სიცხადით დახატულია ის სისასტიკე, რომელსაც სჩადიოდენ სპარსეთში რუსის სხვადასხვა ჯურის და ეროვნების მოხელეების მთელი არმია. ისინი სტანჯავდენ და ავიწროვებდენ სპარსეთის ხალხის დაბალ ფენებს. აქ მოცემულია მთელი წყება რუს მოხელეებისა. აქვე იძლევა მიხ. ჯავახიშვილი საკმაოდ ვრცლად სპარსელების ყოფა-ცხოვრების დახასიათებასაც.

მოთხრობაში კარგად და მკაფიოდ არის მოცემული რუსეთის თვითმპყრობელობის და იმპერიალიზმის ბინძური მოხელის — ყაშას სახე მთელი თავისი მოქმედებით, ცხოვრებით და მსოფლმხედველობით. შედარებით უფრო მკრთალად და სუსტად არის მოცემული ამ მოთხრობაში დადებითი ტიპის ლამბალოს სახე.

მოთხრობა „მართალი აბდულლაჰ“, მიუხედავად თავისი სიპატა-

რავისა მეტად საყურადღებო მხატვრული ფაქტოგანია მიხ. ჯავახი-  
შვილის შემოქმედებაში. ტყუილა არ იყო, რომ ამ მოთხრობამ პირ-  
ველი საკონკურსო პრემია მიიღო. ამ პატარა მოთხრობაში მოცემუ-  
ლია თათარ აბდულლას თავგადასავალი. მას აბრალებენ მეურმეების  
გაცარკვას, ფულას და ქალაქში ნაყიდი საქონლის წართმევას, ერთი  
კაცის ხანჯლით დაჭრას და ერთი ცხენის მოკვლას. აბდულლა უდა-  
ნაშაულოა ამ საქმეებში. ის მეტად პატიოსანი კაცია. მას არავითა-  
რი ბოროტმოქმედება არ ჩაუდენია. სხვის მაგიერ აბრალებენ მას ამ  
საშინელ ბოროტმოქმედების ჩადენას. რა ჰქნას აბდულლამ, როგორ  
გაიმართლოს თავი, ვინ იქნება მისი დამცველი, აბდულლა გრძნობს  
რომ ის მართალია, რომ ის უდანაშაულოა:

— „კვალი თქვენი სახლის დერეფანში შევიდა. ვხლა გვიამბეთ, რო-  
გორ მოხდა ეს ამბავი.

— მე არ ვისი, ალლაჰ, არ ვისი.—წრფელის გულით დაიყვირა ახლ-  
ვანმა აბდულლამ და გაჭონალი მჯილი განიერ მკერდზე დაიბრაგუნა.—ვა-  
ლლაჰ, არ ვისი, ვალლაჰ არ ვისი.

— კეთილი იმავე დღეს მილიციამ თქვენს დერეფანში, გოდრის ქვეშ,  
იპოვნა ნაწილი წართმეულ საქონლისა,—აი, ეს ჩითი, პირახოცი და ახალი  
რუსული ქუდი. ეს როგორღა მოხდა.

— ღმ რთმანი არ ვისი. ვალლაჰ. არ ვისი.—კვლავ წამოიძახა აბ-  
დულლამ და კვლავ მკერდზე ბაკა-ბუკი აიტენა.

— კეთილი და პატიოსანი. აბდულლა ქირიმ ოღლი. გაცარკულმა მა-  
ლაკნებმა გიცნეს და ხელი დაგადეს. ამაზე რაღას იტყვი.

— ვალლაჰ, იანლინდლარ. ვალლაჰ, იალანდი. ყურან აჰკი, ია-  
ლანდი,—ღმერთმანი, შესცდენ. ღმერთმანი, ტყუილია, ყურანის მადლს  
ვფიცავ, ტყუილია

ასეთი გულუბრყვილოებით სურს აბდულლას დაარწმუნოს მო-  
სამართლეები თავის სიმართლეში. ხელოვნურად მოწყობილი ფაქ-  
ტები აბდულლას საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ. მას ათი წლის  
ციხეს გადაუწყვეტენ.

უდანაშაულო აბდულლა ტანჯვა-წვალებას განიცდის. მის გულ-  
ში დიდი ბოღმაა დაგროვილი უდანაშაულოდ დამარცხების გამო.  
მას უყვარს თავისი ოჯახი, ცოლშვილი, დაუზარებელი შრომა. ყვე-  
ლაფერი ეს მას სხვისი წყალობით ეღუპება. ბუნებით მშვიდ და კე-  
თილ აბდულლაში თანდათან ისადკურებს შურისძიების გრძნობები.  
მასში მხეცური ინტსიქტები იღვიძებს.

მეტისმეტე გრძნობის სიღრმით აქვს მიხ. ჯავახიშვილს მოცე-  
მული აბდულას შურისძიება. ის უშუალო განცდით მოუთხრობს მეო-  
რეჯერ სასამართლოს თავის მოქმედებას.

მოთხრობის დასაწყისიდანვე ამზადებს ავტორი მკითხველს აბ-

დულლას შურისძიებისათვის. ეს უსათუოდ დადებითი მოვლენაა. აბ-  
დულა რელიეფურად მოქმედებს მოთხრობაში. მისი ხასიათის გაგება  
იმ რამოდენიმე სიტყვითაც შეიძლება, რომელიც ზევით მოვიყვანეთ.  
მოთხრობაში კი საერთოდ მრავლად არის მასალა გაბნეული აბდუ-  
ლას ტიპიურობის დასახასიათებლად...

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენი მწერლები სქე-  
სობრივ საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ამ თემაზე  
სწერს გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი და სხვ. რა-  
საკვირველია, ცუდი ის კი არ არის, რომ მწერლები ამ მნიშვნელო-  
ვან საკითხს ეხებიან, არამედ, ის, რომ აქ ისინი ჰკარგავენ გრძობის  
საზღვარს. ვიმეორებთ, ჩვენ არ გაურბივართ სქესობრივ საკითხების  
გაშუქებას ლიტერატურაში, მაგრამ როგორც სამართლიანად ამბობს  
ვ. პოლონსკი:

„ჩვენ უარყოფთ სქესობრივ წარმოდგენებს, რომლებიც ნერწყვს იწ-  
იწვევს ქალის ერთ ცოკონებაზედაც, იმ სახით, როგორც მას გვიხატავენ  
ტკბილ ვნებების სპეცები. ბრწყინვალე და ჯანსაღ ბიოლოგიურ პირველსა-  
ფუძველს ცხოვრებაში ეს სპეცები აბინძურებენ, აქცევენ წუმპეთ, ხოლო  
ქალს მშვენიერ ადამიანურ არსებიდან — დედიდან, სატრფოდან და ამხანა-  
გიდან ხორცის ნაჭრათ, სურვილების დამაკმაყოფილებელ ბინძურ ცხო-  
ველად, — საგად, რომელიც იწვევს ზიზღს“.

ასეთ მოვლენას მრავლად აქვს ადგილი მიხ. ჯავახიშვილის  
შემოქმედებაში. ასეთია მაგალითად „მუსუსი“. მისი შინაარსი მოკ-  
ლედ შემდეგში მდგომარეობს: სირბილთან მიხას, რომელსაც მეტ  
სახელად მუსუსს ეძახიან სოფელში — შეუყვარდება თავის მდიდარ  
მეზობლას პეტრე ჯილაურის ქალიშვილი ფეფელო. ამ უკანასკნელის  
მშობლები წინააღმდეგენ „უნიფხო“ მუსუსისათვის ქალის მიცემას.  
ფეფელოს სხვაზე ათხოვერენ. მაგრამ მუსუსი ფეფელოს მისივე თანხ-  
მობით გაიტაცებს. გაუგებენ. გამოედევნებიან. „ერთი წუთის შემ-  
დეგ მოწყვეტილი ფეფელო საბძელში შეაგდო, თვითონაც მიჰყვა,  
სქელი კარები მიაჯახუნა და ურდული გაუყარა“. ხალხი საბძელს  
შემოესია. ცდილობენ ფეფელოს გამოტაცებას მუსუსის ხელებიდან.  
მუსუსი უცებ მოტრიალდება, ფეფელოს დაუჩოქებს და ცხარედ წას-  
ჩურჩულებს:

„...სხვა გზა არა გვაქვს... ჰო, ჰო, აქვე... ეხლავე“...

„უცებ ბზეზე გულადმა გადააკორა და შეებრძოლა“.

საბძლის გარედან მაყურებელ ხალხს შორის გაისმის:

— „გააფუჭა. გააფუჭა“...

— „გაიმარჯვა. გაიმარჯვაა“.

— „გათავდა. გათავდა“.

— „გათავდა... დაიგვიანეთ“.

ამის შემდეგ მშობლებისათვის სასურველი სასიძო მიუბრუნდება მათ და ეტყვის:

— „მი გატეხილი ქოთნის მუშტარი არა ვარ“.

ასეთია ამ ნაწარმოების შინაარსი და ზოგიერთ მომენტების განვითარების გზები. მას აგრეთვე შესაფერისად ავსებს და აღრმავებს ეპიტეტებიც: „აქამდე ერთი ქალიც არ გაუფუჭებია“ (ლაპარაკია მუსუსის შესახებ. — შ. რ.) „მკლავები თავისუფლად ჩაეხლართენ, მკერდები ერთმანეთს მიეკვრენ“... და სხვ.

როგორც ვხედავთ ამ მოთხრობაში დიდი ადგილი უჭირავს უხეშ ლექსიკონს, ზედმეტ დეტალიზაციას და მოტივის უქონლობას მოქმედების განვითარებაში. ფსიქოლოგიურად დაუჯერებელია ისეთ „ყოფნა-არყოფნის“ მომენტში სქესობრივი აქტის შესრულება. საზოგადოებრივ—მორალურ თვალსაზრისზე თუ დავდკებით მაშინ, ხომ ყოველგვარ ადამიანობაზე დაბლა სდგას ასე საჯაროდ სქესობრივ აქტის ჩადენა.

არც სხვა მხატვრულ ფაქტებში სტოვებს მიხ. ჯავახიშვილი ამ მეტად აქტუალურ პრობლემას უყურადღებოთ, სხვა ნაწარმოებშიაც მრავლად არის მოცემული გაშიშვლებული ფიზიოლოგია.

„ჯაყოს ხიზნებში“ მიხ. ჯავახიშვილი სქესობრივ აქტს სთვლის მთავარ მამოძრავებელ ძალად მარგოს ცხოვრებაში და მოქმედებაში.

ჯაყოს ურმით მიყავს მარგო თავის სოფელში. ჯაყოს კომბინაციების წყალობით მათ შემოაღამდათ გზაზე. შეჩერდენ.

„ერთი წუთის შემდეგ ურემი ოდნავ შეინძრა. ისედაც ბნელ ფარდულში მუქი ჩრდილი ჩამოწვა. იმავე დროს მარგომ თავის ფეხზე ჯაყოს მძიმე თავი იგრძნო. ჯაყო ურემზე ადიადა... გვიანდა იყო. ჯაყომ ისევ გულაღმა გადააქკია დაფეთებული მარგო, ზედ მძიმე დათვივით დააწვა. ჩაბლუჯა და დაჭბუბნა... ხუთიოდე წუთის შემდეგ უინობანილი და დამშვიდებული ჯაყო ოფლიანსა და ჯაგინ თავს მარგოს მკედზე უვამდა და დაბალის ხმით ხვიზვანებდა.. უძლომელი ჯაყო ურმის ქვევიდან ერთხელ კიდევ გამოიძვრა და ჩარდახის ქვეშ ერთხელ კიდევ შემობობდა.. ჯაყომ რომ ერთხელ კიდევ მოიჯერა გული, ისევ მარგოს დამშვიდებას შეუდგა.. რიქრაყზე ჯაყო ერთხელ კიდევ აცოცდა ურემზე. და იმ ჩარდახიდან კვილის და ტირილის ნაცვლად მადააშლილ დედაკაცის ვნებიანი ღმუთილი, ნამარხულევ ყანის კვნესა და დამშუულის თავდავიწყებული ბოდვა მოისმა.. და უბირი ჯაყო უფრო ხშარხშირად და მოურიდებლად ეტანებოდა მარგოს: ხან ბნელ ოთახში შეუცოცდებოდა, ხან გოდრების უკან მატანდა, ხან ვენახში მოუაწრობდა, ხან და ხანაც ბოსელში შეიმწყვვია. მაიმუნივით მრუში და მსუნაგი ჯაყო ძალღვივით იკბინებოდა ამიტომ მისი ნაკბილარის დასამალავად მარგომ კაბები გადააკეთა და მკერდი და მხრები დაიმალა“.

ჯაყო თავისი „რომანტიული თავგადასვლების“ შესახებ შემდეგს

ამბობს: „ჯაყომ ორი ცოლი მოიყვანე მოკვდებოდე. ჯაყოს ვერ გაუძლებდე“...

ასეთ მეტად მდარე და იაფუასიან ფაქტებს მიშართავს ხოლმე მის. ჯავახიშვილი.

„ოქროს კბილში“ მოცემულია ორი ერთმანეთისათვის უცნობი ახალგაზდის — თომას და თამროს — სქესობრივ მისწრაფების „ანალიზი“. თომა ჯანმრთელი ადამიანია. მასში გამოურკვეველი თუ მოკრძალებითა სექსუალური განცდებია გამოშვლავნებული:

„თომა ოცდა სამისა შესრულდა ერთი ექიმის ბინის გვერდით სცხოვრობდა. ამ ექიმს მოახლე ჰყავდა. თეთრი, მსუქანი და მზიარული დედაკაცი იყო. თომას რომ რიდი და მორცხვება შემჩნია თვითონვე მიეტანა და აცახცახებული გრუხა ჭაბუკა ერთ-ერთ ღამეს თავის ოთახში შეიტრია. თვითონვე გაჭნადა ტანისამოსი და ლოგინში ჩაიტრია“...

თომას ღამაში მეზობელი ჰყავდა. მას სახელად თეკლეს ეძახდნენ. ერთ დღეს თომა აივანზე გაკიდა და იქვე მოაჯირ ან თეკლე იჯდა: „კაბა თეძოვებამდე ჰქონდა აწეული. მოკლე, მოთეთრო და გატენილი ბარკლები სკამზე მუთაქებივით ელაგა. ერთ ფეხზე შავი წინდა მუხლის თავზე წითელი მისაჭიროთ ჰქონდა მოვლებული. ხოლო მეორე ფეხი ზედ ჰქონდა გადადებული. და იმ ფეხიდან თხელ წინდას ისე იზდიდა თითქო მსხვილსა და მოკლე გველს შავს პრმნგს აძრობდაო.“ გაგიყვებული თომა იმ დედაკაცს მივარდა: „ისე დააკვდა და მოეხვია მკლავებით და მკერდით ტიკვებით გატენილ ბარკალსა, როგორც წყალში დაჭერილ ორაკულეს“.

ერთ მშვენიერ დღეს თომამ თოკზე გადაფენილი თეკლეს საცვალი დაინახა. „სწორედ თომას ცხვირისწინ განიერი, თოვლივით თეთრი და არშიანი პერანგის ამხანაგი ეკიდა. ისე იყო გაბერილი ნიავისაგან, თითქოს შიგ თეკლეს თეძოები და ბარკლები ელაგაო. ისე დააწტერდა, როგორც მაშინ თეკლეს ფეხებს... მიიხედა. არავის მოსჩანდა. ხელი გააპარა, ჯადოსანი საცვალი ჩამოიღო, უბეში ჩაიკდო, გველნაკბენივით შევარდა ოთახში... პერანგის ამხანაგი წელზე შემოიკრა და ისევ ს მახურში გაიქცა.

ერთხელ თომა კიბეზე ჩამოდიოდა. რეგისტრატორი მარო კიბის თავზე გადმოდგა, მოაჯირს გადმოეყუდა და დაუძახა: — ბატონო თომა, ფული მაქვს მისაღები მარკების სასყიდლად. გობოვთ დაბრუნდეთ.

— ათა არ შემძლიან, სალარო დაკეტილია. თუმცა... სიტყვა ვღარ გაათავა. ზევით აიხედა და ისე გახევდა, თითქო კუნძათ გადაიძცაო. მე რად ცხელი დღე იყო და მაროსაც ალბად ამიტომ არ ეცვა ის საცვალი, რომელმაც თომა ერთხელ ცხელი შანთით დასდალა. გახვეებული მოლარე ისე მიაჩერდა მაროს ქვედატანს, როგორც მოხიბლული ჩიტი გვლის თვალებს... იმავე წამს მოლარე სამიოდე ნახტომით კიბის თავზე ავარდა და შეწითლებული ქალი ორივე ხელით ჩაბლუჯა...

„ოქროს კბილში“ მეორე მთავარ მომქმედ გმირად გამოყვანილია ქლექით შეპყრობილი თამრო. უკურნებელი ავადმყოფობის ნიადაგზე სქესობრივმა ნდომამ-სურვილმა მასში აღვირი წაიხსნა. მოუ-

რიდებელი ვნების ექსტაზით სავსეა მისი წერილი. ამოვიღოთ ერთი ადგილი სახიმუშოდ ამ წერილიდან. თამრო სწერს თავის დას:

„რა ბედენაა ჩემთვის ახლა სახელი, პატივი და ზმანკობა. რა ოხრად მინდა ან ერთი, ან მეორე, თუ ხვალ ან ხვდ სამუდამოდ გათავდება ყოველივე... ხელუხლებელი სახელიც და შენახული ზმანკობაც. ჩემს ყუყუნა თვალებს და წიფელ ტუჩებს მატლები შესჭ მენ, ძუძუები დ მიღებება. ხელუხლებელი თქოებიც და ფეხებიც აყროლდებიან და უბიწო მიწას მოსწამლავენ. მ.შ, რად შევინაო, რად... გიტყდები: მას აქეთ, რაც სისხლში და სულში სიკვდილი შემეპარა, მე აღარ მესმის ცოცხალთა ზნეობა, წესი და კანონი“.

ასეთი პათოლოგიური და უსაზღვროა თამროს სქესობრივი განცდა, ასეთი აწეული სიტყვებით სურს მიხ. ჯავახიშვილს გვაგრძნობინოს ქალში დაგროვილი სქესობრივი გრძნობები და მიდრეკილებები. რასაკვირველია, აქ შეუძლებელი არაფერი არის. ასეთი შემთხვევები შესაძლებელია. მაგრამ აქ საყურადღებოა ის, რომ ჯავახიშვილი აფასებს მას, არა როგორც შემთხვევით მოვლენას, არამედ როგორც დამახასიათებელ თვისებას საერთოდ ქალებისათვის. აქ ის უსათუოდ სინამდვილეს ამახინჯებს. სექსუალური განცდების ისეთი პრიმატივიზაცია წარმოუდგენელია. აქ სექსუალობის ნამდვილი ბუნება დამახინჯებულია..

მიხ. ჯავახიშვილი ქალის სექსუალობის ასე გადაჭარბებით აღწუსხვით ვეინინგერის და არციბაშევის გზას მიყვება...

ამგვარად, მიხ. ჯავახიშვილი თავის შემოქმედების ერთ-ერთ შემადგენელ მასალად ღებულობს მეტად რთულ და საჭირბოროტო მოვლენას-სექსუალურ საკითხებს. ეს კარგია. მაგრამ ცუდია ის, რომ ამ მასალას ეხება ზერელედ, ცალმხრივად, ფერთა შესქელების თვალსაზრისით. ამიტომ მკითხველს ის შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მიხ. ჯავახიშვილი ცდილობს სქესობრივ პრობლემის წამოყენებით სენსაცია გამოიწვიოს...

მიხ. ჯავახიშვილის უკანასკნელი ფაქტებიდან ყველაზე უფრო „საყურადღებოა“ კრებულ „არიფიონში“ მოთავსებული მოთხრობა „დამპატიყე“. ის შედარებით პატარა და მარტივი შინაარსის მოთხრობაა:

ლარიბ და მუდამ შევიწროებულ მეზალე თევდორეს ხელში შერჩა რევოლუციის მიერ განდევნილ მეზატონის კარმიდამო. ამ მდგომარეობამ ძლიერ გაახარა თევდორე. ის გაძლიერებული ენერგიით შეუდგა თავის „საკუთარ“ მიწის დამუშავებას. თევდორეს ოჯახი სულსამი წევრისაგან შესდგებოდა და ამდენი ბალ-ვენახი მას არ ერგებოდა. შემდეგ „ზემდელში“ უთხრეს ბევრი მოგვიციაო და მოზია-

რეთ ვილაც „დამპატიჟე“ გამოუგზავნეს. ვილაც მზამზარეულს მიუ-  
ჯდა და თევდორეს წლის სარჩო გაუნახევრა.

„დამპატიჟე“ ზარმაცი, მუქთახორა და ლოთი პიროვნებაა. ის  
მთელ 24 საათს სადღაც დაძრწის. მას მფარველებიცა ჰყავს. „მისი  
ბიძაშვილი იქა ზის“. ეს „ბიძაშვილია“ საბჭოთა ნოხელე.

მუქთამჭამელი „დამპატიჟე“ მოხუც თევდორეს ნაოფლარით  
იკვებება. თავდაპირველად „დამპატიჟე“ მოზიარეა, შემდეგ მონა-  
ხევრე. შემდეგ ისევ მთელი ბაღის პატრონი, ხოლო თევდორე ისევ  
იგივე მოჯამაგირე.

ამის შემდეგ რალა დარჩენია დამარცხებულ თევდორეს თუ არა  
მოთქმა და ვაება:

„ ხშირად ბუტბუტებს თევდორე და ელოდება: როდის მოაწორე-  
ბენ კისრიდან ამ ბაღლინჯოს. როდის გა ჩერებენ დამპატიჟეს... ელოდება  
და თანაც ფიქრობს: „ოთხფეხს ტკიპი შეუჩნდება, ფუტკარს წინწყალი ჩა-  
უჯდება, ხეს ხავსო და ფითრი მოეკდება, კლდესაც კი ფათალო ჩაექსოვება  
და ასე ცხოვრობენ სხვისი წვენით. ნეტა ადამიანიც ასე ხომ არ არის მო-  
წყობილი“. ფიქრობს თევდორე და დღემდისაც ვერ გადაუჭრია.

ამ მოთხრობაში საერთოდ და კერძოდ ამ უკანასკნელ სტრი-  
ქონებში ყოველივე გარკვევით არის ნათქვამი: საბჭოთა ხელისუფლე-  
ბაში „დამპატიჟეები“ ბატონობენ მშრომელ და უღარიბეს თევდო-  
რეებზე. ნუ თუ ეს მოსაზრება ჭორი და მოგონილი ამბავი არაა?—  
რეაქციონური იდეოლოგიის გამომჟღავნება არაა?

შეიძლება „დამპატიჟე“-ში მიხ. ჯავახიშვილს ობიექტივობის  
დაცვა სურდა და სინამდვილეში არსებულ თითო-ოროლა ფაქტის  
გამომჟღავნება მოინდომა.— ერთ-ერთი კრიტიკოსის თქმისა არ იყოს  
„ობიექტივობა კარგი თვისებაა, მაგრამ ჩვენს დროში, გარდა სისწო-  
რისა, მხატვრისაგან მოითხოვენ, რომ მან ერთგვარად არ უყუროს  
კეთილს და ბოროტს, არამედ დაიჭიროს უფრო განსაზღვრული პო-  
ზიცია იმის მიმართ, რასაც ის ხატავს«. ეს მოსაზრება უსათუოდ  
სწორია. ასევე უნდა მოქცეულიყო მიხ. ჯავახიშვილიც. მასაც ერთ-  
გვარად არ უნდა ეყურობია ბოროტისათვის და კეთილისათვის, არა-  
მედ განსაზღვრული პოზიცია უნდა დაეჭირა იმის მიმართ რასაც ხა-  
ტავდა. მაგრამ ის ასე არ მოიქცა. შეიძლება კიდევ ვიფიქროთ, რომ  
მან მეტი მხარე ბოროტებისაკენ დაიჭირა.

აქვე აღსანიშნავია, რომ მიხ. ჯავახიშვილი „დამპატიჟე“-ში  
უმთავრესად გვევლინება „მოაზროვნედ“. ამ ნაწარმოებში აზროვნება  
სჭარბობს მხატვრობას. ამ მოვლენის მიზეზი იყო საბოლოო შედე-  
გიც: რეაქციონური იდეოლოგია, რომელიც მასში გამომჟღავნდა.

გარდა იმ მხატვრული ფაქტებისა, რომლების შესახებაც ზევით

გვექონდა საუბარი. მიხ. ჯავახიშვილს აქვს რამოდენიმე მსუბუქი ჟანრის ნაწარმოები (მაგ. „პატარა დედაკაცი“, „პაპამილო და მდევარი“ და სხვ.), მაგრამ ისინი არც თემატიურად, არც ტიპებით და არც შესრულებით არ წარმოადგენენ რაიმეს საყურადღებოს.

აბა ვისტვის არის ან სოციალურად ან ფსიქოლოგიურათ საინტერესო სქესობრივ უძღურებით შეპყრობილი ქმარის სულისკვეთება, მისი თავგადასავალის ისტორია და განკურნების შემდეგ კვლავ თავის ცოლთან დაბრუნება („პატარა დედაკაცი“), ან კიდევ: ავტოსა და ბავშვის დაპირისპირება („პაპამილო და მდევარი“).

თანამედროვე პროლეტარულ მკითხველს ვერ დააკმაყოფილებს მსუბუქი ჟანრის ნაწარმოები და ისიც მეტად უმნიშვნელო და წვრილმან თემების ირგვლივ განვითარებული. მხატვრულმა ნაწარმოებმა ხელი უნდა შეუწყოს მკითხველის იდეურ სოციალურ აღზრდას. ასეთ რაიმეს მიხ. ჯავახიშვილის ბევრი ნაწარმოები ვერ მოიმოქმედებს. აუცილებელია ამ მოვლენას მწერალმა დიდი ყურადღება მიუქციოს და თავი დააღწიოს მას.

ფორმის მხრივ მიხ. ჯავახიშვილის შემოქმედების შესახებ შემდეგი უნდა აღინიშნოს:

მას აქვს უნარი ტიპიური ადამიანების მოცემის. ჯაყო, თეიმურაზი, აბდულლა, კვაჭა და სხვა ისეთი გარკვეული ტიპები არიან, რომელთაც ადვილად ითვისებს მკითხველი. აქვე უნდა ითქვას, რომ მიხ. ჯავახიშვილს განსაკუთრებით ეხერხება ზედმეტი და უარყოფითი ტიპების დახატვა. ეს იმიტომ, რომ მიხ. ჯავახიშვილი წარმავალის და აღმავალის მწერალია.

მიხ. ჯავახიშვილის შემოქმედება (მცირეოდენის გამოკლებით) დაშორებულია იმ კუთხურ „პატრიოტიზმს“, კუთხურ თემატიკას, რომელიც ასე ფართოდ არის შიშობილი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (მაგ. ნ. ლორთქიფანიძის, დ. შენგელაიას, კ. გამსახურდიას და სხვ. შემოქმედებაში). თვითეულ მის ნაწარმოებში წარმოდგენილია სულ სხვადასხვა ადგილი (ტფილისი, ბორჩალო, სპარსეთი, რუსეთი, უცხოეთი და სხვ.), პარები (ჯაყო, თეიმურაზი, კვაჭი, აბდულლა, ვაჟიკა, ლამბალო, ყაშა და სხვ.) და სოციალური წრე (არისტოკრატია, ინტელიგენცია, გლეხობა და სხვ.).

მიხ. ჯავახიშვილის თვითეულ მხატვრულ ფაქტს ახასიათებს მონოლიტური, სადა და ჩამოქნილი არქიტექტონიკა. გრამატიკის თვალსაზრისითაც მიხ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში ყველაფერი თავის რიგზე არის. სწორი წინადადებები, სწორი გრამატიკული გამო-



თქმები, — აი რა არის მისი მხატვრული ფაქტების დამახასიათებელი თვისებები...

იყო დრო როდესაც ჩვენი ზოგიერთი „გულუხვი“ კრიტიკოსი მიხ. ჯავახიშვილს თანამგზავრს უწოდებდა. ჩვენი აზრით მეტად გადაჭარბებული იყო ეს თქმა. ის საკმაოდ მანძილით არის დაშორებული პროლეტარული რევოლუციისაგან. უკანასკნელ ხანებში მიხ. ჯავახიშვილს აქვს ისეთი იდეოლოგიური გადახრები (მაგ. „დამპატიყე“-ში, „გივი შადურში“ და სხვა), რომელნიც კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს საერთოდ ამ მნიშვნელოვან და ნიჭიერ შემოქმედის მომავალს, მთელს მის შემდგომ წინსვლას.

— : —

## ზრახული ხელოვნების გამოვანა მოსკოვში

„სტილის გახრწნა ხდება საზოგადოების  
ორგანიზაციის გახრწნასთან ერთად“.

ფ. ჰაუზენშტეინი.

მოსკოვის მხატვრული ცხოვრება დიდი ინტერესით შეხვდა ფრანგული ხელოვნების გამოფენას. ფრანგული მხატვრობა მსოფლიო მხატვრობის სათავეში სდგას. გასულ საუკუნეშიაც და დღესაც, საფრანგეთის მხატვრობა არის მასწავლებელი და კანონმდებელი მსოფლიოს მხატვრობის. პარიზში ხდება მხატვრების დახელოვნება და პარიზში ჩნდება მხატვრული სკოლები.

საფრანგეთში უაღრესობას აღწევს მხატვრული ხელოვნების ოსტატობა და აქ ხდება მხატვრულ მიმართულებათა სწრაფი ცვლაც-რეალისტური მხატვრობის მამამთავრები კურბე, მილლე, კორო, საფრანგეთმა მოგვცა. იმპრესიონისტული სკოლის საუკეთესო წარმომადგენლები მონე, მანე, რენუარი და სხ. საფრანგეთის მხატვრულ ატმოსფერაში წარმოიშვა. აქვე მიიღო იმპრესიონიზმმა თავის უკიდურესი განვითარება (თეორია ნეო-იმპრესიონიზმისა და პუანტილიზმის).

საფრანგეთის თანამედროვე ხელოვნების გამოფენა ყურადღებას იპყრობს თავის სტილის სხვადასხვაობით, უკეთ, გახრწნით, მართალია ესთეტიკას ყოველთვის უმძიმდა მხატვრული ფაქტების მოქცევა სწორ კლასიფიკაციაში, მაგრამ ყოველი საზოგადოება ჰქმნიდა გარკვეულ სტილს და ამ სტილის მთლიანობაზე იშლებოდა მხატვრული შემოქმედების მრავალფეროვნება. (რენესანსის მდიდრული ფუფუნების სტილი, ბაროკოს სენსუალიზმი, როკოკოს ბურჟუაზიული სასიცოცხლო ენერგია, მოცემული არისტოკრატიულ ფუფუნების დაკავშირებით და სხ.).

ამ სტილთა გარკვევაში სჩანს მთელი ეპოქის ენერგია, ქონებრივი და სულიერი მხარე. სტილი ცხოვრების კონცენტრიული გამოხატულებაა. თანამედროვე ფრანგულ ხელოვნებაში აღარ სჩანს ეს კონცენტრიულობა. ბურჟუაზიული საზოგადოების მთლიანობის დაშლას თან მოჰყვა ბურჟუაზიული ხელოვნების სტილის დაშლაც. გა-

მოფენაზე წარმოდგენილი მხატვრები ამას სიცხადით ააშკარავენ. მარია მლანშარის შემოქმედებაში რეალიზმი შერეულია ექსპრესიონიზმის მძლავრ გავლენასთან. კონსტანტინ ბრანკუჩის „წმინდა პლასტიურობა“ იძლევა ისეთ ქანდაკებას, რომელიც არ ემორჩილება მხატვრულ კლასიფიკაციას. (მისი „ქაჯი“ ხის ქანდაკება ამოუცნობი რებუსია, როგორც შინაარსის, ისე სტილის მხრით). ფელიქს ედუარდ ვალტონი ნეო-კლასიკურ ტენდენციას აცოცხლებს. მორის ვლამიკი ვან გოგისა და სეზანის გავლენას ატარებს და შემოაქვს ნეო-ნორმატიული მიმართულება. ედუარდ გეორგი ექსპრესიონისტულ ტენდენციას გვაძლევს, მაგრამ ტენდენდენცია არ არის სტილი. ანდრე დერენი კლასიკურ მხატვრობის ძლიერი გავლენის ქვეშ სდგას — კეს ვან-დოგენი ნეო-ექსპრესიონიზმიდან „ველურთა“ (les fauves) ჯგუფს გადადის და ომის შემდეგი პერიოდის სულისკვეთებას გვაძლევს. ყველაზე საინტერესო მხატვარის დე. დე-კირკოს ექსპერიმენტები არც ერთი სკოლის ჯგუფში არ თავსდება, ფერნან ლეჟეს კუბიზმი დეკორატიულ — ხუროთმოძღვრებისაკენ მიისწრაფვის, მხატვრობას შორდება.

შეგვეძლო კიდევ მოგვეყვანა მაგალითები ფრანგული ხელოვნების საერთო სტილის დაშლის, მაგრამ აღნიშნულიც კმარა. ფრანგულ ხელოვნებაში, მხატვრობაში და ქანდაკებაში, საერთო ეპოქალური სტილი, როგორც ეპოქის ენერჯის ქონცენტრიული წერტილი არა სჩანს. მთლიანი საზოგადოებრიობის დაშლას შედეგათ მოჰყვა მთლიანი სტილის დაშლაც.

საფრანგეთის თანამედროვე ხელოვნებას აღარ გააჩნია მთლიანი სტილი, მაგრამ მას აქვს კისტეოზომა ფერისა და ხაზის, დახელოვნება, დაოსტატება მისული უალრესობამდე და ზოგჯერ უაზრო კომბინაციამდე. ეს ფორმალური მხარის მიღწევები სჩანს გამოფენის ყოველ განყოფილებაში.

აიღებთ დეორდუო დე-კირიკოს მხატვრობას — აქ სიმვოლკაა მოცემული უდიდესი ოსტატობით. ორ სავარძელში ზის ორი გიგანტი, რომელთა ტანი და თავი უზარმაზარია და ტანის ქვედა ნაწილი კი სადღაც იკარგება. სახეზე რაღაც ნილაბი აქვთ, უფორმო, სახის დამფარავი. (სახეზე არაფერი სჩანს) ამ გიგანტთა მკერდზე მკლავების შიგნით, მოცემულია ანტიური სტილის ნანგრევები, ორი გიგანტის უსახო თავა ღრმა ფიქრშია. ვერც კი მიმხვდარხარ თუ რა გაძლევს ამ განცდას, მაგრამ აშკარაა, რომ ფიქრია დაუსრულებელი ძიების, სამარადისო კვლევის. ამ სურათზე კატალოგი გეუბნებათ — „არქეოლოგები“. მსოფლიოს მხატვრობაში ასეთი სიცხადით

ფიქრისა და ძიების იდეა იშვიათად შეკვხდებათ. მრავალი გენიაა ტრეტიაკოვია გალერეაში, მხატვრული ხელოვნების მუზეუმში და მოსკოვის სხვა გალერეებშიაც, მაგრამ ასეთი სიძლიერე ფორმისა და იდეის იშვიათად მოიპოვება.

დააკვირდით კეს ვან-დონგენის — „ვერცხლის პერანგს“. დააკვირდებით შეჭველად, რადგან მოიტაცებს თვალს ეს შესანიშნავი სურათი: ქალის პორტრეტი, რომლის ტანზე თითქო დახტის ვერცხლის ძაფებით ნ. ქსოვი პერანგი. აქ ფერისა და კომპოზიციის ოსტატობა მისულია უკიდურესობამდე.

ნუ დავივიწყებთ დუინო სევერინის, ის ეძლევა დაუვიწყარ სურათს „დედობრივობას“. ქალი, რომლის ღია მკერდზე ბავში სწოვს ძუძუს. ჩამოთლილი, დედობრივი სინაზით დაღლილი სახე დახრილა ბავშვისაკენ. ხელები სინაზით, ეხვევა ბავშვს. სავსე ძუძუ, რომელზედაც ბავშვის სათუთი თითებია, ცხოვრების სასიცოცხლო ენერჯიას და აღამიანის მოდგმის მარადისობას გაგონებთ. სევერინი დიდა ოსტატია. ის იტალური ფუტურიზმის საუკეთესო წარმომადგენელი კუბიზმში გადადის. კუბიზმიდან კი დღეს ნეო-კლასიკურ მიმართულებას ემხრობა და მისი საუკეთესო თეორეტიკოსი ხდება.

აქვეა ფერნან ლეჟე, კუბიზმის დიდი ოსტატი. მისი კომპოზიციები ააშკარავენ კუბიზმის უკიდურეს დახელოვნებას და ფორმალური მიღწევებს უაღრესად განვითარებას. პიკასო დღეს აღარ შეიძლება კუბიზმის ტიპურ წარმომადგენლად მივიჩნიოთ. ის ეკლექტიურ მრავალფეროვნებაში შლის თავის შემოქმედებას, კუბიზმის პრინციპებს საკმაოდ შორდება. საერთოდ კუბიზმი აღარ შეიძლება ფრანგული ხელოვნების წარმომადგენლად ჩაითვალოს. თუ მაინცადა-მაინც შეუდგებით უფრო ძლიერი ტენდენციების ძებნას აქ ვიხილავთ რომანტ. ზმის აღორძინების ცდას, მაგრამ არა დელაკრუას მონუმენტალობით, არამედ პ. კოგანის სიტყვით, რომ ვსთქვათ „გახრწნის პასტოსით“ კუბიზმი დეკორატიულობაში გადაგვარდა. ლეჟეს კუბიზმი უფრო ხუროთმოძღვრებას უახლოვდება, ვიდრე მხატვრობას.

აშკარაა, ფომ ლურ დახელოვნებაში საფრანგეთის თანამედროვე ხელოვნება უმაღლეს წერტილს აღწევს. ამ ფორმალურ ოსტატობაში სჩანს იგივე სოციალური ძირი, რაც საერთო სტილის დაკარგვაში. აღარ არის იდეურ-მორალური იმპულსი მონუმენტალურ — გმირული ტილოების შესაქმნელათ. ხელოვანი მომწყვდეული თავის პიროვნებაში. რაღაც წვრილ მომენტში, საზოგადოებრივად უმნიშვნელო მოვლენაში ეძებს თავისი მდიდარი დახელოვნების გამოყენებას. მნახველს გენანება — რა ენერჯია და ნიჭი იხარჯება საზოგადო-

დოებრივად უმნიშვნელო მოვლენათა ასახვისთვის. მაგრამ საბჭოთა კავშირის მოქალაქის სინანულით არ იცვლება ბურჟუაზიულ ხელოვანის შემოქმედების საზოგადოებრივი ფაქტორები.

ფრანგული გამოფენა ხასიათდება კიდევ ერთი თვისებით. აქ „ფრანგულია“ უფრო სკოლა, დახელოვნების მანერა, ვიდრე თვით მხატვრული ფაქტების ავტორთა ვინაობა, ფრანგულ ხელოვნების გამოფენაზე ფრანგებს უჭირავთ უმნიშვნელო ადგილი. გამოფენის ფრანგულ ნაწილშია 129 ნაწარმოები, რუსულში 262. ფრანგულ ნაწილში შედის არა მარტო ფრანგები, არამედ ყველა ეროვნება, რუსებს გარდა. აქ არის იტალიელები: დე-კირიკო, სევერინი. კამპილი, მოდილიანი, პოლანდიელი — ვან-დონგენი, გერმანელი — ერნსტი, იაპონელი — ფუჟიტა და კოანაგი, პოლონელი — მარკუსი, მელა-მუტერი, რუმინელი — ბრანკუზი, შვედი — გრიუნეფალდი და სხ. ესენი არა თუ ჩამორჩებიან ფრანგ მხატვრებს, არამედ, ზოგი მათგანი. (კირიკო მოდილიანი, სევერინი) ამშვენებენ ფრანგულ განყოფილებას.

ეს ააშკარავებს იმ გარემოებას, რომ ფრანგულ ხელოვნებაში და მის ანალიზში ჩვენ საქმე გვაქვს არა ვიწრო ფრანგულ-ნაციონალურ მოვლენასთან, არამედ მსოფლიო მხატვრობასა და მის საზოგადოებრივ მხატვრულ ღირებულებასთან. ცხადია, ფრანგების სიმცირე და რუსების სიუხვე გამოფენაზე არ აიხსნება ამ ორი ერის მხატვრობის ბუნებრივი შეფარდებით ფრანგულ ხელოვნებაში. აქ გამოფენის ორგანიზაციის მომენტს აქვს დიდი მნიშვნელობა. ფრანგი მხატვრების ნაწილი ვერ მოხვდა გამოფენაზე ან იმიტომ რომ მხატვრები კამერსანტების ხელშეკრულებით არიან შეზღუდულნი და ვერ განაგებენ თავიანთ ნაწარმოების ბედს, ან იმიტომ, რომ მოსკოვში საფრანგეთის გამოფენის მოწყობას ხელს უშლიდა „პარიზის საზოგადოებრივი აზრი“, რამაც თავისი კვალი დააჩინა გამოფენას. ამავე დროს, მოსკოვი ბუნებრივად მეტ ყურადღებას უიმობდა რუსი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენას, რომ ზაყურებელს დაენახა რუსების მიღწევები ფრანგულ ხელოვნებაში.

რუსულ განყოფილებაში ვერ ვხდებით ძველად ცნობილ სახელებს, რომლებიც დღეს პარიზში იმყოფებიან სომოვს, მალიაინს, დობუჟინსკის, ბენუას, კოროვინს. ცხადია, ისინი დარჩენ საკუთარი სტილისა და სახის მხატვრებათ. ამიტომ გამოფენაზე ფრანგული ხელოვნების წარმომადგენლებათ ისინი ვერ მოხვდებოდნენ.

ახალგაზრდობაშიაც, ფრანგული ხელოვნების მანერის მიხედვით, ერთფეროვნება ვერ არის. ზოგი სავსებით ითვისებს პარიზის გავლენას, ზოგი საკუთარ ნაციონალურ კოლორში იძლევა ამ გავლენას,

ზოგი საკუთარ სახეს იმახინჯებს „პარიზულ სტილის“ მომარჯვებით. შედარებით შორს დგას ფრანგულ ხელოვნებასთან აღ. იაკულოვი. მისი სურათი „ჩინელი ქალის თავი“ შესანიშნავი ოსტატობით არის მოცემული. უფრო ახლოს სდგას გონჩაროვა და ლარიონოვი. გონჩაროვას „თევზები“ და ლარიონოვის „ნაჟურმოტი“ უშვალოდ ფრანგულ გავლენას ატარებს, აქ სჩანს, მათი წარსულის გავლენაც. ისინი მემარცხენე ფრთის, ფრანგულ გავლენას ატარებდენ რუსეთშიაც. გონჩაროვას დეკორატიულობა მეტად ძლიერია და მაღალი.

ხანა არლოვა ქაღებებაში აღწევს ექსპრესიონიზმის საფეხობას. მისი ქანდაკება „პორტრეტი“ მოცემულია მკვეთრ და დასრულებულ ექსპრესიონისტულ ხაზებში. სახე ჩამოთლილი ფრანჯაო და არა ადამიანის სირბილე. აზრი მტკიცე და ნება უკმეხი. შესანიშნავია მისი ქანდაკება „ახალგაზრდა ამერიკელი“. ნება უტეხი, გამოხედვა არწივის. ფიზიკა წასული მკერდის სიძლიერეში და დაწურული წელი და ტანი.

ოსკარ მესჩანინოვი იძლევა საუკეთესო ქანდაკებას „კაცი ცილინდრში“. შიშველი მკერდი, გამოთავყვანებული სახე და თავზე ცილინდრი. აქ ცილინდრი ევროპის ცივილიზაციის გამოფიტვას მოგაგონებს.

უდიდესი დახელოვნებითაა მოცემული იაკობ ლუჩანსკის ქანდაკება „ჩეში მედუქნე“. სახე დაგრძელებულ ლოყებით, ვიწრო თავი. ოდნავი, პატარა თვალები, ჩათლული სახის სისუქნეში. თვალები მაძებარი გროშების, პატარა გაგების, მესჩანური კმაყოფილების.

აქვეა ფაკ ლიფშაცის — „მუსიკალური ინსტრუმენტები“. კიდევ კარგი, რომ კატალოგში ამ ქანდაკებას ნომერს აწერია სახელწოდება, თუმცა ეს სახელწოდება ვერაფერს ვერ უმატებს ამ უცნაურ ქანდაკებას, რომელიც არაფერს არ ჰგავს და არაფერს არ ამბობს, ავტორი კუბისტური ქანდაკების წარმომადგენელია. გამოფენაზე წარმოდგენილია მგზავსი ქანდაკების რამოდენიმე ნიმუში. (ყველაზე შესანიშნავია თავისი ორგინალული უცნაურობით რუმინელ ბრანკუზის ქანდაკება. ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის ხუთმა ცნობილმა მკვლევარმა ეს ქანდაკება შეადარა — ზარბაზანს, მუსიკალურ ინსტრუმენტს, ქორს ჰაერში, ქარის წისკვილს. როცა კატალოგში ჩავხედეთ წავიკითხეთ — „ქაჯი“. ეს არის რაღაც ავთიმყოფური ფანტაზიის უკანტროლო თარეში.)

ამ რიგად, რუსული ნაკადი ფრანგულ ხელოვნებაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტად საინტერესო ნიმუშებს იძლევა, უმთავრესად ქანდაკების დარგში. საერთოდ ქანდაკება წარმოდგენილია შედარე-

ბით მცირე რაოდენობით, მაგრამ ის ყურადღებას იქცევს თავისი მაღალი ხარისხით, ვირტუზობით, მონუმენტალობით.

ამხ. ან. ლუნაჩარსკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჩვენთვის აუცილებელია ყურადღებით შესწავლა ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ხელოვნების ევოლიუციის და ამ მხრით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფრანგულ მხატვრობის გამოფენასო. სამწუხაროა. რომ არა თუ ჩვენი საზოგადოება, არამედ თვით მხატვართა წრეები, ახალგაზრდობა მოკლებულია საშვალებას გაეცნოს ამ მეტად საინტერესო მხატვრულ მოვლენას. ჩვენი ახალგაზრდა მხატვრები დაინახავდა ამ გამოფენის საშვალებით ბურჟუაზიულ მხატვრობის სტილის გახრწნას და ფორმალურ დახელოვნებას. ორივე მათ დიდ სარგებლობას მოუტანდა.

მოსკოვი, 5 ნომერი.

----- : -----

# ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ლ. ა — ნი

ვახტანგ ორბელიანი — ლექსები. სრული კრებული. გაიმომცემლობა „ქართული წიგნი“. ტფილისი — 1928 წ. გვ. XII+117, 5X8. ფასი 1 მ. 30 კ.

გაიმომცემლობა „ქართული წიგნი“, ზოგიერთ გამონაკლისებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, გარკვეული კურსი აქვს აღებული უცხოელ და ქართველ კლასიკოსთა თხზულებების გამოცემაზე (შექსპირი, გოიტი, ილ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და სხ.) ამ მხრივ იგი სერიოზულ აკადემიურ გაიმომცემლობას წარმოადგენს საქართველოში და არ შეიძლება მისი მუშაობა უდიდეს კულტურულ საქმიანობათ არ ჩაითვალოს ჩვენს პირობებში. ფართე საგაიმომცემლო პროგრამის შესრულების თვალსაზრისით გამართლებულად უნდა იქნეს მიჩნეული ვახტანგ ორბელიანის ლექსების სრული, აკადემიური კრებულის გამოშვება. როგორც ვიცით ვახტანგ ორბელიანის ნაწერების კრებული პირველად 1894 წ. ლს დაიბეჭდა, ილია ჭავჭავაძისა და პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, მას შემდეგ მთლიანი კრებული არ გამოცემულა, ასე რომ სარეცენზიო წიგნი წარმოადგენს მეორე, შევსებულ გამოცემას.

სარეცენზიო კრებულის რედაქციას არ დაუშურებია თავისი ენერჯია, რომ გამოცემა აკადემიური ყოფილიყო. პოეტის ლექსები შედარებულია თვით პოეტის ხელნაწერებთან, უკანასკნელთა მ ხედვით აღდგენილია ცალკე აღგილები რომლებიც წინათ გამოცემულ და დაბეჭდილ ლექსებში არ შესულა. გარდა ამისა, რედაქციის მიერ აღდგენილია ქრონოლოგიური ოიგი ვა ტ. ორბელიანის ნაწერებისა, რაც არღვევს ხახანაშვილის მიერ ნათქვამსა და სხვა ლიტ. ისტორიკოსებისაგან გამეორებულ აზრს, თითქოს ამ პოეტს ლიტერატურული მუშაობა 45 წლისას დაწყოს (1857 წლიდან).

პირველი და თითქმის ამომწურავი შეფასება ვახტანგ ორბელიანის პოეზიისა მოგვცა ილია ჭავჭავაძემ (1894 წ.) მან პირველმა მოხაზა ის იდეური და სოციალური გარემო, რომელმაც გარკვეული შინაარსი მისცა ვა ტ. ორბელიანის შემოქმედებას. გარკვეული მიზეზებს გამო ილია ჭავჭავაძეს აუ შეეძლო მკაცრი, ფორმალური-მხატვრული ანალიზი გაეკეთებია მისი ნაწერებისათვის: ვახტანგ ორბელიანი თანაბრად განიცდიდა, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის, ისე თვით ილია ჭავჭავაძის უდიდეს იდეურ და ფორმალურ გავლენას. ამ მხრივ საინტერესოა, როგორც დამახასიათებელი ლიტერატურული კურონიზი, რომ ეს წარსული ცხოვრების იდეალისტი და დანგრეულ პალატების აპოლოგეტი. ილია ჭავჭავაძეს უსაყვედურებდა: „ნუ ფრინავ მარად ცაში, ნუ უმზერ მარად მთებსა, ცოტა ძირს დაიხედო და სხვ

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მე-XIX ს. ქართული პოეზიისა და საზოგადოთ ლიტერატურის შინაგანი განვითარების თვალსაზრისით, ვახტანგ ორბელიანი არ მოუცია არაფერი ახალი. დიმიტრი ყიფიანისათვის (ბაქარ ქართლელი) მი-



ძღვნილ ლექსში იგი თავდაბლათ ამბობს: „არ ვარ პოეტი, ნიჭი მაღალი ჩემს თავზედ მაღლით არ გადმოსულა, და ჩერს გულ-სულში, ცით ნაპერწკალი პოეზიისა არ აღიზნებულა“. ვახტანგ ორბელიანის ნ წერების საგრაქობი ნ-წილი თითქოს ამტკიცებს ამ გულწრფელი კაცის სიმართლის-მოყვარეობას.

კრებულს წამძღვრებული აქვს ილია ჭავჭავაძის 1894 წელს დაწერილ კრიტიკულ წერილ-დან ამოკრეფილი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ვახტ. ორბელიანის შესახებ. ტექნიკურად წიგნი კარგად არის შესრულებული.

## ვ. გორგაძე

**ს ტ ე ნ დ ა ლ ი.** ი ტ ა ლ ი უ რ ი ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი. თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძის გვ. 125. 5X8. ფ. 1 მან ტ. 4000.

უცნაური იყო ბედი სტენდალის (ანრი ბეილის) თანამედროვეებისგან (გარდაიცვალა 1842 წელს) თითქმის გარიყული—იგი დღეს მსოფლიო ლიტერატურის კერპად იქცა. მას დიდი პატივით იხსენიებენ ისეთი მწერლები, როგორც არიან გიოტე, ბაირონი, ტოლსტოი და გორკი. ფრანგულ უახლოეს ლიტერატურაზე მას დღესაც დიდი გავლენა აქვს.

სტენდალის მნიშვნელობა უმთავრესად გამოიხატება იმაში, რომ იგი არის დამწყები: რეალისტური, ფსიქოლოგიური და სოციალური რომანის.

იგი იშვიათი ოსტატობით გვწლის თავისი გმირებს-ს პსიქოლოგიურ ანალიზს. მის შემოქმედებაში გაშიშვლებულია ადამიანის სული მთელი თავისი წინააღმდეგობით, ინტერესთა შეჯახებით, ვნებათა ღელვით.

ამავე დროს სტენდალი სოციალოგია. იგი არის მიმდევარი მეთვრამეტე საუკუნის მატერიალისტური მოძღვრების. სტენდალი იყო მოწამე 1831 წლის ფეიქართა აჯანყების. იგი ცხოვრობდა იმ დროს, როცა საფრანგეთის მეცნიერებასა და ლიტერატურაში იღვიძებდა მძლავრი ინტერესი რეალურ, სოციალურ განახლებისადმი. ამ გარეგნობას არ შეძლო გამოძახილი არ ეპოვა სტენდალის შემოქმედებაში, და იგიც თავის მოთხრობების თემად იღებს მის თანამედროვე ცხოვრებაში გამეფებულ სოციალურ უსამართლობას („ჩენჩი“, „ვანინა ვანინი“ „შავი და წითელი“ და სხვ.) სტენდალი იძლევა საზოგადოების სურათს ძლიერი კლასიური ანტაგონიზმით, გვიშლის ყოფაცხოვრებრს დამაჯასიათებლ ხაზებს, რომელთაც მისივე სიტყვით ჩვეულებრივი მემეტრიანეები არ სთვლიან მაღალი ისტორიის ღირსათ (გვ. 64).

სტენდალის შემოქმედება იყო აჯანყება ბურჟუაზიულ წესწყობილების წინააღმდეგ, მაგრამ უნდა ითქვას, ეს აჯანყება არ გამოირება წვრილი ბურჟუის უკმაყოფილო დრტვინვას.

„იტალიურ ქრონიკებში“ მოკემულია ოთხი მოთხრობა: „ჩენჩი“, „ვიოლანტე პალიანო“, „წმინდა ფრანჩესკოს ეკლესია“ და „ვანინა ვანინი“.

1. „ჩენჩი“ს გმირია ფრანჩესკო ჩენჩი—რომის მდი არი მოქალაქე, მეტად გარყვნილი ადამიანი. მან მოინდომა თავისი 16 წლის ასულის ნამუსის ახდა შეილება და ცოლმა გადასწყვიტეს მისი მოკვლა და კიდევ შეასრულეს. ხოლო ამისთვის წმინდა პაპმა კლემენტი მეცამე—სიკვდილით დასაჯა ისინი.

2. „ვიოლანტე პალიანო“ გვიშლის პაპის პავლე VI და მისი ძმისწულების კარდინალების მარკაზების: დონ ჟუანის, დონ კარლოსის და დონ ანტონიო კარაუების გათახსირებულ ცხოვრებას. თავიანთ სამფლობელოებს ისინი მოევლინენ, როგორც მოახსნელ დესპოტები, იტაცებდნენ ხალხის ქონებას, აუპატუროებდნენ მოალექების ცოლებს და ქალიშვილებს, სჩადიდოდნენ მკვლევლობას და ყოველგვარ სისაძაგლეს.

3. „წმინდა ფრანჩესკოს ეკლესია“ში მოთხრობილია პაპა ბენედიქტ XIII რძლების, გრაფ ორსინის და თავად კამპაბასოს მეუღლეების და ფრანგი რაინდის სენესეს სიყვარულის და განცხრომის ამბავი. სენესეს მოწონების გარშემო რძლებს შორის გაიმართა მეტოქეობა, რომლის დროს გაიმარჯვა ქალბატონმა ბალბინე კამპაბასომ და ყოვლად სამღვდელო ფერატერას შემწეობით სენესე კიდევ მოკლა, კამპაბასომ და ყოვლად სამღვდელო ფერატერას შემწეობით სენესე კიდევ მოკლა,

4. „ვანინა ვანინი“ აგვიწერს თავადი ასდრუბალეს ქალის ვანინა ვანინის და იტალიის განთავისუფლებისთვის მებრძოლ მდაბიო მოქალაქის პიეტრო მისირილის სიყვარულს. თავადს ქალმა ვანინა ვანინმა მიუხედავად იმისა, რომ მას თითქოს უყვარდა კარბონარების მეთაური მოსირილი, ვერაგულად გასცა შეთქმულებაში თითონ კი უღარდელად გაჰყვა თავადს ლავიო საველის.

თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ქართული სიტყვის ისეთ ოსტატს, როგორცაა გერონტო ქიქოძე, მეტად კეთილსინდისიერად არის შესრულებული. გამოცემა სადა და ლამაზია.

— : —

# ლიტერატურული ცხოვრება

## უცხოეთი.

— პოლ ბურჟეს ახალი წიგნი. პარიზში გამოვიდა პოლ ბურჟეს ახალი წიგნი, სადაც მოთავსებულია წერილები „დღი ადამიანების“ შესახებ. კრებული შეიცავს სხვათაშორის წერილებს სტენდალზე, რენანზე, პასტერზე, რიშპეისზე და სხვ.

— ვიქტორ ჰიუგოს ხელნაწერები. ვიქტორ ჰიუგოს მთელი ხელნაწერები, რომელიც აქნაჩდის კერძო პირის, გუსტავ სიზონას მფლობელობას შეადგენდა, გადავიდა ნაციონალური ბიბლიოთეკის განკარგულებაში. ინვენტარიზაციის შემდეგ ხელნაწერები ძისაწვდომი შექნება ლიტერატურაზე მომუშავეთა ფართე წრეებისათვის.

— ანდრე ჟიდის მოგზაურობის წიგნი. პარიზში გამოვიდა ანდრე ჟიდის ახალი წიგნი, რომელიც შეეხება კამერუნში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. ეს წიგნი წარმოადგენს ამავე ავტორის წიგნის „კონგოში მოგზაურობის“ გაგრძელებას.

— გოიას მოსაგონებლად. გამოჩენილი ესპანელი მხატვრის, გოიას გარდაცვალებიდან ასი წლითათვის ალსანიზნავად, პარიზში გამოვიდა სრული კრებული მისი სურათების რეპროდუქციების, რომელიც — მეცნიერულად დამუშავებულია ხელოვნებათ მეცნიერის კსავიე ჟრალდის მიერ. კრებულში მოთავსებულია გენიოსი ოსტატის 475 სურათის ფოტოტიპია.

— „ჟან კრისტოფის“ ახალი გამოცემა. რომენ როლანის „ჟან კრისტოფის“ ახალი გამოცემა, რომელიც გამოვიდა პარიზში ალბენ მიშელის გამომცემით, დასურათებულია ცნობილი მხატვრის, ფრანც მაზერელის მიერ. სულ ხუთივე ტომში მოთავსებულია 500-მდე გრავიურა ხეზე.

— „ახალი სკულპტურა საფრანგეთში“. პარიზელი მხატვრობის კრიტიკოსის, ადოლფ ბასლერის ახალი წიგნი, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინეთ გამოვიდა, შეიცავს უახლოესი დროის ფრანგული სკულპტურის განვითარებისა და სხვად სხვა მიმართულებათა მოკლე დახასიათებას. სხვათაშორის ამ მოძრაობაში მონაწილე რუსი მოქანდაკეებიდან ბასლერი ეზება არხიპკოს, კოგანს, ლუჩანსკის, მეჩანინოვს და ხანა ორლოვას რომელთა ნამუშევრების რეპროდუქციებიც ნაწილობრივ მოთავსებულია წიგნში.

## რუსეთი.

— კინო-საქმის რეორგანიზაცია. მამდინარე წლის აგვისტოში მოსკოვში დაარდა სპეციალური კომისია ამ. ბოკმანის თავმჯდომარეობით, რომელსაც დავალებული ჰქონდა კინო-არეწველობის რეორგანიზაციის შესწავლა. 4 დეკემბერს შრომისა და თავდაცვის საბკომ მოისმინა ამ კომისიის მუშაობის ანგარიში.

კომისიის წინადადებით, კინო-საქმის ხელმძღვანელობა, მოწესრიგება და მეთვალყურეობა თავმოყრილი უნდა იქნეს საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, რომელსაც უნდა გადაეცეს საკავშირო ხასიათის ყველა კინო-ორგანიზაციები და საწარმოები, რესპუბლიკანური სმუს-ების გამგებლობაში კი უნდა გადავიდეს რესპუბლიკანური ხასიათის კინო-ორგანიზაციები.

საკავშირო სმუს-თან უნდა დაარსდეს მუდმივი ფოტო-კინო-კომიტეტი. კინო-ფილმების გამოშვების იდეოლოგიურ-მხატვრული ხელმძღვანელობა რჩება მოკავშირე რესპუბლიკების განათლების კომისარიატების ხელში.

კომისიის მოხსენების მოსმენის შემდეგ ბრომისა და თავდაცვის საბჭომ საჭიროდ აღიარა საკავშირო რესტის შექმნა ფოტო-კინო მასალებისა და აპარატურის წარმოების მოსაწყობად და საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაავალა ერთ თვეში წარუდგინოს შრ. და თ. საბჭოს დასამტკიცებლად ახალი ტრესტის წესდების მთავარი დებულებები. საბჭოთა კავშირში კინო-მრეწველობის მაქსიმალურად განვითარების მიზნით შ. და თ. საბჭომ საკავშირო სმუსს დაავალა სამ თვეში შეიმუშაოს ტრესტის მუშაობის გეგმა უახლოესი ორი წლისთვის. ამასთანავე ერთად, შრ. და თავ. საბჭომ საჭიროდ აღიარა საბჭოთა კავშირში ფოტო-კინო საქმის განვითარებისათვის ხელის შემწყობი კომიტეტის დაარსება საკავშირო სახკომსაბჭოსთან. კომ-ტეტის მუშაობის ხელმძღვანელობა დაევა-ლა საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდ. მოადგილეს ამხ. რუძუტაკს.

== ფილმი „წიგნის ისტორია“. რუსეთის სახელგამმა „მეყობპომ-ფილმს“ მისცა დროებითი სესხი—15.000 მანეთის რაოდენობით—ახალ ფილმის დასადგმელად სადაც ნაჩვენები იქნება „წიგნის ისტორია“. პირობის თანახმად ფილმი უნდა იყოს სიუჟეტური და მსახიობების მიერ წარმოდგენილი. სურათი უნდა გაკეთდეს კულტურულ-ისტორიული გახრით და უნდა გამოამკარაოს წიგნის რევოლუციონური როლი, განსაკუთრებით ჩვენს ხანაში და კერძოდ საბჭოთა კავშირში.

== წიგნი კონსტრუქტივიზმზე. იბეჭდება და გამოდრ. „ფედერაცია“ უშვებს კორნელი ზელინსკის თეორეტიკულ წიგნს კონსტრუქტივიზმზე, სახელწოდებით: „ლიტერატურა და ტეხნიკა“.

== პოეტი სელვინსკის ახალი ტრაგედია. კონსტრუქტივისტების შკოლის პოეტმა ილია სელვინსკიმ დასწერა ლექსად ტრაგედია „კომანდარმი“, რომელსაც სდგამს მეიერხოლდის თეატრი.

== 1929 წლის საგამომცემლო გეგმა. გან. კომისარ. კოლეგიამ მოისმინა მთავლიტის მოხსენება 1929 წლის საგამომცემლო გეგმის შესახებ რუსეთში. კოლეგიამ მიზანშეწონილათ სცნო გამოშვებულ იქნეს 1929 წლის განმაგლობაში 1.240 მილიონი ფურცელ-ანაბეჭდი არაპერიოდულ ლიტერატურაში. ამ რიცხვიდან 160 მ.ლიონი ფურცელ-ანაბეჭდი მოდის მხატვრულ ლიტერატურაზე.

== რუსული ენის ლექსიკონი. სააქც. საზ.-მა „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ ლენინგრადის სახელგამთან ერთად უშვებს „რუსული ენის ლექსიკონს“, რომელიც შეიცავს 4 ათას გვერდამდე.

== წიგნების კონკურსი. საბჭოთა კავშირის სახელმწ. მრეწველობისა და ვაჭრობის ყრილობის საბჭო დეკემბრის დამლეგს აწუბს კონკურსს 10 საუკეთესო წიგნისას, რომლებიც გამოშვებულია 1928 წელს და წარმოადგენენ საუკეთესო გამოცემას ტიპოგრაფიული გაფორმებისა და შესრულების მხრით. სტამბებს, რომლებიც კონკურსზე პირველობას მიიღებენ, მიეცემათ დიპლომები. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება იანვარში.

— ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიაში. ხელოვნების სახელმწიფო აკადემიასთან არსებულ საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების შემსწავლელ კომიტეტთან მოეწყო ქართული ხელოვნების შემსწავლელი განყოფილება. მისი მიზანია შეისწავლოს: ა) ქართული ხალხური ხელოვნება და შინამრეწველობა, ბ) მხატვრული ლიტერატურა და ფოლკლორი, გ) სახვითი ხელოვნება, დ) თეატრი და კინო, ე) მუსიკა, ვ) ხელოვნების ისტორია.

ქართული ხელოვნების შემსწავლელი განყოფილების თავმჯდომარეთ დანიშნულია აკადემიის წევრ-კორესპოდენტთა ახლად არჩეული ანხ. სერგო ამალღობელი. აკადემიის პრეზიდენტმა კოვანმა და წერილით მიმართა საქართველოს სახელოვნო და ესებულებებსა და ხელოვნების მუშაკებს მონაწილეობა მიიღონ ქართული ხელოვნ. შემსწ.-განყოფილების მუშაობაში.

— ჩარლი ჩაპლინის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში. გერმანული პრესის ცნობით, გამოჩენილი ამერიკელი კომიკოსი ჩარლი ჩაპლინი მომავალ წლის გაზაფხულზე ჩამოვა ბერლინში და შემდეგ საბჭოთა კავშირში. მისი მოგზაურობის მიზანია ახლოს გაეცნოს საბჭოთა კინო-ტოკრაფიას.

— ხლებნიკოვის პოემები. ლენინგრადის მწერალთა გამომცემლობამ გამოსცა პარველი ტომი ველიმირ ხლებნიკოვის ნაწერებისა, სადაც თავმოყრილია მხოლოდ პოემები. ხლებნიკოვის წიგნის გამოსვლას ერთ უდიდეს მოვლენათ სთვლიან ძიმდინარე ლიტერატურულ სეზონში. ერთერთ ყურნალის რეკენზენტის სიტყვით ხლებნიკოვის თხზულებათა კრებულის გამოსვლა გადაჯგუფებას მოახდენს მე-XX საუკუნის რუსულ ლიტერატურაში.

— იური ტინიანოვის ახალი წიგნი, დასავლეთ ევროპიდან ახლად დაბრუნებულმა ი. ტინიანოვმა („კუხლიას“ და „ვაჩო მეტეხარის სიკვდილის“ ავტორმა) დასწერა ახალი წიგნი ევროპაზე, სახელწოდებით „დასავლეთში“. წიგნს სცემს ლენინგრ. სახელმწიფო გამომცემლობა.

## საქართველო.

— ლიტერატორთა კლუბი ტფილისში. საქართ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმმა დაადგინა მოეწყო ხელოვნების სასახლეში ლიტერატორთა კლუბი.

— პრემია საუკეთესო პროზაზე და ლექსზე. მომავალი წლის იანვრიდან ყურნალ „ქართულ მწერლობის“ რედაქციას განზრახული აქვს მოეწყო კონკურსი საუკეთესო მოთხრობაზე და საუკეთესო ლექსზე. კონკურსზე მოწონებული ნაწარმოების ავტორს მიეცემა ფულათ პრემია არა ნაკლებ 100 მანეთისა, გარდა ამისა ნაწარმოები დაიბეჭდება და ავტორი მიიღებს ორმაგ ჰონორარს.

— აკაკის ძეგლი. საბჭ. მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმმა მიხ. ჯავახიშვილსა და შალვა რადიანს დაავალა იზრუნონ აკაკის საფლავზე ძეგლის დადგმისათვის.

— ცალკეულ მწერლების რეგისტრაცია. საბჭ. მწერლ. ფედერაციის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ ცალკეული მწერლები, რომლებც არცერთ ლიტერატ. დაჯგუფებას არ ეკუთვნიან უნდა გატარდენ რეგისტრაციაში და შემოიტანონ განცხადება იმის შესახებ, რომ მათ სურთ იყვენ საბჭოთა მწერლების ფედერაციის წევრნი. რეგისტრაციის უკანასკნელი ვადაა 25 იანვარი.

== რუსთაველის თეატრის გასტროლები. რუსთაველის თეატრი მაისის შუა რიცხვებში გაემგზავრება საგასტროლოდ მოსკოვში, ხარკოვნი და ბაქოში. მოსკოვში თეატრი დასდგამს შემდეგ პიესებს: „ანზორს“, „ლამარას“, „რდვევას“, „ზაგმუკს“ და ერთ ახალ ორიგინალურ პიესას. მოსკოვში გაიმართება 30 წარმოდგენა, ხარკოვნი—12 და ბაქოში—5.

რუსთაველის თეატრი მიწვეულია და მონაწილეობას მიიღებინა აგრეთვე საკავშირო თეატრალურ ოლიმპიადაში, რომელიც გაიმართება მოსკოვში ივნისის რიცხვებში.

მთავარ სახელოვნო კომიტეტის მიერ გამოყოფილია სპეციალური კომისია რომელიც ადგენს მოგზაურობის ხარჯთაღრიცხვას.

— გრიგოლ რობაქიძის ახალი პიესა. რუსთაველის თეატრი ამზადებს და მოკლე ხანში დაიდგმება გრიგოლ რობაქიძის ახალი სოციალური დრამა „უდგა“.

— მწერლები მუშათა უბნებში. მწერ. ფედერაც. პრეზიდიუმი შეუდგა გეგმის დამუშავებას საბჭოთა მწერლების სისტემატიური გამოსვლების ჩასატარებლათ მუშათა უბნებში, მომავალი წლის განმავლობაში.

— მოძრავი თეატრი. — საქართ. პროფსაბჭოს კულ. განყოფილებასთან არსდება მოძრავი თეატრი, რომელიც იმუშავებს ტფილისის მუშათა კლუბებში.

— „კაცია ადამიანი“ სცენაზე. რუსთაველის თეატრი დასადგმელად, ამზადებს ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“, რომელიც პიესად გადმოაკეთა ს. კლდიაშვილმა.

— სატირის თეატრი ქუთაისში. რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ქუთაისში ჩამოყალიბდა აგიტ-რევ-სატირის თეატრი. დასში ნოწჩეულნი არიან მთელი რიგი ახალგაზრდა მსახიობებისა. რეჟისორები: დ. ანთაძე, ვ. აბაშიძე და გრ. სულიაშვილი. მხატვრები: პ. ოცხელი და ე. ახვლედიანი. მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ნაწილის გამგე: კ. მარჯანიშვილი. დასი უკვე შეუდგა მუშაობას. სეზონი გაიხსნება იანვრის პირველ რიცხვებში.

— „ორიენტაცია დასავლეთზე“ სახკინმრეწვის სამხატვრო საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოიწონა და მიიღო დასადგმელად აკაკი ბელიაშვილის სცენარი ახალი კინო-კომედიისა, სახელწოდებით „ორიენტაცია დასავლეთზე“.

— „მარგანიცი“. სახკინმრეწვი შეუდგა ახალი კინო-სურათის „მარგანიცი“ გადაღებას. თემა აღებულია ჭიათურის შავი ქვის მადაროა მუშების ცხოვრებიდან.

— კინო-ტეხნიკოსთა კურსები. პოლიტ-განათლების მთავარ მართველობა ტფილისში ხსნის კინო-ტეხნიკოსთა მოსამზადებელ სამთვიან კურსებს.

საქართველოს მომღერალთა გუნდების ოლიმპიადა. ხელოვნების განყოფილება უახლოეს მომავალში აწყობს სრულიად საქართველოს მომღერალთა გუნდების ოლიმპიადას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საკლუბო. მოწაფეთა და სხვ. გუნდები. ოლიმპიადის პროექტის დამუშავება მიენდო კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილს.

— ნოტების ტიპოგრაფიული აწყობა. ხელოვნების განყოფილება საზღვარგარეთიდან იწერს ნოტების გაუზიარებულ ტიპოგრაფიულ შრიფტს. ამ შრიფტის საშუალებით ნოტებს დასაბეჭდათ ააწყობენ ჩვეულებრივი ტიპოგრაფიული წესით, რაც ნოტების გამოცემას გააიადებს 75 პროცენტით.

== მარჯანიშვილის თეატრის საგასტროლოთ მიწვევა მოსკოვში.—  
სახელმწიფო სამხატვრო მეცნიერებათა აკადემიიდან, საბჭოთა კავშირში შემავალ  
ეროვნებათა ხელოვნების შემსწავლელ კომიტეტის თავმჯდომარის პროფესორ  
კოგანის ხელმოწერით, რეჟისორმა კ. ა. მარჯანიშვილმა მიიღო შემდეგი წერილი:  
„პატივცემულო კონსტანტინე ალექსანდრესძე! სახელმწიფო სამხატვრო მეცნიე-  
რებათა აკადემიასთან არსებულ საბჭოთა კავშირში შემავალ ეროვნებათა ხელოვნ-  
ების შემსწავლელ კომიტეტს განზრახული აქვს ამა წლის მაისში ჩაატაროს  
თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი თეატრის გასტროლები მოსკოვში. ჩვენის  
აზრით, ეს იქნება ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევათაგანი მოსკოვის სამეცნიერო-  
სამხატვრო სფეროების და ფართე საზოგადოებისათვის ქართული ხელოვნების  
გაცნობის საქმეში. ჩვენ თქვენ გაფასებთ. როგორც ერთ-ერთ გამოჩენილ ოსტატს  
რუსული სცენისას, ამიტომ მეტისმეტად საინტერესოა გაცნობა თქვენს უაღრესად  
მხატვრულ მიღწევებთან. ძლიერ დაგვავალებთ, თუ გვაცნობთ, რამდენად მისა-  
ღებია თქვენთვის ჩვენი წინადადება და აგრეთვე რა სახის ხარჯთაღრიცხვა უნდა  
ვიქონიოთ მხედველობაში გასტროლების კონკრეტულ საკითხთა გადაწყვეტის  
დროს“.

== ქუთაის-ბათუმის აკად. დრამის ახალი სახელ-  
წოდება. განათლების კომისარიატის დადგენილებით ქუთ. ბათ. აკ. დრამ.ს  
დაერქვა „კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი“.

— მოპასანის „Belami“. მიხეილ ჯავახიშვილმა სთარგინა ფრანგუ-  
ლიდან მოპასანის „გულითადი მეგობარი“ (Bel ami). წიგნს გამოსცემს სახელგამი.

— ლეო ქიაჩელის რომანი „სისხლი“. მოკლე ხანში სახელგამი  
გამოუშვებს ლეო ქიაჩელის რომანს „სისხლს“.

— გრიბოედოვის სიკვდილის 100 წლის თავი. 1929 წლის 12  
თებერვალს სრულდება 100 წელიწადი, რაც გარდაიცვალა რუსეთის გამოჩენილი  
პოეტი ალექსანდრე გრიბოედოვი. საუკეთესო წლები თავისი პირადი ცხოვრების  
და პოეტური სიმწიფისა გრიბოედოვმა გაატარა საქართველოში. იქვე შეირთო  
ცოლად პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ასული ნინო. ამის შემდეგ იგი  
გაემგზავრა სპარსეთში რუსეთის წარმომადგენლად, მაგრამ დიდხანს აღარ უცოც-  
ხლია—იგი მსხვერპლი შეიქა გამხეცებული ბრბოსი: 1829 წლის თებერვალში გრი-  
ბოედოვი მოკლეს თეირანში რუსეთის საკონსულოს შენობაში. იგი მოასვენეს სა-  
ქართველოში და დამარხეს მამადავითის მთაზე. მასთან ერთად მარხია მისი მეუ-  
ღლე—ნინო ჭავჭავაძეც.

საიუბილეო დღესასწაულის დღეებში მოსკოვში გაიხსნება მისი ძეგლი, რომელიც  
კონკურსით იქნა მიღებული. საქართველოს საბ. მწერლების ფედერაცია და  
სახელმწიფო გამომცემლობა „ვაი ჭკუისაგან“-ის ავტორის ხსოვნას აღნიშნავენ  
სათანადო საღამოს მოწყობით და წიგნის გამოცემით.

— „მალარია“ ტფილისში დაბრუნდა რეჟის. პუშის ჯგუფი, რომელიც  
ამზადებს ფილმს „მალარია“. ექსპედიციამ გადაიღო პალიასტომის ტბა, ფოთის  
მიდამოები, ბათუმის სუბტროპიკული ბუნება და ჩაის პლანტაციები, ოზურგეთის  
აბრეშუმის ძაფ-სახვევი ფაბრიკა და სხვ. ტფილისში გადაღებული იქნება ფილმის  
მეცნიერული კადრები.

„კომუნარის ჩიბუხი“. სახკინმრეწვის სამხატვრო სასკომ განიხილა  
და მოიჭონა რეჟ. მარჯანიშვილის ახალი სურათი „კომუნარის ჩიბუხი“ ერენბურ-

გის მოთხოვნის მიხედვით. სურათში გამოხატულია პარიზის კომუნის უკანასკნელი დღეები, ვერაღებების დაბრუნება დამარცხებულ პარიზში, ბურჟუაზიის შეკრება. მთავარ როლს ფილმში ასრულებს 4 წლის სერგეი ხაბოხლაევი. მონიწილეობენ ვერიკო ანჯაფარიძე, უშანგი ჩაიძე და თამარ ჭავჭავაძე.

— სტენდალის „წითელი და შავი“ ქართულად. ნ. მიწიშვილი — ქართულად სთარგმნა სტენდალის რომანი „წითელი და შავი“.

— გრიბოედოვის „ვაიჭკუისაგან“ ქართულად. გრიბოედოვის იუბილეისათვის სააეუგამი სცენა დამახსოვრებულ პოეტ-ქალის განდგეგის მიერ ლექსად თარგმნით „Горе от ума“-ს.

— „ბიძია თომას ქოხი“-ს ახალი გამოცემა. გამოვიდა მეორე გამოცემა კლდისშვილის მიერ თარგმნილი ბიჩერ-სტოუს საბავშვო რომანისა — „ბიძია თომას ქოხი“.

— ახალი წიგნი რუსთაველზე. პოეტმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ დასწერა ახალი გამოცემა: „რუსთაველის გარშემო“. წიგნი უკვე გამოვიდა და იყიდება.

— მ. უზნაძის „ლექსების წიგნი“. ჩვენმა რედაქციამ მიიღო მ. უზნაძის ლექსების წიგნი „სტიქიონი“.

— „ჭაჯი-მურადი“. დაიბეჭდა და მოკლე ხანში გამოვა ლევ ტოლსტოის „ჭაჯი-მურადი“ თარგმ. ტიციან ტაბიძის. გამოცემა სახელგამის.

— ანატოლ ფრანსის „ღმერთებს სწყურიათ“. სახელგამმა დაბეჭდა და უახლოეს ხანში გამოვა გერონტი ჭიქაძის მიერ ფრანგულიდან ნათარგმნი ა. ფრანსის „ღმერთებს სწყურიათ“.

— ირ. ქავყარაძის მოთხოვნები. გამოვიდა და იყიდება ირ. ქავყარაძის მოთხოვნების წიგნი.

— მარ. გარიყულის მოთხოვნები. — გამოვიდა და იყიდება მწერალი ქალი მარიამ გარიყულის მოთხოვნების კრებული: „უსინათლო ალექსი“, 85 გვერდისი 50 კაპ.

— ახალი წიგნი ლენინზე. გამოვიდა და იყიდება პროლეტარული პოეტის სანდრო ეულის ლექსების წიგნი: „ლენინ“.

### სახელგამის ახალი გამოცემანი.

გამოვიდა „სასკოლო ბიბლიოთეკის“ პოპულიარული გამოცემანი შემდეგი ავტორების:

რ. ერისთავი — რჩეული ლექსები — ფასი 25 კაპ.

ე. ნინოშვილი — მოსე მწერალი — ფასი 20 კ.

ი. ჭავჭავაძე — გლახის ნაამბობი — ფასი 40 კ.

ა. ყაზბეგი — მოძღვარი — ფასი 75 კ., ხევის ბერი გოჩა 30 კ.

ი. დავითაშვილი — რჩეული ლექსები ფ. 10 კ.

არსენას ლექსი. ფასი 10 კ.

გ. ერისთავი — გაყრა. ფასი 20 კ.

ნ. მიწიშვილი — თებერვლი — ფასი 25 კ.

დ. კლდიაშვილი — სამანიშვილის დედინაცვალი — ფასი 40 კ.

ი. გვალაძე — ილიკო ბედენაძე — ფასი 20 კ.



მზადდება და უახლოეს დროში გამოვა ამავდ სერიის:

ლ. თუმანიანი—გიქარ (თარგმ. ი. გრიშაშვილის).

ნ. ლომოური—ყოველის მზრიდან.

ი. ჭავჭავაძე—ოთარაანთ ქვრივი—სახრჩობელაზე.

კონ. ლორთქიფანიძე—პიონერი თანდო და სხვ.

ი. გრიშაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ვ. გორგაძე, ი. მოსაშვილი,

კ. ჭიჭინაძე—ლექსები.

ვაჟა ფშაველას პოემები: გოგოთურ და აფშინა, ალუდა ქუთელაური, ეთერი, ჰახტრიონი, სტუმარ-მასპინძელი, სისხლის აღება.

ი. ვაკელი—ლექსები.

ჯ. ბოკაჩიო—დეკამერონი ტ. II (თ. სახოკიას თარგმანი).

პ. ისტრატი—ქორრა თურინჯი (თარგმ. მ. ჯავახიშვილის).

ნ. ზომლეთელი—პოემები.

დ. სულიაშვილი—მეორე დღეს.

----- : -----

## 1928 წ. „ქართულ მწერლობა“-ში დაბეჭდილ მასალების საჩვენებელი

### პოეზია

- აბაშელი ა.—ტყეში. № 10—11. დედამიწა № 12.  
ბაბილინა — გორკისათვის. № 5.  
ბობოხიძე კ.—ბრძოლისათვის. სჯობს გაენადგურდე № 1 ლირიკა—№ 10—11.  
გაფრინდაშვილი ვ.—ლირიკა (1. სიხარული, 2. არდადეგების პოეზია). № 1:  
დაბალი ხმით. № 2—3. 1, გაზაფხული თებერვალში, № 4, პოემიდან.  
„პური და სიტყვა“ № 6—7. ორი ძმა, ხილთა ქება. № 8—9.  
გვეტაძე რ.—ფარული სტამბა არქიელის გორაზე № 4., ქვიშხეთი. № 8—9.  
გორგაძე ვ.—სიმღერა. № 2—3. პირველ სტამბაში. № 5. ლენინ. № 10—11.  
გრიშაშვილი ი.—ნადირობა ნიამორებზე (დ სონანსები) № 4.  
ეული სანდრო.—მოგონება (ნაწყვეტი პოემიდან). № 10—11.  
იონაკელი.—გამოთხოვების სამძიმარი. № 6—7.  
ზომლეთელი ნ.—ევნო ახეფს. № 4. შევარდენს და ქარიშხალას. № 5. გული,  
№ 6—7. პოეტი კომუნარი № 10—11.  
თავაძე ს.—ჩემი გზა. № 10—11.  
თომაშვილი დ.—შვილიშვილი მუშა ბოქულაძისა. № 8—9.  
პაოლოიაშვილი ი.—ერთი კვირა. № 1.  
ლენინიძე გ.—ოქროს წვიმა. ყივჩაღური სიმღერები № 12.  
ლომთათიძე ჭ.—ცხოვრების გულიდან. ამონაკენესი. № 12.  
მაჭავარიანი ლ.—პასუხი მამას. № 2—3. სოფელი კომუნა № 12.  
საფომგელაძე—მეგობარ პოეტს, № 10.  
დუტუმგორელი—ქუთაისის ხანძრის გამო № 6—7.  
მიწიშვილი ნ.—პაოლოიაშვილს № 1.  
მოსაშვილი ი.—ლამე გომბორზე № 1.  
კოლაუნადირაძე—აფხაზეთი № 4.  
ნეკრასოვი ნ.—უცნობ მეგობარს. № 2—3.  
ნაროშვილი ფ.—პოემა სხვადასხვა საკითხებზე № 2—3.  
ყურული ვ.—ყინულმჭრელი „კრასინი“, № 8—9., პური და ზავი № 10—11. ციმბირის ტყვე № 12.  
რუხაძე ვ.—მუშის სიმღერა № 1, ზამთარი № 2—3. გაზაფხული № 4. მაქსიმ გორკი № 5., სამიკიტნოს ნანგრევებზე. № 6—7. მტარვალის ჯილდო № 12.

ტაბიძე გ. მოგონება გორკიზე. № 5.

ტაბიძე ტ.—მაშ, გამარჯვება. № 1, გომბორზე № 2—3., ამოდის ნათდება.

№ 4. გემები ორპირში № 5. როლდ ამუნდსენ № 12.

ქუთათელი ა.—მაქსიმ გორკი—№ 5. ახალი საქართველო. № 12.

ქუთათელაძე პ.—წარსულიდან № 1., შეხვედრა № 2—3. მოსკოვში. № 12.

ქუჩიშვილი გ.—ოქტომბერი,—ენინით № 10.

ყიფიანი ი.—ავადმყოფის სიზმარი № 6—7.

შანშიაშვილი ს.—გავლილი შარა № 1. გავლ. შარა (გაგრძელება) № 6—7.

პოემა ქალზე. № 12.

ჩიქოვანი ს.—მოსკოვი № 1, მგზავრის სიმღერა № 2—3. მორღუ № 5, ბედი რესპუბლიკა, № 6—7; № 10—11.

ცეცხლაძე გ.—გრიგოლ ცეცხლაძეს № 1. ოთხი მაუზერი (პოემა), №—2—3; 4, 6. დღეს, როცა წინ დგანან მასები. № 12.

## ბელეტრისტიკა.

გამსახურდია კ.—ჯამუ—№ 2,—3.

ლორთქიფანიძე ნ. შელოცვა რადიოთი № 8—9. თავის წერილი. № 12.

ჯონმატეუს—ჭაობის გველი (თარგმ. ნინა მესხის) № 2—3.

მელიქიშვილი ბ.—სალთუჯი (თავი მოთხრობიდან) № 6—7.

პოლ მორან.—ლამე ოსმალეთში, (თარგ. ნინა მესხის) № 1.

რამიშვილი ტ.—საბჭოთა სახლი № 5, № 8—9.

რობაქიძე გრ.—ფალესურა. (რომანი) № 1, 4, 5, 6—7.

სულიაშვილი დ.—კუბოს ფიცრები. № 12.

მარკტვენ—როგორ ვრედაქტორობდი სასოფლო-სამეურნეო გაზეთს, № 2—3.

ლეოქიაჩელი—ალმა გირ კიბულან, № 10.

ქორქია რ.—ჯებირი. № 12.

ს. შანშიაშვილი—პრე<sup>1</sup>იდენტ პაპული (ბუფონადა 5 მოქმედებად) № 8—9.,

დემნა შენგელაია—რომანიდან „რუსეთუმე“ № 2—3. ბათა ქექია (რომანი) № 6—7.

სტეფან ცვაიგ—ბაირონის საიდუმლო, (თარგმ. გრ. რობაქიძის) № 6—7.

არისტოჭუმბაძე ფულიანი ბარათი, № 1.

მიხ. ჯაგანიშვილი—შავი კლდე, № 10.

## კრიტიკა, მხატვრობა, მაცნეერება.

ამალღობელი ს.—კრიტიკის ამოცანები № 6—7. ფრანგული ხელოვნების გამოფენა მოსკოვში № 12.

არსენიშვილი ა.—დიადი ბროდიაგა № 5.

ლ. ა-ნი. ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფია № 4. მაქ. გორკი და ლენინი № 5.

ლევან ასათიანი—კლასიკოსების პრობლემა № 10, ი. ჭავჭავაძე და „ცისკარი“ № 12.

- ლ. ა.—მარჯანიშვილის თეატრი № 10., სილოვან ხუნდაძე,—№ 6—7.  
 ახვლედიანი გ.—ძობსენება ს. ხუნდაძის გარდაცვალების გამო № 6—7.  
 ბარნოვი ვ.—გველის მჭამელი № 1.  
 ბაქრაძე კ.—თანამედროვე ფლოსოფია ევროპაში № 6—7, 8—9.  
 გაგელი ვ.—რუსთაველის თეატრი № 2—3.  
 გამსახურდია კ.—ჰენდრიკ იბსენი № 4.  
 გარბიკი ვ.—მაქ. გორკო თეატრში № 5.  
 დანელია ს.—ლევ ტოლსტოი № 8—9. ნ. ჩერნიშევსკის ესთეტიკა—№ 6—7.  
 გორდენიანი ბ.—როგორ კეთდება ახალი ხელოვნება № 6—7.  
 ზანდუკელი მ.—მ. გორკი საქართველოში № 5.  
 შ. დ—ვა—ქართული თეატრის შემოქმედებითი გზები № 10.  
 ზარდელი ირ.—„ანზორ“ № 10.  
 ინგოლოცვა პ.—გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები № 6—7.  
 კალაძე რ.—მაქ. გორკი და ეგნატე ნინოშვილი № 6—7.  
 კაპანელი კ.—მაქ. გორკის სოციალური არე — 5.  
 კასრაძე დ.—ვას. ბარნოვი № 2—3. — თანამედროვე პორტრეტები № 8—9.  
 კოტეტიშვილი ვ.—ნ. ნიკოლაძე—№ 4. ლევ ტოლსტოი— № 8—9.  
 ფრედერიკ ლეფვერ—ერთი საათით პანაიტ ისტრატიისთან № 2—3.  
 მესხიშვილი ვ.—ლადო ალექსი-მესხიშვილი—№ 6, 7—10.  
 მიწიშვილი ნ.—აქტუალური საკითხები № 1, სადღეისო № 2—3.  
 მოსული—ჩვენი მწერლობა და კულტურული რევოლუციის საკითხები № 4.  
 მწერალი მწერალთა ყრილობისათვის № 2—3.  
 ნუცუბიძე შ.—ოქტომბერი და კულტურ. რევოლუცია № 10.  
 რობაქიძე გრ.—სილოვან ხუნდაძე—(„ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“, № 6—7.  
 რადიანი შ.—სანდრო შანშიაშვილი—№ 8—9. მ. ჯავახიშვილი. № 12.  
 ჟანდარმერიის ცნობები ნ. ნიკოლაძის შესახებ № 4.  
 ჟღენტე ბ.—ახალი დრამატურგიისათვის № 6—7., არიფიონი № 4, თანამგზავრობის პრობლემა № 8—9.  
 სრულიად საქსაბ. მწერლების ფედერაციის ანგარიში № 4.  
 ტაბიძე ტ.—ბაჩანა. № 2—3., ტოლსტოის დღეები № 8—9. სალიტერატურო ქართულისათვის. № 12.  
 ჩიქოვანი ს.—რუსთაველის თეატრის სეზონი № 10.  
 სტეფან ცვაიგ—გველის პერანგი № 10.  
 ქუთაისელი—ლიტერატურული ქუთაისი № 2—3.  
 ხუნდაძე სიმ.—ნიკო ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური იდეალები, № 4. მიხ. ნ. პოკროვსკი № 10; თანამგზავრობის საკითხი ქართულ ლიტერატურაში № 6—7. ნ. ჩერნიშევსკი და ნი-იანი წლების ქართველი ინტელიგენცია № 12.  
 ს. ხ.—ხომლედი № 4.  
 ჯავახიშვილი მიხ.—ქრონიკა თუ შემოქმედება № 2—3.  
 ჯაჯანაშვილი არ.—ხელოვნებისათვის № 1.  
 ჯორმაჯიძე ერ. ქუთაის-ბათუმის თეატრი. № 10.

## დოკუმენტები.

- მაქსიმ გორკის თანამგზავრის წამბობი № 5.  
რობაქიძე ს.—მაქ. გორკი ტფილისში № 5.  
რუხაძე ვ.—პატარა მოგონება № 5.  
ხომლედი—ცხოვრების მოედანი, (გაგრძელება) № 1.

## უცხოეთის ლიტერატურა.

- აბელ გარსია ასორინი—ბლასკო იბანიესი № 4.  
ბლასკო იბანიესი—ორმაგი ძალით (მოთხრობა) № 4.

## გიგლიოვკაზია

- ასათიანი ლ.—ბოკაჩიო № 5. ლ. არდაზიანი—სოლომონ მეჯღანუაშვილი—  
(რომანი) № 6—7. ვახ. ორბელიანი № 12.  
ბარამიძე ალ.—სულხან-საბა ორბელიანი № 10.  
არიფი ი.—აბულაძის ლექსიკონი № 1.  
გამსახურდია კ.—შექსპირი. ჰამლეტი—დანის პრინცი № 8—9.  
გ. გორგაძე.—ვლ. ლენინის წერილები მაქსიმ გორკისადმი № 4; სტენდალი—  
იტალიური ქრონიკები, № 12.  
ა. გ.—ლ. ტოლსტოი „ადდგომა“ № 8—9.  
გ. გ.—ლევ ქიაჩელი—თავადის ქალი მარია № 6—7.  
ნ. ი.—„სარეპერტუარო ბიულეტენი № 1“. № 6, 7.  
პროფ. კიკელიძე—ი. გრიშაშვილის ძველი და ახალი ტფილისის ლიტერატურული ბოჭემა № 4.  
ქ. რ.—ნ. ლორთქიფანიძე—№ 6—7.

— : —

## ზინაარსი:

### მხატვრული ლიტერატურა:

	88.
ალ. აბაშელი—დედამიწა . . . . .	3
სანდრო შანშიაშვილი—პოემა ქალზე . . . . .	5
ნ. ლორთქიფანიძე—თაგვის წერილი . . . . .	6
ვარლამ რუხაძე—მტარვალის ჯილდო . . . . .	11
გიორგი ლეონიძე—ოქროს წვიმა. ყივჩაღური სიმღერები . . . . .	16
კოლა ლომთათიძე—ცხოვრების გულიდან. ამონაკვნესი . . . . .	18
გრიგოლ ცეცხლაძე—დღეს, როცა წინ დგანან მასები . . . . .	25
ალექსანდრე ქუთათელი—ახალი საქართველო . . . . .	27
დავით სულიაშვილი—კუბოს ფიცრები . . . . .	29
ტიციან ტაბიძე—როაღდ ამუნდსენ . . . . .	39
ვარლამ ფურული—ციმბირის ტყვე . . . . .	44
ლადო მაჭავარიანი—სოფელი კომუნა . . . . .	46
პეტრე სამსონიძე—მოსკოვში . . . . .	49
როდიონ ქორქია—ჯებირი . . . . .	53

### წერილები:

სიმონ ხუნდაძე—ნ. გ. ჩერნეშევსკი და 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენცია . . . . .	64
ტიციან ტაბიძე—სალიტერატურო ქართულისათვის . . . . .	85
ლევან ასათიანი—თანამედროვე ლიტერატურა და კლასიკოსები . . . . .	96
შალვა რადიანი—მიხეილ ჯავახიშვილი . . . . .	105
სერგო ამალღობელი—ფრანგული ხელოვნების გამოფენა მოსკოვში . . . . .	122

### ბიბლიოგრაფია:

ლ. ა—ნი—ვახტანგ ორბელიანი . . . . .	128
ვ. გორგაძე—სტენდალი . . . . .	129
ლიტერატურული ცხოვრება	

სოფიგ.  
მე-2-ე  
კატამბა  
ლგინის ჭიხა 3  
-----  
ძთავლილი № 135  
ბიკე-359 ტირ 1000